პალიტრა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

15 ივნისი პარასკევი 2012 №140 (13 746) ფასი 80 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



## ლიოვი თადარიგს იჭერს

გუშინ ესპანეთს აკვირდებოდა

## ერთი, ორი, სამი, ოთხი...

# და ყურანეეული სამყურები



9

ფეხის ერთი მოქნევით დავიდ სილვამ სამი ირლანდიელი გაათიშა

| ესპანეთი | ირლანდია |
|---|---|
| 4 | 0 |

# ხორვატია აძურას დაუძვრა

| იტალია | 1 |
|---|---|
| ხორვატია | 1 |



მანჯუკიჩი ანგარიშს ათანაბრებს



8



ანდრეა პირლოს გოლი ხორვატიის კარში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

სიტუაცია

# რას ვთავაზობთ აფხაზებსა და ოსებს?

**ფიფამ კოსოვოს ფეხბურთის ფედერაციის აღიარებისკენ პირველი ნაბიჯი გადადგა და ამ ბალკანური წარმონაქმნის საფეხბურთო ნაკრებს საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრების ჩატარების უფლება დართო.**
**სეპარატიზმის აღიარებით პანდორას ყუთი გაიხსნა და აფხაზეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში გამოცოცხლდნენ: ჩათვალეს, რომ ფიფას ეს დადგენილება მათთვის ანთებული "მწვანე შუქიც" იყო და საჯაროდ განაცხადეს, რომ ოფიციალური საერთაშორისო მატჩების ჩატარების თხოვნით ფიფასაც მიმართავდნენ.**


ქართული ფეხბურთის ყველაზე დიდი წარმატების მომტანი გოლი წარმოშობით აფხაზმა ვიტალი დარასელიამ გაიტანა

გლობალური პოლიტიკური თამაშებიდან გამომდინარე, ამან საქართველოშიც შეშფოთება გამოიწვია, ემანდ, რაიმე ფარსაგი ამბავი არ იმალებოდესო. მართლაც, თუ სეპარატისტულ კოსოვოს აქვს თამაშის უფლება, ხვალ-ზეგ ვის გაუკვირდება, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ნაკრებები "ლუჟნიკებში" ერთმანეთს ან მეგობარ რუსეთს დამოუკიდებლობის დემონსტრირებისთვის რომ შეხვდნენ?

შემდგომი მოვლენები უკვე ცნობილია და ჩვენი შიში გაქარწყლდა – საქართველოში არსებულ ოკუპირებულ რეგიონებს, ბალკანელებისგან განსხვავებით, ფიფა-უეფა არ აღიარებს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ფიფასადმი გაგზავნილ წერილში დააფიქსირა პოზიცია, რომ საქართველოს რეგიონის ფიფას იურისდიქციაში დამოუკიდებლად შესვლასა და ფიფას ეგიდით საერთაშორისო მატჩებში მის მონაწილეობას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა.

ფიფას უმაღლესი პირების რეაქცია უკვე ცნობილია - ფიფაში "აფხაზეთის რესპუბლიკისგან" საერთაშორისო მატჩების ჩატარებასთან დაკავშირებით ოფიციალური განაცხადი არ მიგვიღია და რომ, აფხაზეთის მაგალითი კოსოვოსგან მნიშვნელოვნად განსხვავდება: *"აფხაზეთის საქმის ანალოგიას არ წარმოადგენს და ფიფას მიერ იდენტური გადაწყვეტილების მისაღებ მაგალითად არ გამოდგება".*

მოკლედ, საფრთხე აღკვეთილია, საქართველოში კმაყოფილებაა, აფხაზები საერთაშორისო სარბიელზე ვერ ითამაშებენ და ეს ასეც უნდა იყოს. ამ ყველაფრის შემდეგ იყო საკმაოდ დაუკვირვებელი კომენტარები და ალტკინება, ასეთი ქვეტექსტით – ჩვენ ჩვენი გავიტანეთ!.

ეს არის დამოკიდებულება, რომელსაც ოკუპანტი რუსეთის მისამართით ვამბობთ. მაგრამ ხომ არ სჯობს, პოზიცია განსხვავებული ფორმით დავაფიქსიროთ?

ჩვენ საქმე ჩვენს მოძმე აფხაზებთან გვაქვს, რომლებიც საქართველოში მიმდინარე მოვლენებს, ჩვენს თითოეულ სიტყვას, წერილებსა და კომენტარებს ისეთივე დაკვირვებით ეცნობიან და ისეთივე რეაქცია გააჩნიათ, როგორც ჩვენ რუსების სიტყვაზე, წერილებსა და კომენტარებზე.

მათ კი ახალი არაფერი მოუსმენიათ მას შემდეგ, რაც ჩვენ შორის ურთიერთობები აირია. მთავარი კი სწორედ ურთიერთობებია და თუ მის მოგვარებას არ შევეცდებით, კონფლიქტი ყოველთვის გადაუჭრელი დარჩება. თანაც, აქ ერთი მნიშვნელოვანი დეტალია: ოკუპირებული აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის თავკაცებმა კი თქვეს, რომ ფიფასთვის წერილი გაამზადეს. თუმცა, ეს ტყუილია, რაც სფფ-სადმი ფიფას ბოლო მიმართვაშიც გამოჩნდა. ანუ საქმე ისე მძიმედ არის, რომ მიმართვასაც ვერ აგზავნიან – ამასაც თავისი ფორმალური მხარე გააჩნია და "ჩატი" არ არის, უპრობლემოდ მისწერო.

ცხადია, "დამოუკიდებელი" აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციისთვის ფიფასა და გაეროს მიერ არაღიარებული ქვეყნების მიერ 2003 წელს ჩამოყალიბებული ასოციაცია NF-Board (Nouvelle Federation — Board) და სეპარატისტების ერთმანეთთან თამაშის მცდელობა გამოსავალი არაა. ამით მხოლოდ თავს იმშვიდებენ. რეალურად, მათ რუსებიც ვერ ეხმარებიან.

მაგრამ აფხაზები ჩვენი ძმები არიან და ეს განსაკუთრებით მაშინ ჩნდება, როდესაც ქართველი და აფხაზი ერთ გუნდში არიან - ისინი ყოველთვის ყველაზე მეტად საერთოს ერთმანეთთან პოულობენ. ნებისმიერ შემთხვევაში, ადრე თუ გვიან, ჩვენი შერიგება უნდა მოხდეს. იგივე ითქმის, ოსებზეც.

მაგრამ საამისოდ, აფხაზებსა და ოსებს სხვა ენით უნდა ველაპარაკოთ და შევთავაზოთ ჩვენს კლუბებში თამაში, ურთიერთობები, ანუ დღევანდელი იზოლაციიდან გამოსავალს რუსები კი არა, ჩვენ უნდა ვთავაზობდეთ. თორემ რუსებს აყოლილებს საერთაშორისო სარბიელიც დაუხშეს, ჩვენ კი მხოლოდ კარის უკეთ გადარაზვაში ვეხმარებით.

გასაგებია, რომ პრობლემების შექმნის შიშით, აფხაზები საქართველოში ჩამოსვლას მოერიდებიან, დღევანდელი გადასახედიდან, ეს არარეალურიც ჩანს, მაგრამ მთავარი პროცესია. თუ გაიხსენებთ, ცხინვალის რეგიონში ომი ახალი ჩამცხრალი იყო, როდესაც ქართველ ფეხბურთელთა ჯგუფი **ვლადიმერ გუცაევმა** ვლაკიკავკაზის "ალანიაში" გადაიყვანა. როდესაც გუნდი ჩემპიონი გახდა, ურთიერთობები უცებ დათბა და თბილისში "დინამოსა" და "ალანიას" ამხანაგური მატჩიც გაიმართა.

უეფა და ფიფა პრაგმატულ ვარიანტს გვთავაზობენ. დევნილობაში მყოფი აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **მურად ანჯაფარიძე** ამბობს: *"ქართულ-აფხაზური კლუბის ჩამოყალიბების შემთხვევაში, ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანიზაცია მზად არის, მას გრანტით დაეხმაროს. ამ საკითხზე 2002 წელს უეფასა და ფიფას მაღალჩინოსნებს პრივატულად ველაპარაკეთ. ფიფას პრეზიდენტმა იოზეფ ბლატერმა პირდაპირ გვითხრა, თუ ეს პრობლემა მოგვარდება და საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია წინადადებით მიმართავს, აფხაზეთში ფეხბურთის განვითარებას დავეხმარებითო. კარგი იქნებოდა, ქართულ-აფხაზური ურთიერთობის აღდგენა ფეხბურთით რომ დაგვეწყო. სამწუხაროდ, დღეს ეს არარეალურია. ადრე თამაში რომ შევთავაზეთ, გვითხრეს, ისე შევხვდეთ, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნებიო. რა თქმა უნდა, ეს მიუღებელი იყო.*

*ამიტომ აფხაზ ძმებს ვთავაზობთ, რომ ჩვენს ჩემპიონატში გუნდი გამოიყვანონ და პირობას ვაძლევთ, რომ საქართველოს ფედერაციის ეგიდით ნებისმიერ ქვეყანასთან კონტაქტს უპრობლემოდ დაამყარებენ. არანაირი სურვილი არ გვაქვს, იზოლაციაში რომ დარჩნენ, მაგრამ საერთაშორისო სამართლის დარღვევით საერთაშორისო სარბიელზე გასვლას ვერ შეძლებენ. ალბათ, პრაგმატული მოქცევა ორივესთვის აჯობებს".*

**მერაბ მამულაშვილი**

ჩემპიონატის კულისებში...

# იდეალურად სრულყოფილი არაფერია




უკრაინის მთავარი აეროპორტი - ბორისპოლი გადაიტვირთა ფეხბურთის ქომაგებით. კიევის აეროპორტის ადმინისტრაცია და თანამშრომლები ძლივს აუდიან ათიათასობით გულშემატკივარს, ბევრი მათგანი კიევის გავლით მიფრინავს დონეცკში, სადაც 15 ივნისს გაიმართება უკრაინა-საფრანგეთის მატჩი. ეს შეხვედრა უდიდეს ინტერესს იწვევს.

კიევის აეროპორტში მიღებულია უსაფრთხოების გაძლიერებული ზომები, თუმცა... ერთმა ჩემმა კოლეგამ ჩაატარა ასეთი ექსპერიმენტი: აეროპორტის ერთ-ერთ ტერმინალში, ღია კაფეში მაგიდაზე დატოვა ჩანთა ჩემ მიერ ნაჩუქარი ორი ბოთლი ქართული ღვინით და 20 წუთის განმავლობაში შორიდან უყურებდა. კარგია, რომ არავინ მოიპარა ეს ჩანთა, მაგრამ სამწუხაროა, რომ აეროპორტის უსაფრთხოების თანამშრომლები არც კი დაინტერესებულან ვისი იყო ან რა იდო შიგ. ამის შესახებ მათ უთხრა კიდეც. ყურადღებით მოუსმინეს, მაგრამ უპასუხეს: ამდენი რამის გაკონტროლებას ვერ ვასწრებთო.

სერვისი კიევის აეროპორტში არ დაიწუნება, მაგრამ ნაკლიც ბევრია. ათასობით გულშემატკივარს და ტურისტს უჭირს უცხო ვალუტის გადაცვლა უკრაინულ გრივნაზე. გადამცვლელი პუნქტების რაოდენობა მინიმალურია და გრძელი რიგებია საბანკო მომსახურების ფანჯრებთან.

აეროპორტში რთულია მოძებნო ადგილი, სადაც შესაძლებელია მობილურის ან ნოუთბუქის დამუხტვა. სამაგიეროდ, ძალიან ბევრია ალკოჰოლური სასმელის დახლები და მოსაცდელ დარბაზებში მრავლად შეგხვდებათ ნასვამი და მობარბაცე ტურისტები. თუმცა ამას არავინ აქცევს ყურადღებას.

ხუთშაბათ საღამოს ჩავფრინდით კიევიდან დონეცკში. აქ კი ნამდვილად იგრძნობა, რომ ქალაქი ფეხბურთით ცხოვრობს. ჩემთვის ეს გასაკვირი არ არის - 1976-81 წლებში დონეცკის უნივერსიტეტში ვსწავლობდი. ეს იყო ის დრო, როცა არა მარტო თბილისის "დინამო", არამედ დონეცკის "შახტიორიც" ბრწყინავდა. დონეცკში დამხვდნენ ჩემი უკრაინელი თანაკურსელები და სოხუმელი მეგობარი **კონსტანტინე დოჩია**, რომელიც 1994 წლიდან დონეცკშია და ჩართულია ადგილობრივ საფეხბურთო საქმიანობაში. დონეცკის ოლქში დაახლოებით 6 ათასი ქართველი ცხოვრობს, რომლებიც აქტიურად ქომაგობენ "შახტარს" და უკრაინის ეროვნულ ნაკრებს.

14 ივნისს საღამოს ჩვენ ვიმყოფებოდით დონეცკში, "დონბას-არენასთან" და კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, როგორი დიდი ინტერესია პარასკევის მატჩისადმი - ხელზე ბილეთები 150, 200 და 250 დოლარი ღირდა, სექტორისა და კატეგორიის მიხედვით.

ეს ფასი თითქმის სამჯერ აღემატება ბილეთის ოფიციალურ ფასს, მაგრამ ქომაგი ასეთ ძვირადღირებულ ბილეთებს მაინც ყიდულობდა.

დღეს აქ ყველა უკრაინას წარმატების მოლოდინშია...

**თენგიზ პაჭკორია**
კიევი-დონეცკი,
**სპეციალურად, "ლელოსთვის."**

გაგრა



# ჯერემია რჩება

ბოლო დროს გავრცელდა ხმები, თითქოს "გაგრას" თავდამსხმელი **ჯონი ჯერემია** კარიერას გორის "დილაში" გააგრძელებდა. 19 წლის ნიგერიელის ამჟამინდელ კლუბში მოთამაშის წასვლას უარყოფდნენ, მაგრამ გორელებმა ინტერესი დაადასტურეს.

ეს ლაპარაკი მიჩუმებული იყო, მაგრამ გორელთა ავსტრიაში გამგზავრებამდე ხელახალი ძალით აგორდა.

თუმცა, "გაგრას" მთავარმა მწვრთნელმა **ზვიად ჯელაძემ** ეს ტრანსფერი კატეგორიულად გამორიცხა: *"არ დაიჯეროთ, ჯერემია ჩვენთან არის და "დილაში" არ მიდის. ამ საკითხზე მოსალაპარაკებლად ჩვენთან არავინ მოსულა, ტრანსფერზე არ შევთანხმებულვართ და ფეხბურთელი ჩუმად ვერ გადაიპარებოდა. ახლა ჯერემია შვებულებაშია და ვარჯიშს ჩვენთან ერთად დაიწყებს".*

**მერაბ მამულაშვილი**

სამზადისი

# დილა ავსტრიაში გაემგზავრა

## მეორე შეკრება სლოვენიაში დაიგეგმა



გორის დილა სასტუმრო Bad Waltersdorf-ში იცხოვრებს

**გუშინ გორის "დილა" პირდაპირი რეისით თბილისიდან ვენაში 27 ფეხბურთელით გაემგზავრა, სადაც საკურორტო ქალაქ გრაცთან მდებარე 5-ვარსკვლავიან სასტუმრო Bad Waltersdorf-ში დაბინავდება.**

**გუნდის მთავარმა მწვრთნელმა თემურ შალამბერიძემ შემდეგი შემადგენლობა წაიყვანა:**

მეკარეები: მარინ სკენდერი, ბექა შეყრილაძე.

მცველები: კახა ალადაშვილი, გულვერდ თომაშვილი, ლაშა სალუქვაძე, გიორგი ონიანი, გიორგი შაშიაშვილი, ლექსო ინწკირველი, ლაშა თოთაძე, დავით კვირკველია, ნიკოლოზ ჯიშკარიანი, დავით მეგრელიშვილი.

ნახევარმცველები: რომან ახალკაცი, ლაშა გვალია, გიგა ბეჭვაია, ზურაბ არზიანი, რომან გოგინაშვილი, შოთა კაშია, გიორგი ილურიძე, სანდრო გურული.

თავდამსხმელები: მიხეილ გორელიშვილი, გიორგი კახელიშვილი, ირაკლი მოდებაძე, მათე ვაწაძე, რევაზ ბარაბაძე.

გუნდი დატოვეს რევაზ ჯიქიამ, ნოდარ ნოზაძემ, ილია ლომიძემ, გიორგი ქარქუზაშვილმა.

გუნდს ვერ გაჰყვება **გოჩა ხოჯავა**, რომელიც საოპერაციოა და ცხადია, ევროპის ლიგაზეც ვერ ითამაშებს – 27 წლის პლეიმეიკერს გერმანიაში მენისკის ოპერაციას გაუკეთებენ.

გორელები ავსტრიაში სამ ამხანაგურ შეხვედრას ჩაატარებენ. გორელთა პრესატაშე **მიხეილ ჯორბენაძის** თქმით, დაინტერესებულ გულშემატკივარს ყველა ამ მატჩის ტექსტური ტრანსლაციის ხილვის საშუალება ექნება. უახლოეს მომავალში კი "დილას" ვებგვერდზე მატჩების პირდაპირი ვიდეოსტრიმიც (ვიდეო გამოსახულების რეპორტაჟი) იგეგმება.

ავსტრიული შეკრება 28 ივნისამდე გაგრძელდება და ჩამოყალიბდება ის შემადგენლობა, რომელიც მომავალ სეზონში "დილას" ღირსებას დაიცავს საერთაშორისო ასპარეზზე, ეროვნულ პირველობასა და საქართველოს თასის გათამაშებაში.

ცნობილია, რომ "დილა" ევროპის ლიგის გათამაშებას, ნაცვლად პირველი საკვალიფიკაციო ეტაპისა, მეორე ეტაპიდან დაიწყებს, რადგან სხვადასხვა საკვალიფიკაციო ეტაპზე ვაკანსიები გაჩნდა.

ვწერდით, რომ სპორტული კუთხით ეს მისალები გადაწყვეტილებაა და გუნდს ჯგუფურ ეტაპზე მოსახვედრად შედარებით ნაკლები გზის გავლა დასჭირდებოდა. იქნებ, მოხდეს სასწაული და "დილა" გავიდეს?!

მაგრამ გათამაშების მეორე ეტაპიდან დაწყება არც ფინანსურად არის სასურველი და, რაც მთავარია, მწვრთნელებს ჩანაფიქრის შეცვლა დასჭირდათ.

*"ჩვენ მხოლოდ ერთ უცხოურ შეკრებას ვგეგმავდით და ამის შემდეგ პირდაპირ ევროპალიგაზე უნდა გვეთამაშა. უეფას გადაწყვეტილებამ მწვრთნელების გეგმებიც შეცვალა – ავსტრიიდან საქართველოში 28 ივნისს დავბრუნდებით და ფეხბურთელები 3 დღე დაისვენებენ. ევროპის ლიგაზე პირველ მატჩს, ნაცვლად 5 ივლისისა, 19-ში ჩავატარებთ. მოულოდნელად გაჩენილი პაუზა ნაყოფიერად რომ გამოგვეყენებინა, სასწრაფოდ დაიგეგმა მეორე შეკრება. ეს საკითხი კლუბში ოპერატიულად მოგვარდა და 2-14 ივლისს სლოვენიაში მოვემზადებით"* – ამბობს ჯორბენაძე.

**მერაბ მამულაშვილი**

ევრო-2012 სპეციალისტის აზრი



# რევაზ ძოძუაშვილი
# ესპანელებმა ფეხბურთის ხვალინდელი დღე გვიჩვენეს

## ძოძუაშვილს იტალიაზე მეტად ხორვატია ესიმპათიურება

**საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილ მთავარ მწვრთნელ რევაზ ძოძუაშვილს ევროპის ჩემპიონატის უმთავრეს ფავორიტად ესპანეთის ნაკრები მიაჩნია, ევრო-2012-ის გუშინდელი მატჩების მისეული შეფასება კი ასეთია:**

### იტალია–ხორვატია

ორივე გუნდმა მაღალი დონის, ტაქტიკურად და ტექნიკურად გამართული ფეხბურთი შემოგვთავაზა და ევროპის ჩემპიონატზე ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ვიხილეთ. მარცხისთვის იტალიაც დამენანებოდა და ხორვატიაც, ასე რომ, ფრე კანონზომიერ შედეგად მიმაჩნია.

კარგია, რომ იტალიელები სხვებს არ ჰბაძავენ და არა ოთხი, არამედ სამი მცველით თამაშობენ. თუმცა საბოლოოდ, გამოჩნდა, რომ სამი ცენტრალური მცველი კარის უსაფრთხოების გარანტია მაინც არ არის. ხორვატთა გოლის ეპიზოდში სამივე უკანახაზელი თითქოს ერთმანეთის იმედად დარჩა და **მარიო მანჯუკიჩმაც** ამით ისარგებლა. თუმცა ეს გოლი სულაც არ ყოფილა იოლი შესასრულებელი და თავდამსხმელისგან დიდ საფეხბურთო ოსტატობას მოითხოვდა.

ჩემი სიმპათიები მაინც ხორვატიის ნაკრების მხარესაა და დიდი იმედი მაქვს, რომ ესპანელებთან ერთად, ამ ჯგუფიდან მეოთხედფინალში სწორედ ხორვატები გავლენ.

### ესპანეთი–ირლანდია

ირლანდია ნამდვილად არ აღმოჩნდა ძლიერი გუნდი, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ესპანელთა შესრულებით ნამდვილი საფეხბურთო ხელოვნება ვიხილეთ. სიტყვები არ მეყოფა იმ განცდის აღსაწერად, რასაც ესპანეთის ნაკრების ხილვა მანიჭებს. თუ ადრე ფეხბურთს ბრაზილიელები ალამაზებდნენ, დღეს ამ საქმეს ესპანელები აკეთებენ, თანაც კიდევ უფრო დახვეწილად და ხარისხიანად – მათ თამაშში ინდივიდუალიზმი და კოლექტიური ფეხბურთი ერთმანეთში ჰარმონიულადაა შერწყმული. ესპანელებმა ფეხბურთის ხვალინდელი დღე გვიჩვენეს და ბედნიერები უნდა ვიყოთ, ასეთი დიდებული გუნდის ხილვის საშუალება რომ გვაქვს.

ესპანეთის ნაკრები მხოლოდ უმდიდრესი შემტევი პოტენციალით არ გამოირჩევა – ეს არის ყველა რგოლში თანაბრად ძლიერად დაკომპლექტებული გუნდი, რომელსაც სუსტი წერტილი, ფაქტობრივად, არ აქვს.

თუკი იტალიასთან მატჩში ჩვენ, ფაქტობრივად, "ბარსელონა" ვიხილეთ, ირლანდიელებს ერთდროულად დაუპირისპირდნენ "ბარსელონა" და "რეალი". ამ გუნდის თამაშში სამი გენიოსი მწვრთნელის – **ვისენტე დელ ბოსკეს, ჟოზე მოურინიოსა** და **ხოსეპ გვარდიოლას** საფეხბურთო ფილოსოფია იყო გაერთიანებული და ასეთი დაუვიწყარი სანახაობის მომსწრენი სწორედ ამიტომ გავხდით.

კარგია, რომ დელ ბოსკე **ფერნანდო ტორესს** ამჯერად კიდევ უფრო მეტად ენდო და ძირითად შემადგენლობაში გაამწესა. ამ შესანიშნავმა თავდამსხმელმა თავისი გოლებით დაამტკიცა, რომ რთული პერიოდი უკვე დაძლეული აქვს და მჯერა, რომ ევროპის ჩემპიონატზე თავის სიტყვას კიდევ იტყვის.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ბაია

# ბაიას ნაცვლად ზუგდიდი ან ოდიში



ელგუჯა ქომეთიანი

ზუგდიდის "ბაია" უმაღლეს ლიგაში აღარ ითამაშებს – ეს ამბავი, ფაქტობრივად, გადაწყვეტილად შეგვიძლია მივიჩნიოთ. თუმცა ზუგდიდელ ქომაგებს დავამშვიდებთ – მათ ქალაქს მომავალ სეზონში უმაღლეს ლიგაში "ზუგდიდი" ან "ოდიში" წარმოადგენს. ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რა დაერქმევა კლუბს.

საქმის არსი უფრო დეტალურად რომ აგიხსნათ, გეტყვით, რომ "ბაია" ორად გაიყოფა, "ბაიად" და "მგლებად". დარჩება "ბაიას" საფეხბურთო აკადემია, უმაღლეს ლიგაში კი "მგლები" ზემოთ ნახსენები ერთ-ერთი სახელით იასპარეზებს.

"ბაიას" ფეხბურთელთა ნაწილს, უფრო ახალგაზრდებს, კონტრაქტი "ბაიასთან" აკავშირებს, გამოცდილებს კი — "მგლებთან". გუნდის ბირთვი უცვლელი დარჩება და უმაღლეს ლიგაში ითამაშებენ როგორც "მგლების", ასევე "ბაიას" კუთვნილი ფეხბურთელები – ეს უკანასკნელები ზუგდიდური კლუბის ღირსებას იჯარით დაიცავენ.

მოკლედ, ზუგდიდურ ფეხბურთში გვარიანი გადაადგილებები მოხდება, მაგრამ ამ ქალაქის საუმაღლესლიგო ამბიციებს საფრთხე არ დაემუქრება – ზუგდიდს ქართული ფეხბურთის ელიტაში კლუბი კვლავაც ეყოლება.

ჯერ დაუდგენელი სახელის ზუგდიდური გუნდი კი მომავალი სეზონისთვის მზადებას **ელგუჯა ქომეთიანის** ხელმძღვანელობით 20 ივნისიდან შეუდგება. სატრანსფერო სიახლეების შესახებ საუბარი ჯერნაადრევია, თუმცა გუნდის გაძლიერება მაინც სავარაუდოა. რაც შეეხება მთავარი მწვრთნელის საკითხს, ჯერ ესეც ღიადაა. შეგახსენებთ, გასული სეზონის დასრულებამდე რამდენიმე დღით ადრე "ბაია" **გოჩა ტყებუჩავამ** დატოვა, დღეისთვის კი მთავარი მწვრთნელის ფუნქციებს ქომეთიანი ასრულებს და ვნახოთ, რა სტატუსით შეხვდება იგი მომავალ სეზონს.

დღევანდელი ინფორმაციით, ზუგდიდურ კლუბს ისევ რაიონის მუნიციპალიტეტი დააფინანსებს, საშინაო ოფიციალურ მატჩებს კი ზუგდიდელები განმუხურის ახალ სტადიონზე ჩაატარებენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ვიტ ჯორჯია

# ვეტერინართა ორი ახალწვეული

"ვიტ ჯორჯია" ახალი სეზონისთვის მზადებას დღეს დაიწყებს. ვეტერინართა პირველი გუნდი 33 ფეხბურთელის შემადგენლობით პირველ ეტაპზე მცხეთაში, "მცხეთა პარკზე" ივარჯიშებს და ამის პარალელურად სელექციის პროცესიც წარიმართება – სამწვრთნელო შტაბი ფეხბურთელებს ინტერნსიურად დააკვირდება და გაარკვევს, ვინ არის მზად მთავარ გუნდში სათამაშოდ. მცხეთაშივე **მერაბ კოჭლაშვილის** გუნდი რამდენიმე საკონტროლო მატჩს გამართავს.

დღის წესრიგშია უცხოური შეკრების მოწყობაც. "ვიტ ჯორჯია", სავარაუდოდ, ისევ თურქეთში გაემგზავრება.

როგორც წესი, "ვიტ ჯორჯია" საკუთარ აღზრდილებს ეყრდნობა, მაგრამ ფეხბურთელებს სხვა კლუბებიდანაც იწვევს. ვეტერინარებმა ორი მოთამაშე უკვე დაიმატეს – 22 წლის მცველი **ბადრი ტეტუნაშვილი**, რომელმაც გასული სეზონი ცხინვალის "სპარტაკში" გაატარა, და 20 წლის ნახევარმცველი **ირაკლი ღიბრაძე**, რომელიც ბოლოს ტყიბულის "მეშახტეს" ღირსებას იცავდა. სავარაუდოდ, "ვიტ ჯორჯია" ახალ ფეხბურთელებს კიდევ გადაიბირებს. კლუბი, უპირველესად, განაპირა ნახევარმცველების ძიებაშია.

"ვიტ ჯორჯია" ჯერ არავის დაუტოვებია, თუმცა კლუბმა **გიორგი ჯანელიძისა** და **ლაშა კასრაძის** თაობაზე წინადადებები უკვე მიიღო და შესაძლოა, ამ ორმა ფეხბურთელმა მალე კარიერა საზღვარგარეთ გააგრძელოს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული ფეხბურთი

## საქართველოს ჩემპიონატი

მკითხველთა თხოვნით, ვაქვეყნებთ საქართველოს ჩემპიონატის 2011/12 წლების სეზონის პირველი ლიგის, მეორე ლიგის აღმოსავლეთი ზონის, დუბლების ჩემპიონატისა და ჭაბუკთა ლიგის საბოლოო ცხრილებს.

### პირველი ლიგა

**ა ზონა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჭიათურა | 20 | 11 | 4 | 5 | 31-22 | 37 |
| 2. კოლხეთი (ხ) | 20 | 9 | 7 | 4 | 25-13 | 34 |
| 3. სამტრედია | 20 | 8 | 9 | 3 | 19-11 | 33 |
| 4. სამგურალი | 20 | 9 | 4 | 7 | 29-17 | 31 |
| 5. სქური | 20 | 7 | 6 | 7 | 20-20 | 27 |
| 6. ზოოვეტი | 20 | 7 | 4 | 9 | 20-30 | 25 |
| 7. მესხეთი | 20 | 6 | 7 | 7 | 11-18 | 25 |
| 8. აეტი | 20 | 2 | 1 | 17 | 11-35 | 7 |

**ბ ზონა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნ. დინამოელი | 20 | 14 | 2 | 4 | 48-28 | 44 |
| 2. იმერეთი | 20 | 12 | 3 | 5 | 39-23 | 39 |
| 3. სტუ | 20 | 11 | 2 | 7 | 54-43 | 35 |
| 4. მეშახტე | 20 | 9 | 3 | 8 | 35-32 | 30 |
| 5. ჩხერიმელა | 20 | 8 | 6 | 6 | 27-26 | 30 |
| 6. ლოკომოტივი | 20 | 7 | 5 | 8 | 38-34 | 26 |
| 7. სულორი | 20 | 4 | 1 | 15 | 18-47 | 13 |
| 8. ადელი | 20 | 2 | 4 | 14 | 23-49 | 10 |

### II ლიგა, აღმოსავლეთი ზონა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სასკო (თბ. | 27 | 20 | 4 | 3 | 68-18 | 64 |
| 2. იუსი ბესტი (თბ.) | 27 | 15 | 8 | 4 | 63-32 | 53 |
| 3. ივერია (ხაშური) | 27 | 13 | 4 | 10 | 58-43 | 43 |
| 4. ლიახვი (აჩაბ.) | 27 | 12 | 4 | 11 | 48-46 | 40 |
| 5. დუშეთი | 27 | 12 | 4 | 11 | 52-50 | 40 |
| 6. აგული (ახალქ.) | 27 | 12 | 3 | 12 | 44-53 | 39 |
| 7. 35-ე სკოლა (თბ.) | 27 | 12 | 3 | 12 | 53-57 | 39 |
| 8. ლაგოდეხი | 27 | 8 | 4 | 15 | 25-48 | 28 |
| 9. იბერია (თბ.) | 27 | 8 | 3 | 16 | 42-61 | 27 |
| 10. ალგეთი (მარნ.) | 27 | 4 | 1 | 22 | 20-65 | 13 |

### დუბლების ჩემპიონატი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო (თბ.) | 33 | 24 | 5 | 4 | 95-35 | 77 |
| 2. ზაია (ზუგდ.) | 33 | 19 | 5 | 9 | 72-47 | 62 |
| 3. ტორპედო (ქუთ.) | 33 | 15 | 9 | 9 | 65-43 | 54 |
| 4. ვიტ ჯორჯია (თბ.) | 33 | 15 | 8 | 10 | 56-41 | 53 |
| 5. სპარტაკი (ცხ.) | 33 | 14 | 10 | 9 | 70-55 | 52 |
| 6. ზესტაფონი | 33 | 15 | 6 | 12 | 70-58 | 51 |
| 7. მეტალურგი (რუს.) | 33 | 14 | 4 | 15 | 52-59 | 46 |
| 8. გაგრა | 33 | 11 | 11 | 11 | 44-47 | 44 |
| 9. დილა (გორი) | 33 | 11 | 8 | 14 | 40-56 | 41 |
| 10. კოლხეთი (ფ) | 33 | 8 | 7 | 18 | 37-59 | 31 |
| 10. სიონი (ბოლნ) | 33 | 5 | 8 | 20 | 24-75 | 23 |
| 12. მერანი (მარტ) | 33 | 4 | 5 | 24 | 28-78 | 17 |

### ჭაბუკთა ლიგა

**1994/95 წლებში დაბადებულნი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 33 | 25 | 1 | 7 | 110-46 | 76 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 33 | 21 | 7 | 5 | 97-37 | 70 |
| 3. ტორპედო | 33 | 20 | 3 | 10 | 77-55 | 63 |
| 4. მერანი | 33 | 18 | 4 | 11 | 50-31 | 58 |
| 5. მეტალურგი | 33 | 15 | 6 | 12 | 68-62 | 51 |
| 6. ზაია | 33 | 15 | 5 | 13 | 63-60 | 50 |
| 7. გაგრა | 33 | 12 | 6 | 15 | 69-83 | 42 |
| 8. დილა | 33 | 11 | 7 | 15 | 56-70 | 40 |
| 9. სპარტაკი | 33 | 10 | 7 | 16 | 63-74 | 37 |
| 10. ზესტაფონი | 33 | 10 | 4 | 19 | 51-92 | 34 |
| 11. სიონი | 33 | 4 | 10 | 19 | 27-56 | 22 |
| 12. კოლხეთი | 33 | 3 | 8 | 22 | 27-92 | 17 |

**1996-97 წლებში დაბადებულნი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გაგრა | 33 | 26 | 3 | 4 | 86-29 | 81 |
| 2. მეტალურგი | 33 | 23 | 2 | 8 | 83-28 | 71 |
| 3. სიონი | 33 | 22 | 4 | 7 | 95-28 | 70 |
| 4. ზაია | 33 | 18 | 8 | 7 | 52-31 | 62 |
| 5. ტორპედო | 33 | 14 | 9 | 10 | 63-57 | 51 |
| 6. ვიტ ჯორჯია | 33 | 12 | 8 | 13 | 39-46 | 44 |
| 7. მერანი | 33 | 11 | 9 | 13 | 40-53 | 42 |
| 8. დილა | 33 | 12 | 4 | 17 | 43-62 | 40 |
| 9. დინამო | 33 | 11 | 5 | 17 | 40-49 | 38 |
| 10. სპარტაკი | 33 | 7 | 4 | 22 | 27-69 | 25 |
| 11. კოლხეთი | 33 | 4 | 7 | 22 | 19-77 | 19 |
| 12. ზესტაფონი | 33 | 5 | 3 | 25 | 27-85 | 18 |

## განცხადება

საფეხბურთო კლუბი თბილისის „ლოკომოტივი“ აცხადებს შერჩევას 1998-1999 წლებში დაბადებულ ბავშვებში. შერჩევა ჩატარდება საგურამოს საფეხბურთო ბაზაზე 16 ივნისს. მსურველებს მოემსახურება ავტობუსი, რომელიც გავა მაიაკოვსკის ძეგლის მიმდებარე ტერიტორიიდან 16 ივნისს 10 საათსა და 30 წუთზე (მარშრუტით — თბილისი-საგურამო-თბილისი). შერჩეული ბავშვები გათავისუფლებული იქნებიან გადასახადისგან. კლუბი უზრუნველყოფს ბავშვებს სპორტული ინვენტარით და ტრანსპორტირებით.

საკონტაქტო ტელეფონები: 551 10-39-89, 593 20-00-92, 599 96-09-29



# ფრაგმენტები შოთა არველაძის ავტობიოგრაფიული წიგნიდან

ჩვენი ბიბლიოთეკა

## აიაქსი — ოცნების ახდენა

გაგრძელება. დასაწყისი: ლელო №110(13716)

თბილისში გატარებული ეს შვებულებაც განსაკუთრებული იყო. მთელი თბილისი ჩემზე და **გიოზე** ლაპარაკობდა. მომდევნო თაობებისთვის ეს საუკეთესო მაგალითი იქნება იმისა, რომ ყველას, ვისაც ფეხბურთი უყვარს, და მისთვის ბევრი რამის დათმობა შეუძლია, — აუცილებლად აუხდება ოცნება!..

ეს იყო სტიმული ყველა ფეხბურთზე უზომოდ შეყვარებულისთვის და მათი მშობლებისთვის. ხშირად მსმენია, ვინმეზე უთქვამთ, — იმიტომ ვერ ითამაშა, რომ მწვრთნელს არ მოსწონდაო... ან, მამამისს მწვრთნელისთვის მისაცემი ფული არ ჰქონდაო. არასდროს მჯეროდა ამისთანა ლაპარაკების და არც დავიჯერებ, რადგან ის, რაც ქართულ ფეხბურთში მოხდა, ამის უტყუარი დასაბუთებაა.

ჩვენგან ვინმემ როდისმე ფული აილო?! პირიქით, მილიონები დაუჯდათ ჩვენი გადაბირება და ორი ქართველი — ევროპულ გრანდში მიგვიწვიეს.

გიოს ბევრი პრობლემა ადვილად მოვაგვარეთ, მე ყველაფერში გარკვეული ვიყავი. სანამ სახლს მოძებნიდა, ერთად ვცხოვრობდით. ის, რომ ფეხბურთის თამაში მაღალ დონეზე შემეძლო, — ყველაამ ნახა. მე ის მახარებდა, რომ მთელი ევროპა დაინახავდა, ქართველებს გოლის გატანის გარდა, ფეხბურთის მოედანზე სასწაულების კეთებაც შეუძლიათო, რომ დრიბლინგი ჩვენთან ქართული ცეკვაა და თანაც ყველასგან განსხვავებული... რომ წარმოვიდგენდი გიოს „აიაქსის“ მაისურით, მის სასწაულ თამაშს, თვალწინ ფეხზე დამდგარი „არენა“ წარმომიდგებოდა. ეს ის გულშემატკივარია, რომელიც **პიტ კეიზერს, იოჰან კრუიფს, შაკი შვარცს, მარკო ვან ბასტენს, ფრანკ რაიკარდს, იარი ლიტმანენს, დე ბურებს** და **დენის ბერკამპს** უკრავდა ტაშს... ვგრძნობდი, რომ ჩვენი დრო იყო!.. დიახ, ჩვენი, — ჩემი და გიოსი!..

ლიგის საკმაოდ ძლიერი ჯგუფი გვერგო, - „პორტო“, „ოლიმპიაკოსი“, „ზაგრები“, ამ გუნდებთან გასვლითი თამაშები ყოველთვის ძალიან რთულია... მოკლედ, მოუთმენლად ველოდით მის დაწყებას.

ჩვენები ცდილობდნენ ხშირად ჩამოსულიყვნენ და ყველაფერში დაგვხმარებოდნენ. **კიქას** არც ერთი მნიშვნელოვანი თამაში არ გაუცდენია, ხან ბრედაში იყო, ხან ამსტერდამში.

დანიაში ამხანაგური მატჩი ვითამაშეთ „ბრონდბიუსთან“ და 4:1 დავამარცხეთ. **ოლსენმა** გიო მარცხენა ფლანგზე დააყენა. პირველი გოლიც მისი პასით გავიტანე და ამის შემდეგ გიომ სასწაულები მოახდინა... ოთხი კაცი მოატყუა და ბურთი მეკარეს თავზე გადაუგდო.

გასახდელში მთელი გუნდი ოვაციებით შეხვდა, მხოლოდ მე ვიძახდი, — ეს არაფერია, ჯერ სადა ხართ, ნამდვილი გიო თქვენ არ გინახავთ-მეთქი... ამან, ყველა კიდევ უფრო გაახარა, ყველაფერი თითქოს კარგად მიდიოდა... და სწორედ ამ დროს დავშავდი, საზარდულის ქრონიკული ტკივილი დამეწყო. მდგომარეობა ყოველდღე მიუარესდებოდა... ჰოლანდიის სუპერთასზე, პსვ-სთან, — 0:2-ით დავმარცხდით, ეს გიოს დებიუტი იყო. საზარდულმა ექვსი კვირა გამომატოვებინა, მაგრამ მანამდე ტრადიცია მაინც არ დავარღვიე და „ტილბურგს“ ერთი გოლი გავუტანე. „აიაქსმა“ 2:0 გაიმარჯვა. იძულებითი შესვენების შემდეგ, ჩემპიონატის .რამდენიმე მატჩი ვითამაშე და რამდენიმე გოლიც გავიტანე. ამსტერდამში, საკმაოდ რთულ მატჩში, „პორტოს“ 2:1 ვძლიეთ... და როცა ვიფიქრე, ტრავმებს მოვერიე და ნელნელა ჯანზე მოვდივარ-მეთქი, ჩემპიონთა ლიგის საშინაო მატჩზე, „ოლიმპიაკოსთან“ ისე დავშავდი, — ათი წელი გავიდა და მუხლი დღესაც მაწუხებს... თამაშიდან მეოცე წუთზე გამოვედი და... დიდი ხნით დავემშვიდობე ფეხბურთს...

ჩემს კარიერაში ეს მატჩი ყველაზე ცუდი გასახსენებელი აღმოჩნდა. ექიმებმა ხრტილისა და უკანა ჯვარედინა იოგის დაზიანება დამიდგინეს, მაგრამ რატომღაც ოპერაციის გაკეთებისგან თავი შეიკავეს. „აიაქსს“ კიდევ ბევრი პრობლემა ჰქონდა. თავდაპირველად, გიოს მარცხნიდან ათამაშებდნენ, რაც ძალიან არ მოსწონდა, მას თავის საყვარელ ადგილზე სურდა თამაში, სადაც იარი ლიტმანენი თამაშობდა, ყოველთვის ვცდილობდი ამეხსნა გიოსთვის, — ამ რანგის გუნდში, სადაც გათამაშებენ, იქ უნდა დაამტკიცო, რომ მაგარი ხარ, მაგრამ მან ასე არ მოინდომა. ამას გარდა, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი — ძმები დებურების სასამართლო იყო. მათ **ლუის ვან გაალი** „ბარსელონაში“ ეპატიჟებოდა და საქმე სასამართლომდე მივიდა. კლუბში არასასურველი ატმოსფერო სუფევდა. ყველას ესმოდა, რომ ძალით ფეხბურთელს ვერავინ დატოვებდა, თანაც მაშინ, როცა „ბარსელონასნაირი“ გუნდი ეპატიჟებოდა. ლისაბონში, „პორტოსთან“ დამარცხების შემდეგ, ოლსენი გაუშვეს და მის მაგივრად წარსულში ცნობილი ფეხბურთელი, **იან ვოუტერსი** დაინიშნა, რომელიც მანამდე „აიაქსი-2“-ს წვრთნიდა.

გუნდი მეორე წრისთვის მომსამზადებლად სამხრეთ აფრიკაში მიდიოდა, სადაც ახალმა მწვრთნელმა გიო სიაში არ შეიყვანა. ამით ნათელი გახდა, რომ ვოუტერსს გიო არ სჭირდებოდა. სიმართლე გითხრათ, ველოდი, რომ ასე მოხდებოდა. ყველაფერი აქეთ მიდიოდა, მაგრამ გული ძალიან დამწყდა, რომ ჩვენი ლამაზი, საერთო ოცნება არ ახდა... „რეინჯერსში“ თამაშისას, ვერ მოვითმინე და ვოუტერს ვკითხე, რატომ არ სცადა, სულ პატარა შანსი მიეცა გიოსთვის. ვიცი, რომ კარგად ხედავდა მის პოტენციალს. მიპასუხა — თუ ფეხბურთელს თვითონ არ უნდა, მე ვერაფერს შევძლებო. ეს პასუხი საკმარისი არ იყო ჩემთვის, მაგრამ დროს უკან ველარ დავაბრუნებდი და ვერც ვერაფერს შევცვლიდი...

სამხრეთ აფრიკით ძალიან მოვიხიბლე. სასწაული ადგილებია, ასეთი ეგზოტიკური სილამაზე მანამდე არსად მენახა. კეიპთაუნში ის ციხეც მოვინახულეთ, სადაც **ნელსონ მანდელამ** ოცდაშვიდი წელი გაატარა და მთელ მსოფლიოს დაუმტკიცა, რომ თავისუფლებისთვის ბრძოლას არასდროს შეწყვეტდა, რომ ყველა ადამიანი ერთნაირი უფლებებით უნდა სარგებლობდეს და რომ ყველა ერთი ღმერთის შვილია. საკანი, სადაც იჯდა, ძალიან პატარა იყო, ერთი პაწაწინა ვითომ ფანჯრით, რომელშიც მხოლოდ ცხვირი და ტუჩები თუ გაეტეოდა იმისთვის, რომ გესუნთქა. ბეტონის იატაკზე, ასეთივე ზომის ნახვრეტი იყო, — გასაგებია, რისთვისაც... ახლა ეს ციხე მუზეუმად არის გადაკეთებული და მისი დათვალიერება ყველას შეუძლია.

„აიაქსი“ დებურებმაც დატოვეს და ჰოლანდიაში დაბრუნებულებს თავი მაინცდამაინც არაფრით გამოგვიჩენია. **გიო ქინქლაძე** მეორე გუნდში ვარჯიშობდა. ეჩხუბებოდნენ, ჰოლანდიური ენის გაკვეთილებს ნუ აცდენო. არ ვიცი, ძალით უშლიდნენ ნერვებს, თუ რა იყო.

წინა სამატჩო განაცხადს აღარც კი ვამოწმებდით, ვიცოდით, რომ გიო არ იქნებოდა. სწორედ ერთ-ერთი ასეთი თამაშის წინ, „ვიტესთან“, გიომ სტადიონზე დამტოვა და თვითონ ქალაქში წავიდა. გასახდელში შესულს, გიოს „მაიკა“ შემეფეთა და გაკვირვებისგან **დინ გორეს** ვკითხე, — რა, გიო განაცხადშია-მეთქი?! რაზეც, დადებითი პასუხი მივიღე. გავგიჟდი, ვიფიქრე, ყველა გადაირევა, რომ გაიგებენ — ქინქლაძე თამაშზე არ გამოცხადდაო!.. ქალაქში მის საძებნელად გავვარდი. ვიპოვნე, მაგრამ კრებაზე დაგვაგვიანდა. განრისხებულმა ვოუტერსმა ორივე გამოგვიშვა ოთახიდან... მე მითხრა, — შეგიძლია სახლში წახვიდეო, თამაშიდან დათხოვნილი ვიყავი... საშინლად დავიბოლმე, მაგრამ იქ კამათი არ დამიწყია. კრების დამთავრებას დაველოდე და მასთან სალაპარაკოდ შევედი. ვთხოვე, რომ მოესმინა და მერე მიეღო გადაწყვეტილება. ვუთხარი, რომ გიო ჩემთვის მხოლოდ თანაგუნდელი არ იყო... და რომ ხვალ მთელი ევროპა შემიტყობდა, რომ გიო თამაშზე არ გამოცხადდა. ამის შემდეგ გადავწყვიტე, გიო მომეძებნა და მომეყვანა. თან ისიც ვუთხარი, როცა მას ჰოლანდიურის გაკვეთილები აქვს, ხუთი კაცი მაინც ვახსენებთ, რომ არ გააცდინოს-მეთქი. კაცს ორი-სამი თვეა არ უთამაშია, არავინ გააფრთხილა, რომ ამხელა პაუზის შემდეგ განაცხადში იყო შეყვანილი და ეს გაუგებრობა მარტო გიოს ბრალი არ არის-მეთქი... მართალია, განრისხებული იყო, მაგრამ კარგად მომისმინა, მითხრა, — შენზე უფრო ვარ გაბრაზებული, ვიდრე გიოზეო, პროფესიონალი ხარ და პირველ რიგში შენს თავზე უნდა გეფიქრაო...

ბოლოს გადაწყდა, რომ დამტოვებდა, ოღონდ სასტარტოში აღარ ვიყავი. ადგილი მხოლოდ სათადარიგო სკამზე შემხვდა. გიო კი საერთოდ დაითხოვა თამაშიდან. იმის მერე, რაც გადაგვხდა, ამითაც კმაყოფილი დავრჩი.

თამაში საკმაოდ დაძაბული გამოდგა. ოთხმოცდამეერთე წუთზე ვოუტერსმა მინდორზე შემიყვანა და გოლის გატანაც მთხოვა. დავალება შევასრულე და „აიაქსმა“ გაიმარჯვა. თამაში რომ დასრულდა, პირჯვარი გადავიწერე და ღმერთს მადლობა გადავუხადე.

სეზონის ბოლო მატჩს „აიაქსი“ საკუთარ მინდორზე „რკს“-ს ეთამაშებოდა. ამ მატჩში ამსტერდამ „არენა“ მის ორ დიდ ლეგენდას ემშვიდობებოდა, — **დენი ბლინდი**, უკანასკნელად შეიბამდა მკლავზე კაპიტნის სამკლაურს... ის კარიერას ასრულებდა... მეორე **იარი ლიტმანენი** იყო, — ბარსელონაში გადადიოდა. რა თქმა უნდა, სტადიონი გადაივსო და მთელი თამაშის განმავლობაში მათ სახელებს ყვიროდნენ. პირველი გოლი ლიტმანენმა გაიტანა და კიდევ ერთხელ გაახარა გულშემატკივარი, რომელიც დიდი გულისტკივილით აცილებდა მას. მატჩის დამთავრებას რამდენიმე წუთი აკლდა, როცა **რიხარდ ვიჩგეს** გადაცემის შემდეგ, მეკარესთან პირისპირ აღმოვჩნდი, მეკარე ჩამოვიცილე და, როდესაც ბურთის ცარიელ კარში დარტყმა გადავწყვიტე, იარი ლიტმანენი წამომეწია, მივხვდი, რომ ძალიან უნდოდა კიდევ ერთი გოლის გატანა, წამითაც არ დავფიქრებულვარ, გადავაწოდე და... იარიმ ბურთი ცარიელ კარში შეაგორა... მთელი არენა ფეხზე იდგა და ტაშს გვიკრავდა. დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ აპლოდისმენტების უმეტესობა ჩემს მიერ გაკეთებულ ჟესტს მოჰყვა, — აბა, ლიტმანენის გოლი ამსტერდამში არავის უკვირდა. დინ გორემ კი თამაშის შემდეგ მითხრა: — არ მეგონა, ზანგებსაც თუ აყრიდათ ბუსუსებიო, შენი ამ საქციელის შემდეგ მთელ ტანში ჟრუანტელმა დამიარაო...



შოთა არველაძემ (შუაში) აიაქსში არაერთი ტიტული იზეიმა

**აჩის** „ბრედა“ უმაღლესი ლიგიდან ვარდებოდა, ამიტომ მას „აიაქსი“ უნდა დაემარცხებინა. ხოლო მათ უშუალო კონკურენტს არ უნდა მოეგო. აჩიმ საუცხოო გოლი გაუტანა **ვან დერ სარს**, მაგრამ **მაკარტის** გოლმა „ბრედას“ გამარჯვების საშუალება არ მისცა და აჩის „ბრედაც“, — „დაგვებრიდა“!..

ამდენი იმედგაცრუების შემდეგ, „აიაქსმა“, თასის ფინალში, „სიტარდის“ დამარცხება შეძლო და ცოტა გამოუსწორა გულშემატკივარს ხასიათი.

შვებულებაში გაორებული გონებით წავედი. რა თქმა უნდა, ხანგრძლივი, და მით უმეტეს, ასეთი ცუდი საფეხბუროთ სეზონის შემდეგ, დასვენება წამალივით საჭირო იყო, თან ტრავმა ძალიან გამირთულდა და მუხლის მდგომარეობა ყველაფერს მამწარებდა. „აიაქსის“ ფიზიოთერაპევტმა და ჩემმა მეგობარმა **პიმ ვან დორტმა** საშვებულებოდ, პერსონალური სავარჯიშო პროგრამაც კი გამიკეთა, მაგრამ დღითი დღე ვრწმუნდებოდი, რომ ფეხს ქირურგიული ჩარევა დასჭირდებოდა. ჩემი ოჯახი ყველანაირად ცდილობდა, ფსიქოლოგიურად მოვეძლიერებინე. მიუხედავად იმისა, რომ **აჩი** და **რეზი** ორივე ფეხბურთს თამაშობდნენ, იმ წუთებში მაინც მე მჭირდებოდა გამხნევება, ამიტომ ყველა ჩემი პრობლემით იყო დაკავებული.

გაგრძელება იქნება

D ჯგუფი. II ტურის წინ

# ევრო 2012

15.06. დონეცკი. დონბას არენა. 20:00

**უკრაინა-საფრანგეთი**

დისკვალიფიკაცია: არავინ.
ტრავმა: არავინ.

**ბოლო 5 მატჩი**

| | |
|---|---|
| **უკრაინა** | |
| ისრაელი-უკრაინა | 2:3 |
| უკრაინა-ესტონეთი 4:0 | |
| ავსტრია-უკრაინა | 3:2 |
| თურქეთი-უკრაინა | 2:0 |
| **ევრო 2012** | |
| უკრაინა-შვედეთი | 2:1 |
| **საფრანგეთი** | |
| გერმანია-საფრანგეთი | 1:2 |
| საფრანგეთი-ისლანდია | 3:2 |
| საფრანგეთი-სერბეთი | 2:0 |
| საფრანგეთი-ესტონეთი | 4:0 |
| **ევრო 2012** | |
| საფრანგეთი-ინგლისი | 1:1 |

**სავარაუდო შემადგენლობები**

**უკრაინა (4-2-3-1):** პიატოვი – გუსევი, [illegible]ერიდი, მიხალიკი, სელინი – ტიმოშუკი, როტანი – ნაზარენკო, კონოპლიანკა, იარმოლენკო – შევჩენკო.

**საფრანგეთი (4-3-3):** ლორისი – დებიუში, რამი, მექსესი, ევრა – კაბაი, მვილა, მალუდა – ნასრი, რიბერი, ბენზემა.

**მსაჯი:** ბიორნ კუიპერსი (ჰოლანდია).

## ფრანგები უკრაინელებს უფრთხიან და პირიქით...

**მოკლედ, ფრანგებიც და უკრაინელებიც მონოდების სიმაღლეზე იყვნენ და მით უფრო საინტერესოა, როგორ ითამაშებენ ერთმანეთში.**



ანდრეი შევჩენკო და ოლეგ ბლოხინი პრესკონფერენციაზე

**პირველ** შეხვედრებში ორივე გუნდმა საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა – უკრაინელებმა შვედებს სძლიეს და პირველი სამი ქულა ჩაინერეს აქტივში, ფრანგებმა კი ქულა გაიყვეს ინგლისელებთან, თუმცა თამაშის სურათიდან გამომდინარე, უნდა მოეგოთ კიდეც... დიახ, ლორან ბლანის შეგირდებმა ბრიტანელებთან თამაში სრული უპირატესობით წარმართეს, მომენტიც გაცილებით მეტი შექმნეს და მთლიანობაში, უფრო ძლიერი გუნდის შთაბეჭდილება დატოვეს.

### ბლანი შეტევაზე გადადის

ლორან ბლანი კვლავ შემტევ სტრატეგიას აირჩევს და შეგირდებს 4-3-3 ტაქტიკით გაამწესებს; ცენტრფორვარდის პოზიციაზე სავარაუდოდ **ქარიმ ბენზემა** გაირჯება და შესაბამისად, **ოლივიე ჟირუს** კვლავ თადარიგში მოუწევს ჯდომა. ფლანგებიდან ქარიმს **სამირ ნასრი** და **ფრანკ რიბერი** დაეხმარებიან. ინგლისელებთან შეხვედრა ტრავმის გამო **იან მვილამ** გამოტოვა, რომელიც **ალი დიარამ** ჩაანაცვლა – ფრანგულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მვილა სრულ მზადყოფნაშია და ამჯერად, სწორედ ის იქნება ძირითად შემადგენლობაში. სხვა მხრივ, ფრანგთა ბანაკში სრული სიმშვიდეა და საინტერესოც ბევრი არაფერი ხდება.

დიდი სამზადისია უკრაინელთა ბანაკშიც – **ოლეგ ბლოხინი** საბრძოლველად გეშავს შეგირდებს და აცხადებს, რომ ჯგუფური ბარიერის დაძლევას სწორედ ფრანგებთან პაექრობაში აპირებს. უკრაინელ ჟურნალისტთა მტკიცებით, ბლოხინი ტაქტიკას შეცვლის და შეგირდებს 4-2-3-1 სქემით განალაგებს; ამბობენ, მოგებულს არც შემადგენლობას ცვლიან და არც ტაქტიკასო, მაგრამ როგორც ჩანს, ეს განსაკუთრებული შემთხვევაა; პრინციპში, ბლოხინის გათვლებში ლოგიკის დანახვა ძალიან მარტივია – ფრანგთა ძლიერი მხარე მოქნილი ნახევარდაცვა, ბურთის კონტროლია და უკრაინელთა თავკაცსაც სწორედ შუა ხაზის გაძლიერება სურს, რათა ბურთზე კონტროლი სწორედ მისმა გუნდმა დაანესოს. სავარაუდოდ, ამ გათვლებს შეეწირება **ანდრეი ვორონინის** ინტერესები, რომელიც თადარიგში გადაინაცვლებს, ერთადერთი და გამოკვეთილი ფორვარდი კი მასპინძლებს **ანდრეი შევჩენკო** ეყოლებათ. თუმცა, არის მეორე ვარაუდიც, რომლის მიხედვითაც სწორედ შევა იქნება თადარიგში, ვორონინი კი ძირითადში. ვნახოთ, ამასაც მალე გავიგებთ...

### ცოტა რამ ისტორიიდან

უკრაინელებს და ფრანგებს ერთმანეთში 6 შეხვედრა აქვთ გამართული, რომელთაგან 3 მატჩი გალებმა მოიგეს, 3 კი ფრედ დასრულდა. მოკლედ, სამფეროვნების უპირატესობა თვალსაჩინოა და ეს არც არის გასაკვირი, რადგან როგორც წესი, ფრანგები უკრაინელებთან ფავორიტებად ითვლებიან – ასე იყო აქამდე და ასეა დღევანდელ პაექრობაშიც. ამ გუნდების ყველაზე დასამახსოვრებელი მატჩი 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე გაიმართა, როდესაც კიევური დაპირისპირება შედეგიანი ფრით დასრულდა, 2:2; მაშინ, უკრაინელთა რიგებში სწორედ ვორონინი და შევჩენკო გამოირჩნენ, ფრანგთა რიგებიდან კი გოლები **სიდნი გოვუმ** და **ტიერი ანრიმ** გაიტანეს. იმავე შესარჩევის პარიზულ შეხვედრაში გალებმა სლავებს შანსი არ დაუტოვეს და ორი უპასუხო ბურთით დაამარცხეს – გოლები **რიბერიმ** და **ანელკამ** შეაგდეს. ფრანგებმა ყველაზე დიდი ანგარიშით უკრაინელებს 2011 წელს გამართულ ამხანაგურ შეხვედრაში სძლიეს – მაშინ, ლორან ბლანის შეგირდებმა მეტოქეზე 4:1 იძალეს. მოკლედ, უკრაინელებს სარევანშოდ აქვთ საქმე და ვნახოთ, რით დასრულდება ეს ყველაფერი.

### კომენტარები

**ოლეგ ბლოხინი (უკრაინა):** *"სიმართლე გითხრათ, მერჩივნა მეორე შეხვედრა ინგლისელებთან გაგვემართა და გამარჯვების შემთხვევაში, ჯგუფიდან გასვლის ამოცანაც გადაგვეჭრა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ლორან ბლანის გუნდმა ბევრად უკეთესი შთაბეჭდილება დატოვა და ალბათ, გამარჯვებასაც იმსახურებდა. ფრანგები ბურთს ბრწყინვალედ აკონტროლებენ და პირველი ნომრიდან თამაში ეხერხებათ, რაც ჩვენ არ გვაწყობს – ვეცდებით, მოედნის ცენტრში უპირატესობა მოვიპოვოთ და აქეთ შევუტიოთ მეტოქეს. ვიცი, რომ ეს ურთულესი იქნება, მაგრამ იოლი მიზნების დასახვა ჩვენი სტილი არასდროს ყოფილა".*

**ლორან ბლანი (საფრანგეთი):** *"უკრაინელებს გულშემატკივართა არანორმალური მხარდაჭერა გარანტირებული აქვთ, რაც უდიდესი პლუსია. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს ანდრეი შევჩენკო, რომლის მიმართაც მაქსიმალური ყურადღებით თამაშია საჭირო. მეორე მხრივ, ჩვენი ფეხბურთი უნდა ვითამაშოთ და ის გავაკეთოთ, რაც ყველაზე უკეთ გამოგვდის. ჩემი საფეხბურთო ფილოსოფია ბურთის კონტროლი და შეტევაა – ვნახოთ, წინ ძალიან საინტერესო პაექრობა გველის".*

**ლაშა ნიკლაური**

15.06. კიევი. ეროვნული სტადიონი. 22:45

**შვედეთი-ინგლისი**

დისკვალიფიკაცია: რუნი (ინგლ)
ტრავმა: იბრაჰიმოვიჩი (?) – კოული (?), პარკერი (?)

**ბოლო ხუთი მატჩი**

| | |
|---|---|
| **შვედეთი** | |
| ბაჰრეინი-შვედეთი | 0:2 |
| ხორვატია-შვედეთი | 1:3 |
| შვედეთი-ისლანდია | 3:2 |
| შვედეთი-სერბეთი | 2:1 |
| **ევრო 2012** | |
| უკრაინა-შვედეთი | 2:1 |
| **ინგლისი** | |
| ინგლისი-შვედეთი | 1:0 |
| ინგლისი-ჰოლანდია | 2:3 |
| ნორვეგია-ინგლისი | 0:1 |
| ინგლისი-ბელგია | 1:0 |
| **ევრო 2012** | |
| საფრანგეთი-ინგლისი | 1:1 |

**სავარაუდო შემადგენლობები**

შვედეთი (4-2-3-1): ისაკსონი – ლუსტიგი, მელბერგი, გრანკვისტი, მ. ოლსონი – სვენსონი, ჩელსტრიომი – ლარსონი, იბრაჰიმოვიჩი, ტოივონენი – ელმანდერი

ინგლისი (4-4-1-1): ჰარტი - ჯონსონი, ტერი, ლესკოტი, კოული – მილნერი, ჯერარდი, პარკერი, ოქსლეიდ-ჩემბერლენი – იანგი – უელბეკი

მსაჯი: დამირ სკომინა (სლოვენია).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. უკრაინა | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| 2. საფრანგეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| 3. ინგლისი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| 4. შვედეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |

## ტრავმა, ტკივილი და გაძლება

### აი, შვედეთი-ინგლისის უმთავრესი წინასამატჩო თემა



2011 წლის 15 ნოემბერს, ფაბიო კაპელოს ბოლო შეხვედრაში ინგლისმა შვედეთს ექსპერიმენტული შემადგენლობით მოუგო. რა მოხდება ზუსტად 6 თვის თავზე?

ევროპის ჩემპიონატის მეორე ტურს შვედეთისა და ინგლისის შეხვედრა დაასრულებს. ეს დაპირისპირება ორივე გუნდისთვის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია, რადგან ვერმოგების შემთხვევაში ინგლისი ჯგუფიდან გასასვლელ გზას ძალიან ირთულებს, შვედეთი კი წყვეტს ბრძოლას პლეი ოფისთვის.

ინგლისის ნაკრების დამრიგებელს ის არ ეყოფოდა, რომ ჩემპიონატამდე წამყვანი ფეხბურთელების მთელი წყება დაუშავდა (**ლემპარდი, ბერი, კეჰილი**, ამას დაუმატეთ **უეინ რუნის** დისკვალიფიკაცია), ტრავმებმა მის გუნდს ტურნირის მიმდინარეობისასაც დარია ხელი – მხოლოდ გამაყუჩებლებით ახერხებს თამაშს **სკოტ პარკერი**, სერიოზული პრობლემები აქვს **ეშლი კოულსაც**, ვინც ოთხშაბათის ვარჯიში დროზე ადრე შეწყვიტა და მას მერე მინდორს არ გაკარებია. ნაკრების ექიმებსა და ფიზმომზადების მწვრთნელებს კატასტროფულად მცირე დრო აქვთ იმისთვის, რომ 31 წლის ფეხბურთელი ფეხზე დააყენონ. არავინ დავობს, რომ "ჩელსის" ვარსკვლავის არყოფნა დანაკლისი არ იქნება, თუმცა იმის თქმაც უტრირება იქნება, რომ კოულის გარეშე გუნდი დაიქცევა. სხვა თუ არაფერი, ჰოჯსონს ევერტონელი **ლეიტონ ბეინსი** ჰყავს, ვისაც ნამდვილად შეუძლია მაღალ დონეზე თამაში. ვერ დავეთანხმებით იმათ, ვინც ამტკიცებს, რომ ნაკრების დაცვის ოთხეულში ლივერპულელი სხვებზე კლასით შედარებით დაბლა იდგება.

ინგლისური პრესა ვარაუდობს, რომ თუკი კოულმა მაინც მოახერხა გამოჯანმრთელება, ასეთ შემთხვევაში, "სამი ლომის" სასტარტო შემადგენლობაში ცვლილება არ მოხდება. თუკი ეს ვარაუდი დადასტურდა, საინტერესო იქნება, ამ შანსს მაინც თუ გამოიყენებს კუნძულელთა თინეიჯერი ვარსკვლავი **ალექს ოქსლეიდ-ჩემბერლენი**, ფრანგებთან ხომ ის პრაქტიკულად შეუმჩნეველი იყო. პირველ ტურში საშუალო დონეზე ითამაშეს ცენტრალურმა ნახევარმცველებმა სკოტ პარკერმა და **სტივ ჯერარდმა**. ამის მიზეზი მხოლოდ მატჩის შემდეგ გახდა ცნობილი, "ტოტენჰემის" კაპიტანი თურმე ნატკენი ფეხით თამაშობს. სანამ სკოტს ფეხზე დგომა შეუძლია, ძირითადში მის ადგილს საფრთხე არ ემუქრება, მაგრამ თუკი ტკივილი გაძლიერდება, მისი შეცვლა **ჯორდან ჰენდერსონსა** ან **ფილ ჯონსს** მოუწევთ. პირველი ამპლუით სწორედ "საყრდენია", მეორეს კი ამ პოზიციაზე თამაშის საკმაო გამოცდილება აქვს.

### ზლატანის თავს რაღაც ხდება

ვისგან უნდა ელოდოს ინგლისის ნაკრები მთავარ საფრთხეს შვედებთან დაპირისპირებაში, ცხადზე ცხადია - **ზლატან იბრაჰიმოვიჩისგან.** თუმცა "მილანის" 30 წლის თავდამსხმელი თავს იდეალურად ვერ გრძნობს, რადგან ხისტ უკრაინელ მცველებთან ბრძოლაში მარცხენა ფეხზე ბარძაყის კუნთი ეტკინა. გუშინდელ ღია ვარჯიშზე იბრას დისკომფორტი სახეზე ეტყობოდა. როგორც ჩვენი უკრაინელი კოლეგები წერენ, ის სხვებზე ნელა დარბოდა, მკვეთრ მოძრაობებს თავს არიდებდა და ბურთს მხოლოდ მარჯვენა ფეხით ურტყამდა. მიუხედავად ამისა, ეჭვი არ გვეპარება, რომ რამე განსაკუთრებული თუ არ მოხდა, "ტრე კრუნურის" კაპიტანი აუცილებლად იქნება ძირითადში, თუმცა 100%-ით ამის მტკიცება წინდაწინ შეუძლებელია. სწორედ ეს განაცხადა შვედეთის ნაკრების პრესატაშე **ჰანს ჰულტმანმა**.

სკანდინაველთა ვარჯიშმა კიევის "დინამოს" ბაზაზე ხმაურიან და თბილ ატმოსფეროში ჩაიარა. ტრიბუნებზე 8 ათასამდე ადამიანი შეიკრიბა. შვედი ფანების გარდა იქ უკრაინელებიც იყვნენ შეკრებილნი. **ერიკ ჰამრენმა** ფეხბურთელებს ძირითადად მსუბუქი ვარჯიშების კეთება დაავალა. ისინი მოძრაობდნენ ნელა და აუღელვებლად, ყველაზე ხმაურიანი შვედი გულშემატკივრების წინაშე კი ჩერდებოდნენ, რათა გულითადად მისალმებოდნენ მათ და მხარდაჭერისთვის მადლობა გამოეცხადებინათ.

შვედი ჟურნალისტები ვარაუდობენ, რომ მთავარი მწვრთნელი უკრაინელებთან მატჩისგან განსხვავებით სასტარტო შემადგენლობაში ორ ცვლილებას შეიტანს. **რასმუს ელმის** ნაცვლად საყრდენ ნახევარმცველად ზეგამოცდილი **ანდერს სვენსონი** დადგება, თავდასხმაში კი **იოჰან ელმანდერი** დაბრუნდება, ვინც **მარკუს როზენბერგს** შეცვლის.

შვედეთი-ინგლისის მომავალ დაპირისპირებაზე კომენტარი გააკეთა ინგლისური ფეხბურთის ერთ-ერთმა უმთავრესმა ვარსკვლავმა **ალან შირერმა**. აი, რა უთხრა მან "დეილი მეილს": *"გააჩერეთ იბრაჰიმოვიჩი და გააჩერებთ შვედეთს. სწორედ ამაზე შეიძლება ლაპარაკი მატჩის დაწყებამდე. იბრაჰიმოვიჩი ერთ-ერთი ყველაზე მრავალმხრივად განვითარებული თავდამსხმელია მსოფლიოში. მოედანზე მისი ყურება პირადად ძალიან მსიამოვნებს. ის ფიზიკურად ძალიან დიდია, მშვენივრად თამაშობს მეორე სართულზე და თანაგუნდელებს მწვავე გადაცემებით ხშირად ამარაგებს. მოკლედ, ზლატანი ჩვენი მეტოქის უმთავრესი ვარსკვლავია, მაგრამ შვედები ხშირად ვერ ახერხებენ მისი პოტენციალის ბოლომდე გამოყენებას".*

**ლევან ბიბილაშვილი**

# ევრო 2012

ჰოლანდიის ნაკრები

# ჰოლანდია სასოწარკვეთილია

## ვან მარვიიკი სტრატეგიის შეცვლაზე ფიქრობს



განირავს ჰოლანდიელთა მწვრთნელი ბერტ ვან მარვიიკი თავის სიძეს? პრესა მარკ ვან ბომელის სასტარტოდან ამოგდებას ითხოვს

გერმანიის ნაკრებთან წაგებამ (1:2) საფეხბურთო ჰოლანდიაში, როგორც მოსალოდნელი იყო, უდიდესი დისკუსიები წარმოშვა. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, მიუხედავად ორი წაგებისა, ნარინჯისფრებს ჯერ კიდევ არ დაუკარგავთ მეოთხედფინალში გასვლის შანსი (ამისათვის საჭიროა, რომ გერმანიამ დანიას მოუგოს, ჰოლანდიამ კი პორტუგალია ორბურთიანი სხვაობით დაამარცხოს), მაგრამ ფაქტი ის არის, რომ ჰოლანდიელებს თავიანთი გუნდის ოდნავადაც აღარ სჯერათ. მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონს და ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტს სრული კრახის საფრთხე ემუქრება.

ჰოლანდია ამ ტურნირზე ვერანაირ როლს ველარ შეასრულებსო, თქვა გერმანიასთან მატჩის შემდეგ სატელევიზიო ექსპერტმა **ვიმ ვან ჰანეგემმა**, რომელიც 1974 წლის ჰოლანდიის ნაკრების ერთ-ერთი ვარსკვლავი გახლდათ და ამ აზრს შემდეგი არგუმენტი შეაშველა: გაიხსენეთ, როცა რომელიმე დიდ ტურნირზე ფინალში გავდიოდით, მომდევნო ტურნირზე ყოველთვის სირცხვილს ვჭამდითო.

1974 წლის მუნდიალზე ჰოლანდიელებმა მეორე ადგილი დაიკავეს, ევრო 76-ზე კი იუგოსლავიაში შერცხვნენ; 1978 წლის მუნდიალზეც ფინალში იყვნენ, 1980 წელს კი იტალიაში ვერაფერი გააწყვეს; 1988 წელს გერმანიაში ევროპის ჩემპიონები გახდნენ, 90-ში კი კვლავ სირცხვილი ჭამეს.

ჰოლანდიის ნაკრები ოდნავადაც აღარ ჰგავს იმ გუნდს, რომელმაც ორი წლის წინანდელ მუნდიალზე საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. **ბერტ ვან მარვიიკის** გუნდი თითქოს ნაწილებადაა დაშლილი! ალბათ ამიტომაც თქვა ვან მარვიიკმა გერმანიასთან მარცხის შემდეგ, ტაქტიკისა და სტრატეგიის შეცვლაზე სერიოზულად ვფიქრობ და დიდია იმის შანსი, რომ პორტუგალიასთან სულ სხვანაირად ვითამაშოთო.

ექსპერტების აზრით, ძირითადი შემადგენლობიდან ამოვარდნის უპირველესი კანდიდატი ბერტის სიძე **მარკ ვან ბომელია**. ჰოლანდიური პრესა დიდი ხანია ამას ითხოვს – მათი აზრით, უმჯობესია, რომ 4-2-3-1 ტაქტიკურ სქემაში მეორე საყრდენად ვან ბომელზე გაცილებით კრეატიულმა **რაფაელ ვან დერ ვაარტმა** ითამაშოს. შესაძლოა, ვან მარვიიკმა ბოლოს და ბოლოს გადადგას ის ნაბიჯი, რასაც მისგან მთელი ჰოლანდია ითხოვს და **კლაას-იან ჰუნტელაარი** ძირითად შემადგენლობაში ათამაშოს, მის უკან **რობინ ვან პერსი** გაამწესოს, **ვესლი სნეიდერი** კი მარცხენა ფლანგზე გადასწიოს. ასეთი გადაადგილებები **იბრაჰიმ აფელაის** სათადარიგოთა სკამზე დასმას გამოიწვევდა...

### მწვრთნელმა რობენი გააკრიტიკა

ჰოლანდიელთა თავკაცმა **ბერტ ვან მარვიიკმა** გერმანიასთან წაგების შემდეგ **არიენ რობენი** და **იბრაჰიმ აფელაი** გააკრიტიკა.

*„იმედი გვქონდა, რომ ამ თამაშს მოვიგებდით, ან მინიმუმ არ წავაგებდით. რობინ ვან პერსიმ და კლაას-იან ჰუნტელაარმა კარგად ითამაშეს, აფელაი და რობენი კი არ ვარგოდნენ. არადა, ჩვენი სტრატეგია დიდწილადაა დამოკიდებული გარემარბებზე. აფელაის და რობენს კარგად რომ ეთამაშათ, გერმანელებს ამ თამაშის მოგება ძალიან გაუჭირდებოდათ,“* - განაცხადა ვან მარვიიკმა გუშინ. შეგახსენებთ, რომ მან რობენი 83-ე წუთზე **დირკ კუიტით** შეცვალა და რობენმა მოედანი გაბრაზებულმა დატოვა.

**გოტფრიდ ლენცი**



არიენ რობენმა მოედანი გაბრაზებულმა დატოვა

დანიის ნაკრები

# ბენდტნერს დასჯიან?

## რომედალი გერმანიასთან ვერ ითამაშებს




ნიკლას ბენდტნერი ამ რეკლამის გამო დაისჯება

დანიისა და პორტუგალიის მატჩის (2:3) შემდეგ, პორტუგალიელთა კარში დუბლის ავტორი **ნიკლას ბენდტნერი** სხვა რამის გამოც მოექცა ყურადღების ცენტრში. კერძოდ, მეორე გოლის აღნიშვნისას მან მაისურა აიწია და ქვედა საცვალი გამოუჩნდა, რომელზეც ერთ-ერთი ტოტალიზატორის სახელი ეწერა. დანიელთა გოლეადორს ახლა ამის გამო უეფასგან ფულადი ჯარიმა ელის, რადგან მოედანზე ფეხბურთელთა მხრიდან ნებისმიერი სახის რეკლამა სასტიკად აკრძალულია.

*„რომელიმე ფირმისთვის რეკლამის გაკეთება არ მინდოდა. ეს ტრუსი ჩემმა მეგობარმა მაჩუქა, თილისმასავით გქონდეს, წარმატებებს მოგიტანსო და ამიტომაც მეცვა,“* - განაცხადა ბენდტნერმა, მაგრამ ცხადია, არაა გამორიცხული, რომ მისი მიზანი სწორედ Paddy Rower-ის რეკლამირება ყოფილიყო. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ხსენებული ირლანდიური ფირმის პრესმდივანმა **კენ რობერტსონმა** სოციალურ ქსელ თვითერზე დაწერა, ნიკლას ბენდტნერით ყველანი ვამაყობთო...

### ზიმლინგის თამაშიც კითხვის ნიშნის ქვეშაა

თუმცა დანიის ნაკრებს სხვა, უფრო სერიოზული პრობლემაც აქვს: ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩში, გერმანიასთან, დანიელთა მთავარი მწვრთნელი **მორტენ ოლსენი** ვეტერან გარემარბ **დენის რომედალს** ვერ გამოიყენებს. 33 წლის ფეხბურთელი, რომელსაც ნაკრებში 118 თამაში აქვს ჩატარებული, პორტუგალიასთან შეხვედრაში დაშავდა და მე-60 წუთზე შეცვალეს.

*„რომედალის არყოფნა უდიდესი დანაკლისი იქნება. გერმანიასთან უმნიშვნელოვანეს მატჩში მისი გამოცდილება ძალიან გამოგვადგებოდა,“* - დამწუხრებულია ოლსენი.

...და ეს ყველაფერი არის: კითხვის ნიშნის ქვეშაა საყრდენი ნახევარმცველის, **ნიკი ზიმლინგის** ასპარეზობაც, რომელიც პორტუგალიასთან მე-16 წუთზე გახდა შესაცვლელი. თუმცა ოლსენის თქმით, 27 წლის ზიმლინგს ჯერ კიდევ აქვს მომჯობინების შანსი.

**გოტფრიდ ლენცი**

ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა



ალან ძაგოევი

### ძაგოევი ლონდონში დაინახეს

რუსეთის ნაკრების 21 წლის შემტევმა **ალან ძაგოევმა** ევროპის ჩემპიონატის ორ მატჩში სამი გოლი გაიტანა და ცხადი იყო, რომ ევროპული გრანდების ყურადღებას მიიპყრობდა. ასეც მოხდა: გუშინ გავრცელებული ცნობების თანახმად, რუსეთის ნაკრების (საშუალო ასაკი 30.5 წელი) ახალგაზრდა გოლეადორით ლონდონის „არსენალი“ დაინტერესდა.

ძაგოევს მოსკოვის ცსკა-სთან კონტრაქტი 31 დეკემბრამდე აკავშირებს და მისი ფასი ევროპის ჩემპიონატზე სამი გოლის გატანის შემდეგ დაახლოებით 16 მილიონი ევროა. ამბობენ, 1.79 მეტრი სიმაღლის მქონე ალანით დაინტერესებას „რეალის“, „მილანისა“ და „იუვენტუსის“ ხელმძღვანელებიც იჩენენ და მომდევნო მატჩებში მას კარგად დააკვირდებიანო.

**გოტფრიდ ლენცი**

### რუსები უკან იხევენ

რუსეთის ნაკრებს პოლონეთში უამრავი გულშემატკივარი ჩაჰყვა, რომლებიც მარტო ქომაგობით არ შემოიფარგლნენ და ადგილობრივ სამართალდამცავებთან არაერთი შეტაკება ჰქონდათ; თუმცა, არა მარტო სამართალდამცავებთან, პოლონელ გულშემატკივრებთანაც და ბუნებრივია, რომ ამ ყველაფერს არაერთი რუსი ქომაგის ჯანმრთელობა შეეწირა.

გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რუსები პოლონეთში ვერ გრძნობენ უსაფრთხოდ თავს და სახლში დაბრუნებას იმაზე გაცილებით ადრე აპირებენ, ვიდრე დაგეგმილი ჰქონდათ. ამის შესახებ იმ ავიაკომპანიების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომლებმაც რუს გულშემატკივრებს მომსახურება გაუწიეს. მოკლედ, რუსები უკან იხევენ, თუმცა მიუხედავად ამისა, საბერძნეთის წინააღმდეგ, **დიკ ადვოკაატის** გუნდს დაახლოებით 20 000 ქომაგი ეყოლება.

**ლაშა ნიკლაური**

### ობრანიაკმა ბოდიში მოიხადა

პოლონეთის ნაკრების გამთამაშებელმა **ლუდოვიკ ობრანიაკმა** საჯაროდ მოიხადა ბოდიში იმის გამო, რომ რუსეთთან მატჩის მიწურულს, როდესაც მწვრთნელმა **ფრანტიშეკ ჟმუდამ** თამაშიდან მოხსნა, მოედანი აშკარად განრისხებულმა დატოვა.

*„სამწუხაროდ, თავი ვერ შევიკავე, ემოციები ვერ გავაკონტროლე. ვხვდები, რომ ცუდად მოვიქეცი, რის გამოც ყველას ბოდიშს ვუხდი,“* - უთხრა ობრანიაკმა ჩვენს პოლონელ კოლეგებს.

შეგახსენებთ, რომ ჯმუდამ ობრანიაკი მოედნიდან მატჩის 93-ე წუთზე, იმ დროს გაიყვანა, როცა საფინალო სასტვენამდე წამებილა იყო დარჩენილი და ობრანიაკს საჯარიმო დარტყმა უნდა შეესრულებინა. მოედნიდან გასვლის შემდეგ მან ჟმუდას უყვირა, მერე კი წყლის ბოთლი მოისროლა.

**გოტფრიდ ლენცი**

### ბერძნები მთავარი მეკარის გარეშე



კოსტას ხალკიასი

საბერძნეთის ნაკრებისთვის ჩეხებთან პაექრობა ყოველმხრივ წარუმატებელი გამოდგა – მარცხი მარცხად და ელადებს მთავარი კიპერი, **კოსტას ხალკიასიც** დაუშავდათ; თუ ამ მატჩს მიადევნეთ თვალი, გემახსოვრებათ, რომ ჰალკიასი ჯერ კიდევ პირველ ტაიმში შეცვალეს და მის ნაცვლად კარში **მიხალის სიფაკისი** ჩადგა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ხალკიასის ტრავმა საკმაოდ მძიმე გამოდგა და მის გამოჯანმრთელებას დაახლოებით ათი დღე დასჭირდება – ეს კი იმას ნიშნავს, რომ საბერძნეთის ნაკრები მთავარი კიპერის გარეშე დარჩა. სავარაუდოდ, რუსებთან პაექრობაში ბერძენთა კარს ისევ სიფაკისი დაიცავს, მისი დუბლიორი კი **ალექსანდროს ცორვასი** იქნება – არადა, ეს უკანასკნელი „პალერმოში“ ასპარეზობს და ბევრს მიაჩნია, რომ სწორედ ის უნდა ყოფილიყო ბერძენთა ნომერი პირველი კიპერი.

**ლაშა ნიკლაური**

ტოტენჰემი

# რედნაპი გააგდეს


ჰარი რედნაპი

"ტოტენჰემმა" ოფიციალურად დაადასტურა, რომ **ჰარი რედნაპი** ამიერიდან გუნდის მთავარი მწვრთნელი აღარ არის. 65 წლის სპეციალისტისთვის ეს ამბავი სულაც არ აღმოჩენილა სიურპრიზი, მეტიც, ჟურნალისტებთან მან თავის უახლოეს გეგმებზე ილაპარაკა: *"ნამდვილად არ ვაპირებ დეპრესიაში ჩავარდნას. ეს ჩემი სტილი არ არის. მე მიყვარს ფეხბურთი და მზად ვარ, ნებისმიერ სამსახურს მოვკიდო ხელი. სულაც არ მგონია, რომ ჩემი სამწვრთნელო კარიერა დამთავრებულია. ხომ ხედავთ, სერ ალექსი 70 წლისაა, მაგრამ მსოფლიოში ჯერაც საუკეთესო მწვრთნელია. ასე რომ, მე ჯერ კიდევ ქორფა კიტრივით ვარ. "ტოტენჰემის" ხელმძღვანელობამ დამიბარა და მითხრა, რომ სხვა გ ზით აპირებდა სიარულს. საწყენია, მაგრამ რას იზამ?! ეს მათი კლუბია და ამის უფლება აქვთ".*

უკვე გაჩნდა ვარაუდი, რომ რედნაპის ნაცვლად "უაით ჰართ ლეინზე" ევერტონელი **დევიდ მოიესის** მიწვევას აპირებენ. 49 წლის შოტლანდიელს ლივერპულელებთან კონტრაქტი ერთ წელიწადში უმთავრდება, ასე რომ, ხელშეკრულების საკომპენსაციოდ "ლურჯები" დიდ თანხას ვერ მოითხოვენ. goal.com-ის ცნობით კი, კლუბმა შეიძლება "უიგანის" თავკაცი **რობერტო მარტინესი** მიიწვიოს.

**ლევან ბიბილაშვილი**

ამბები

## უარი რეინჯერსს

გუშინაც ვწერდით, რომ "რეინჯერსის" ბედი 14 ივნისს უნდა გადაწყვეტილიყო. უმთავრესმა კრედიტორებმა კომპანია "ტიკეტუსმა" და ბრიტანეთის საბაჟო და საგადასახადო სამსახურებმა კლუბს დავალიანების ნებაყოფლობით დარეგულირებაზე უარი უთხრეს. გადაწყვეტილება "აიბროქსზე" კრების დაწყებიდან სულ რაღაც 10 წუთში მიიღეს. "რეინჯერსს" წინ ლიკვიდაციის პროცედურა ელის. მისი აქტივები კი აუქციონზე გაიყიდება. კლუბის მფლობელი ახალი კომპანია მაქსიმალურად შეეცდება, სტადიონზე მაინც შეინარჩუნოს უფლებები.

ამასობაში "დეილი რეკორდის" ცნობით, გუნდის მთავარი მწვრთნელი **ალი მაკოისტი** თანამდებობიდან გადადგა. 49 წლის სპეციალისტმა შეიტყო, რომ "რეინჯერსის" ახალი მესაკუთრე **ჩარლზ გრინი** მის გათავისუფლებას ისედაც აპირებდა და ასე ვთქვათ, ერთი ნაბიჯით გაუსწრო მოვლენებს.

## დი მატეო უკვე ოფიციალურად

**რობერტო დი მატეოს** ბოლოდროინდელ ლონდონურ თავგადასავლებს რამდენიმე ფაზა ჰქონდა. 1. როცა პრესამ დაწერა, რომ იტალიელის საკითხი გადაწყვეტილი იყო. 2. ამბავი კლუბმა დაადასტურა, მაგრამ არ თქვა, რამდენი წლით უფორმებდა ხელშეკრულებას მწვრთნელს და უკანასკნელი, ფაზა №3: "ჩელსიმ" დი მატეოს კონტრაქტის დეტალები გახადა საჯარო. ცნობილი გახდა, რომ სპეციალისტი "სტემფორდ ბრიჯზე" 2 წლით დარჩება. ჩვენ გვჯერა, რომ მას შეუძლია კლუბი კიდევ არაერთი ტრიუმფის მონაწილე გახადოს - განაცხადა პრეზენტაციის შემდეგ კლუბის აღმასრულებელმა დირექტორმა **რონ გურლეიმ**.

**ლევან ბიბილაშვილი**

მილანი

# გალიანი სილვას გაყიდვას არ გამორიცხავს

## კასანო: ეს დანაშაული იქნება


ტიაგო სილვა დიდი ხანია "მილანის" კაპიტნობაზე ოცნებობს, მაგრამ...

ევროპის ჩემპიონატმა საკლუბო ამბები დაჩრდილა, მაგრამ პერიოდულად, მაინც ვრცელდება ისეთი ცნობები, რომლებზეც ღირს ყურადღების გამახვილება. მაგალითად, იტალიურ სპორტულ პრესაში აქტიურად წერენ იმის შესახებ, რომ **ტიაგო სილვა** ახლოსაა ფრანგულ პსჟ-ში გადაბარგებასთან და მასში პარიზული კლუბის მესვეურები 50 მილიონ ევროს იხდიან. რაც მთავრია, ეს ამბავი არც "მილანის" მესვეურებს გამოურიცხავთ და დაადასტურეს, რომ მოლაპარაკებები მართლაც მიმდინარეობს – აი, რა განაცხადა "როსონერის" ვიცე-პრეზიდენტმა **ადრიანო გალიანიმ**:

*"ფრანგებმა ფანტასტიკური წინადადებით მოგვმართეს და ბუნებრივია, რომ მის განხილვას შევუდექით. ზოგადად, ტიაგო სილვას გაყიდვის სურვილი არ გვაქვს, მაგრამ გამორიცხვა არაფრის შეიძლება. მეორე მხრივ, რაიმე შეთანხმებაზე საუბარი დღეს აშკარად გადამეტებულია, რადგან მოლაპარაკება საწყის სტადიაზეა – სავარაუდოდ, ეს პროცესი დიდხანს გაგრძელდება და რით დასრულდება, ერთი ღმერთმა უწყის. კიდევ ერთხელ ვიტყვით, რომ ჩვენი სურვილი სილვას შენარჩუნებაა; მაგრამ როდესაც ასეთ წინადადებას გთავაზობენ, როგორც მინიმუმ, უნდა მოუსმინო".*

ტიაგო სილვას პარიზში შესაძლო გადაბარგების თემას, "მილანის" არაერთი ფეხბურთელი გამოეხმაურა, მათ შორის **ანტონიო კასანო**: *"ზუსტად ვიცი, რომ თავად სილვას "მილანში" სურს დარჩენა და კარიერის დასრულება. ჯერ მხოლოდ 27 წლისაა და წარმოიდგინეთ, რამხელა სარგებელი შეუძლია მოუტანოს "მილანს". ჩემი აზრით, მისი გასხვისება დანაშაული იქნება და იმედია, კლუბის მესვეურები აცნობიერებენ ამას. ალესანდრო ნესტამ უკვე დაგვტოვა და თუ მას სილვაც მიჰყვება, მომდევნო სეზონში ურთულეს მდგომარეობაში აღმოვჩნდებით".*

**ლაშა ნიკლაური**

უდინეზე

# ჰანდანოვიჩი ფრიულიზე რჩება


სამირ ჰანდანოვიჩი

ხშირად ვრცელდება ინფორმაცია **სამირ ჰანდანოვიჩის** "უდინეზედან" შესაძლო აბარგების შესახებ, მაგრამ როგორც ჩანს, სლოვაკი კიპერი "ფრიულიზე" დარჩება და კარიერას იმ გუნდში გააგრძელებს, სადაც აგერ უკვე მერამდენე წელია წარმატებით ასპარეზობს. არადა, სამირის გადაბირება "ინტერის" მესვეურებს სურდათ და უდინელებს წინადადებითაც მიმართეს – მოვუსმინოთ თავად კიპერს და ყველაფერი გაცხადდება:

*"მილანური გრანდის მესვეურებს მართლაც სურდათ ჩემი გადაბირება, მაგრამ როგორც ვიცი, მოლაპარაკება ჩაიშალა და "უდინეზეში" გავაგრძელებ კარიერას. ამის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, რადგან აქ თავს შესანიშნავად ვგრძნობ და თანაც, მომდევნო სეზონში ჩემპიონთა ლიგაზე მოგვიწევს ასპარეზობა. კლუბის სპორტულ დირექტორს, სტეფანო ანტონელის ვესაუბრე და მან მითხრა, რომ სხვა წამყვანი ფეხბურთელებიც დარჩებიან, რაც მაღალი მიზნებისთვის ბრძოლის გარანტიას იძლევა. თუ ანტონიო დი ნატალემაც გადაიფიქრა ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდება, მაშინ ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს".*

**ლაშა ნიკლაური**

ვილიარეალი


ხულიო ვილასკესი ყვითელ წყალქვეშა ნავს სეგუნდას წყლებში გაუძღვება

# 31 წლის მწვრთნელი

## ხულიო ვილასკესმა გარდაცვლილი პრესიადო შეცვალა

გუშინ ლა ლიგიდან გავარდნილი "ვილიარეალის" მთავარი მწვრთნელის ვაკანტური ადგილი შეივსო. კლუბის ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ "ვილიარეალს" სეგუნდას მორიგ სეზონში 31 წლის სალამანკელი **ხულიო ვილასკესი** გაუძღვება.

ვილასკესი "ვილიარეალში" ზაფხულში მივიდა, როგორც "ვილიარეალი III-ის" მწვრთნელი. მისი ხელმძღვანელობით ამ გუნდმა 21 ოფიციალური მატჩი გამართა, ხოლო იანვარში, როცა "ვილიარეალის" სარეზერვო გუნდის თავკაცი **ხოსე ფრანსისკო მოლინა** მთავარ გუნდში გადაიყვანეს, ვილასკესი "ვილიარეალი II-ის" მწვრთნელი გახდა. ეს გუნდი სეგუნდაში მე-12 ადგილზე გავიდა, მაგრამ რადგან პირველი გუნდი ლა ლიგიდან გავარდა, სარეზერვოს დაქვეითებამ მოუწია - ესპანური წესებით, ძირითად და სარეზერვო გუნდებს ერთ ლიგაში თამაშის უფლება არა აქვთ.

ახალი მწვრთნელის პრეზენტაცია 18 ივნისს გაიმართება და, იმედია, იქამდე ვილასკესს არაფერი დაემართება. შეგახსენებთ, რომ 54 წლის **მანოლო პრესიადო** 7 ივნისს დანიშნეს მთავარ მწვრთნელად, 8-ში პრეზენტაცია იყო დაგეგმილი, მაგრამ დილით ის სასტუმროს ნომერში მკვდარი იპოვეს.

ვილასკესს საოცარი ისტორია აქვს, ის არასოდეს ყოფილა ფეხბურთელი, 15 წლის ასაკში უკვე მუშაობდა "ვალიადოლიდში", სადაც ბაზის მინდვრის საფრის მდგომარეობის გაკონტროლება ევალებოდა. 19 წლისა კლუბის ჭაბუკთა ერთ-ერთი გუნდის მწვრთნელად გადაიყვანეს, რადგან ამ საქმეში დაინტერესება და ნიჭი აღმოაჩნდა. 2008-09 წლების სეზონში "პოლი ეხიდოს" ჭაბუკთა გუნდი ესპანეთის ჩემპიონატში მე-2 ადგილზე გაიყვანა. შემდეგ იყო "ვალიადოლიდის" ახალგაზრდული გუნდი, "პოლი ეხიდოს" პირველი გუნდი - ყველგან ველასკესი წარმატებული იყო. ის შეამჩნიეს ("სამეფო თასზე" "პოლი ეხიდო" 1:1-ს ეთამაშა "ვილიარეალს") და 30 წლის ასაკში "ვილიარეალის" რანგით მე-3 გუნდში მიიწვიეს. ახალგაზრდა სპეციალისტმა იანვრიდან კი სეგუნდაშიც გამოიჩინა თავი - "ვილიარეალი" უიმედო აუტსაიდერი იყო და ბოლოს ცხრილის შუაში დამკვიდრდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ამბები

## რუმინელი უდინეზედან გრანადაში

იტალიურ "უდინეზესა" და ესპანურ "გრანადას" შორის მჭიდრო ურთიერთობა გრძელდება - ანდალუსიურ კლუბში იტალიიდან იჯარით რუმინელი **გაბრიელ ტორხე** მივიდა. ოთხშაბათს, პრესკონფერენციაზე "გრანადას" პრეზიდენტმა **კიკე პინამ** გამოაცხადა, რომ კლუბმა საბოლოოდ შეიძინა 24 წლის მცველი **ბორხა გომესი** და იჯარით აიყვანა 22 წლის რუმინელი შემტევი ნახევარმცველი გაბრიელ ანდრეი ტორხე. სერია A-ში ტორხემ 2 გოლი გაიტანა, ის რეგულარულად თამაშობს რუმინეთის ნაკრებში. "გრანადაში" რუმინელი ერთ სეზონს გაატარებს. კლუბის პრეზიდენტს ჯერ არ დაუსახელებია, ვინ გაწვრთნის "გრანადას" ახალ სეზონში.

## სელტა ძალებს იკრებს

"სელტა", რომელიც ალზევდა ლა ლიგაში, უკვე ემზადება ახალი სეზონისთვის. უპირველესად, კლუბმა ხელშეკრულებები განუახლა სამ ისეთ ფეხბურთელს, რომელთა დიდი დამსახურებაცაა გალისიური კლუბის წლევანდელი წარმატება. ახალი კონტრაქტები მიიღეს, მცველმა **დავიდ კატალამ** (32 წლის), ნახევარმცველმა **ენრიკე დე ლუკასმა** (33) და ფორვარდმა **ჟოან ტომასმა** (27). კატალა "ესპანიოლის" აღზრდილია, თუმცა ბარსელონაში მან ფეხი ვერ მოიკიდა და უმთავრესად სეგუნდაში გაატარა კარიერა. დე ლუკასიც ესპანიოლელია, თუმცა გაცილებით ცნობილი - მას "ესპანიოლში", "პარი სენ ჟერმენში" და "ჩელსიში" უთამაშია. ის რეგულარულად თამაშობდა ესპანეთის ასაკობრივ ნაკრებებში. გაგიკვირდებათ და, ტომასიც "ესპანიოლის" სკოლიდანაა, თუმცა მას ლა ლიგაში მხოლოდ 1 მატჩი აქვს ჩატარებული და ისიც "ვილიარეალის" მაისურით. 2004 წელს ტომასმა ესპანეთის 19-წლამდელთა ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონატი მოიგო **სერხიო რამოსთან, რობერტო სოლდადოსთან, დავიდ სილვასთან** და სხვებთან ერთად.

## პენსიაზე მექსიკაში

34 წლის ცნობილი ესპანელი ფორვარდი **რაულ ტამუდო** საფეხბურთო კარიერას მექსიკურ "პაჩუკაში" განაგრძობს. ტამუდო წლების განმავლობაში "ესპანიოლის" კაპიტანი იყო, შემდეგ კი "რეალ სოსიედადში" და "რაიო ვალეკანოში" გამოდიოდა. სხვათა შორის, ტამუდოს არც ამ ასაკში დაეწუნება თამაში - გასულ სეზონში მადრიდული გუნდის მაისურით 9 გოლი გაიტანა. კატალონიელს ესპანეთის ნაკრებში 13 მატჩში 5 გოლი აქვს გატანილი.

"პაჩუკაში" გადასვლა რაულ ტამუდომ თავადვე გაახმაურა "ტვიტერის" მეშვეობით. შემდეგ კი ეს ინფორმაცია მექსიკური კლუბის ოფიციალურმა საიტმაც დაადასტურა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ბოლო დღეებში განხორციელებული ტრანსფერები ლა ლიგაში

| თარიღი | ფეხბურთელი | საიდან | სად | თანხა |
|---|---|---|---|---|
| 5 ივნისი | ნანო | ნუმანსია | ოსასუნა | თავ. აგენტი |
| 6 ივნისი | მარტი რივეროლა | ბარსელონა II | ბოლონია | თავ. აგენტი |
| 9 ივნისი | ანდრე სანტოში (პორტ) | სპორტინგი | დეპორტ. | იჯარა |
| 9 ივნისი | რუბენ პერესი | ატლეტიკო | ბეტისი | იჯარა |
| 13 ივნისი | დავიდ ლოპესი | ესპანიოლი | უესკა | თავ. აგენტი |
| 13 ივნისი | ბორხა გომესი | კარპატი | გრანადა | 0,8 მლნ. ევრო |
| 14 ივნისი | რაულ ტამუდო | ვალეკანო | პაჩუკა | თავ. აგენტი |

ევროპული ბიბლიოთეკა

EURO2012

C ჯგუფი.
II ტური

მატჩი №13. 14.06. პოზნანი. მუნიციპალური სტადიონი

| იტალია | ხორვატია |
| --- | --- |
| 1 | 1 |

იტალია (3-4-1-2): ბუფონი – ბონუჩი, დე როსი, კიელინი – მაჯო, მარკიზიო, მოტა (63. მონტოლივო), ჯაკერინი – პირლო – ბალოტელი (69. დი ნატალე), კასანო (83. ჯოვინკო).

ხორვატია (4-1-2-1-2): პლეტიკოშა – სრნა, ჩორლუკა, შილდენფელდი, სტრინიჩი – ვუკოიევიჩი – რაკიტიჩი, პერიშიჩი (68. პრანიჩი) – მოდრიჩი – მანჯუკიჩი (94. კრანჩარი), იელავიჩი (83. ედუარდო).

გოლები: 1:0 პირლო (39), 1:1 მანჯუკიჩი (72)

გაფრთხილება: მოტა, მონტოლივო – შილდენფელდი,

კუთხური: 6-3; ჯარიმა: 15-22; თამაშგარე: 3-1; კარში დარტყმა: 15(7)-10(8); ბურთის ფლობა: 52%-48%.

მაყურებელი: 38 000

# როგორც ყოველთვის: იტალიამ საქმე გაირთულა...

## აძურის მოდუნება და კიელინის შეცდომა შეიძლება ძვირად დაუჯდეს



**იტალიის ნაკრებმა ისევ ფრე ითამაშა, თუმცა ესპანეთთან 1:1-ისგან განსხვავებით, ხორვატიის ნაკრებთან დაფიქსირებულ ასეთივე ანგარიშს „სკუადრა აძურასთვის" არნაგებაზე მეტად ვერმოგება ეთქმის და ეს ჩეზარე პრანდელის გუნდისთვის წარუმატებლობაა. თანაც, იტალიელები პირველ ტაიმში აშკარად დომინირებდნენ, მეტოქეს სჯობდნენ და ანდრეა პირლოს იდეალურად შესრულებული საჯარიმო დარტყმით იგებდნენ კიდეც, მაგრამ მეორე ტაიმში მოეშვნენ და დაცვაში ისევ ერთი შეცდომა დაუშვეს, რომლითაც მარიო მანჯუკიჩმა ისარგებლა და ანგარიში გაათანაბრა. ეს გოლი ჯორჯო კიელინის სინდისზეა, მანჯუკიჩს კი უკვე სამი გოლი აქვს გატანილი, რითაც ბომბარდირთა რეიტინგში ალან ძაგოევს და მარიო გომესს წამოეწია. არადა, იტალიის ნაკრებს ცუდად არ უთამაშია – თვით მარიო ბალოტელიც ოდნავ გამოსწორებული ჩანდა, მეტად მოძრაობდა და კარგი მომენტებიც შეექმნა.**

**მოკლედ, იტალიელებმა ჯგუფში საქმე ტრადიციულად გაირთულეს...**

### რეაქციები

**ჩეზარე პრანდელი** (იტალიის ნაკრების მწვრთნელი): *„ბიჭებმა ბოლომდე იბრძოლეს და საერთოდ, ვფიქრობ, რომ კარგად ვითამაშეთ. მეორე ტაიმში ოდნავ ჩავთვლიმეთ და სამწუხაროდ, მივიღეთ გოლი, რომლის თავიდან აცილება ნამდვილად შეიძლებოდა. დღეს იტალიის ნაკრებს ცივსისხლიანობა აკლდა, მაგრამ ჩვენ მაინც გვჯერა ჩვენი შესაძლებლობების და ეჭვი არ გვეპარება იმაში, რომ ჯგუფიდან გავალთ."*

**სლავენ ბილიჩი** (ხორვატიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): *„იტალიას იტალიურად უნდა ეთამაშო და წარმატებას მიაღწევ. ჩვენ არ დავნებდით, მაგრამ არც უკანმოუხედავ შეტევებზე გადავსულვართ, რადგან კონტრშეტევები მათი ოცნებაა, ჩვენ კი ეს ოცნება არ ავუხდინეთ, გოლი კი მაინც გავიტანეთ. შედეგით, რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ."*

### ტაქტიკა/სტრატეგია

მწვრთნელებმა ტაქტიკა და ძირითადი შემადგენლობა არ შეცვალეს. **ჩეზარე პრანდელიმ** ისევ 3-5-2 აირჩია და დაცვის ცენტრში კვლავ **დანიელე დე როსი**, ხოლო თავდასხმაში კი, **ანტონიო კასანოსთან** ერთად, ისევ **მარიო ბალოტელი** გაამწესა. **სლავენ ბილიჩის** ტაქტიკური სქემა კი კვლავ 4-4-2 გახლდათ – რომბისებური ნახევარდაცვით, რომელშიც უმთავრესი როლი **მოდრიჩს** უნდა შეესრულებინა.

### საუკეთესო ფეხბურთელი

#### ოგნენ ვუკოიევიჩი (ხორვატია)

4-4-2 ტაქტიკურ სქემაში, სადაც ნახევარდაცვა რომბისებურადაა განლაგებული, ანუ გუნდი ერთი ტიპური საყრდენით და გამთამაშებლით თამაშობს, იმ „ექვსიანს" უდიდესი მოვალეობა და პასუხისმგებლობა ეკისრება ხოლმე. ხორვატიის ნაკრებში ასეთ საპასუხისმგებლო პოზიციაზე **ოგნენ ვუკოიევიჩი** თამაშობს და ამ უკანასკნელმა მართლაც ბრწყინვალე მატჩი ჩაატარა. ბილიჩმა ვუკოიევიჩს მოდრიჩის უკან დგომა, მისი დაზღვევა და „ტოტენჰემის" ვარსკვლავის უკან „ყველაფრის გაწმენდა" დაავალა და კიევის „დინამოს" საყრდენმა ნახევარმცველმა ეს მისია ძალიან კარგად შეასრულა. ვუკოიევიჩს უმეტესად ორ ან სამ იტალიელთან უწევდა გამკლავება. გარდა ამისა, დაამტკიცა, რომ მოედნის ხედვაც კარგი აქვს, დერეფნების გადაკეტვაც შეუძლია და ორთაბრძოლებშიც დაუნდობელია.

### ყველაზე სუსტი ფეხბურთელი

#### ჯორჯო კიელინი (იტალია)

ყველაზე სუსტი ფეხბურთელის არჩევა ძალიან გაჭირდა, რადგან ჩვენი დაკვირვებით, არც ერთ ფეხბურთელს არ ჰქონდა საოცრად დაბალი მარგი ქმედების კოეფიციენტი. ამიტომაც გადავწყვიტეთ, რომ მატჩის ფლოპად ის მოთამაშე დაგვესახელებინა, რომელმაც გადამწყვეტი შეცდომა დაუშვა და ეს იტალიელთა საუკეთესო მცველი, **ჯორჯო კიელინი** გახლდათ. მარიო მანჯუკიჩის გოლი სწორედ „იუვენტუსის" უკანახაზელის სინდისზეა – ჯორჯომ პოზიცია ცუდად შეარჩია, ბურთს ველარ შესწვდა და „ვოლფსბურგის" თავდამსხმელს ახლო მანძილიდან **ბუფონისთვის** აულებელი დარტყმის შანსი დაუტოვა. სწორედ ამ გოლმა ჩააგდო იტალია მძიმე მდგომარეობაში! კიელინის სხვა შეცდომები არ დაუშვია, თუმცა, სხვათა შორის, პირველი ტაიმის ერთ ეპიზოდში ჯორჯოს **იელავიჩიც** მოხდენილად დაუსხლტა და კინალამ ანგარიში გახსნა...

### მსაჯი

ინგლისელმა **ჰოვარდ ვებმა** ისევ კარგი შთაბეჭდილება დატოვა: მატჩს, რომელშიც თამაშის წესები მოლოდინისამებრ ბევრჯერ დაირღვა, პირველიდან ბოლო წუთამდე აკონტროლებდა. ერთ ეპიზოდში შეეძლო, იტალიის ნაკრების კარში პენალტი დაენიშნა (კიელინისა და იელავიჩის ორთაბრძოლა იტალიელთა საჯარიმოში), მაგრამ რომ არ დანიშნა, ვერც ამის გამო დავძრახავთ – ინგლისში ასეთ ეპიზოდებში წესების დარღვევას არ აფიქსირებენ ხოლმე. ერთი სიტყვით, ვები მოწოდების სიმაღლეზე იდგა - მხოლოდ მისი ასისტენტები შეცდნენ ორჯერ და ორივე შემთხვევაში იტალია შემოეჩაგრათ: არარსებული თამაშგარე მდგომარეობების დაფიქსირებას ვგულისხმობთ.

### მწვრთნელების დუელი

იტალიის ნაკრები უკიდურეს დაცვაში არც ესპანეთთან შეხვედრაში ჩამჯდარა, ხორვატიასთან კი, ჩეზარე პრანდელიმ „აძურის" უფრო შემტევი ფეხბურთის თამაში უბრძანა. იტალიელები ბურთის ფლობის მხრივ უპირატესობას ფლობდნენ და თამაშს აკონტროლებდნენ. პრანდელიმ ძირითადი შემადგენლობა არ შეცვალა, თუმცა **კასანოს** ამჯერად უფრო გამთამაშებლის როლი დააკისრა, ვიდრე თავდამსხმელისა. მიზანი „აძურის" მეტი კრეატიულობა იყო, რასაც იტალიის ნაკრებმა მხოლოდ გარკვეულ ეპიზოდებში მიაღწია. **მოტას** ნაცვლად **მონტოლივოს** გამოყვანით ჩეზარემ იტალიის ნაკრებს ნახევარდაცვაში შედარებით უფრო შემქმნელი საყრდენი შემატა, **დი ნატალეს** გამოსვლამ კი ამჯერად შედეგი ველარ მოიტანა.

**სლავენ ბილიჩს** ირლანდიასთან გამარჯვების (3:1) შემდეგ ცვლილებების განხორციელების მიზეზი არც ჰქონია, უბრალოდ, აქცენტი შედარებით დაცვით ფეხბურთზე და კონტრშეტევებზე გააკეთა. **პერიშიჩს** და **რაკიტიჩს** უფრო იტალიელთა შეტევების ჩაშლაზე ორიენტირება და ვუკოიევიჩისთვის მიხმარება დაავალა. მეორე ტაიმში ხორვატიის ნაკრების თავკაცმა **პრანიჩისა** და **ედუარდოს** შემოყვანით შეტევა გააძლიერა.

### ანალიზი

მატჩის დასაწყისში იტალიის ნაკრების ნახევარდაცვა ძალიამ მოძრავი და მობილური გახლდათ. ყველაზე მეტს **ტიაგო მოტა** და **კლაუდიო მარკიზიო** დარბოდნენ, **ანდრეა პირლო** კი, ესპანეთთან მატჩისგან განსხვავებით, შეტევებს უფრო სილრმიდან იწყებდა.

ხორვატიის ნაკრების თითქმის ყველა შეტევა ან შეტევის მცდელობა კი მოდრიჩს უკავშირდებოდა, რომელსაც (განსაკუთრებით მატჩის პირველ ნახევარში) იტალიელი საყრდენები გასაქანს არ აძლევდნენ. პირველ წუთებში „სკუადრა აძურა" მოედნის ცენტრში სერიოზულ უპირატესობას დაეუფლა, რის გამოც ბილიჩმა რაკიტიჩსა და პერიშიჩს ვუკოიევიჩისთვის აქტიურად მიხმარება უბრძანა, რითაც მიზანს მიაღწია: ხორვატებმა მე-20 წუთისთვის მოედნის ცენტრში იტალიელთა დიდი უპირატესობა აღმოფხვრეს.

მიუხედავად ამისა, პირლოს გოლს მაინც ლოგიკური ეთქმის, რადგან იტალიელებმა ხორვატები პირველ ტაიმში აშკარად დაჯაბნეს. შესვენებამდე ცხადად ჩანდა, რომ ხორვატიის ნაკრებს ორი თავდამსხმელი არ სჭირდებოდა, რადგან მანჯუკიჩიც და იელავიჩიც ზედმეტად არიან დამოკიდებულები პასებზე, მოდრიჩს კი იტალიელები კარგად ბოჭავდნენ. ამიტომაც იყო, მანჯუკიჩი ხშირად უკან რომ იხევდა, მაგრამ მარიო არ არის ისეთი ფეხბურთელი, რომელიც სწრაფ კომბინაციებს გაითამაშებს და ბურთს თვითონ მიიტანს მეტოქის კარამდე.

თუკი პირლოს გოლი სტანდარტულ მდგომარეობას მოჰყვა, მანჯუკიჩმა ანგარიში კიელინის ინდივიდუალური შეცდომის წყალობით გაათანაბრა. ჯორჯომ **სტრინიჩის** ჩაწოდებისას ბურთის ტრაექტორია ვერ გათვალა და მანჯუკიჩს ახლო მანძილიდან დარტყმის შანსი დაუტოვა, რომელიც ხორვატიის ნაკრების გოლეადორმა ხელიდან არ გაუშვა.

ანგარიშის გათანაბრების შემდეგ ხორვატები უფრო თამამად თამაშობდნენ, პრანიჩის მოედანზე გამოჩენის შემდეგ მეტწილად ფლანგებიდან უტევდნენ. იტალიელები კი თითქოს დაილალნენ, უფრო სწორად, პირლო დაილალა და ამის გამო, მთლიანად „აძურის" ნახევარდაცვა დაღლილი გამოჩნდა. ანდრეას იდეები აღარ ჰქონდა და იტალიამ ხორვატია ვერაფრის დიდებით ველარ დაწნეხა.

### დასკვნა

მიუხედავად იმისა, რომ პირველი ტაიმი იტალიელების იყო, ფრე უფრო ლოგიკური შედეგია, ვიდრე ალოგიკური, რადგან მეორე ტაიმში ხორვატებმა თავიანთი თამაში იპოვეს, ხოლო მანჯუკიჩმა კიელინის შეცდომით ეფექტურად ისარგებლა.

ზოგადად, იტალიის ნაკრები პირველ ორ მატჩში მაგრად დაიხარჯა, შედეგს კი ვერ მიაღწია. ტაქტიკური თვალსაზრისით პრანდელის გუნდს არაფერი დაეწუნება, მაგრამ ფაქტია, რომ „აძურიმ" ხორვატიასთან მხოლოდ პირველ 30 წუთში ითამაშა მაღალ დონეზე. მეორე ტაიმში კი იტალიელებს იდეები გამოელიათ და ზედმეტად მომლოდინე ფეხბურთს თამაშობდნენ, რის გამოც „სკუადრა აძურა" ადრეც არაერთხელ დასჯილა და აი, კიდევ ერთი ასეთი შემთხვევაც. მესამე ტურში იტალიელებისთვის აუცილებელია ირლანდიის დამარცხება და კიდევ ის, რომ ესპანეთისა და ხორვატიის მატჩი 2:2 არ დამთავრდეს...




**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არივედერჩი სინიორა ჯოვანი!

## ტორესმა ჯადო კელტებთან აიხსნა

**მატჩი №14. 14.06. გდანსკი. არენა გდანსკი**

| ესპანეთი | | ირლანდია | |
|---|---|---|---|
| | 4 | | 0 |

**ესპანეთი (4-3-3):** კასილიასი - არბელოა, პიკე, სერხიო რამოსი, ალბა - ჩავი, ბუსკეტსი, ჩაბი ალონსო (65. ხავი მარტინესი) - სილვა, ტორესი (73. ფაბრეგასი), ინიესტა (79. კასორლა).

**ირლანდია (4-4-2):** გივენი - ო'ში, სტ. ლედჯერი, დანი, უორდი - დაფი (76. მაკლინი), უელანი (80. უელანი), ენდრიუზი, მაკგიდი - კოქსი (46. უოლტერსი), კინი.

**გოლები:** 1:0 ტორესი (4), 2:0 სილვა (49), 3:0 ტორესი (70), 4:0 ფაბრეგასი (83)

**გაფრთხილება:** ჩაბი ალონსო, ხავი მარტინესი - კინი, უელანი, სტ. ლედჯერი

**კუთხური:** 8-2; **ჯარიმა:** 9-15; **თამაშგარე:** 6-1; **კარში დარტყმა:** 20-3 (15-2); **ბურთის ფლობა:** 66%-44%.

**მაყურებელი:** 39 150

**ირლანდიის** ნაკრები პირველი გუნდია, რომელმაც ნაადრევად დატოვა ევრო 2012. ეს მოსალოდნელიც იყო, ჯოვანი ტრაპატონი ყველაზე მხცოვანი მწვრთნელი გახდა ევროპის ჩემპიონატების ისტორიაში. იტალიელმა, რომელსაც ცხოვრებისეული 73 წელიწადი უმაგრებს ზურგს, რაც შეეძლო გააკეთა, მაგრამ ის მწვრთნელია და არა ჯადოქარი...

### ტაქტიკა/სტრატეგია

**ვისენტე დელ ბოსკე** არ არის ურჯუკი მწვრთნელი, მას კარგად შეუძლია კრიტიკის გააზრება - იტალიასთან თამაშმა გამოაჩინა, რომ ცრუ 9 ნომრით თამაშს ნამდვილით სჯობდა. ამას დაერთო **სესკ ფაბრეგასის** მტკივანი ფეხი და სასტარტოში **ფერნანდო ტორესი** ვიხილეთ. სულ 4 წუთში დამტკიცდა, რომ ეს სწორი ცვლილება იყო.

ირლანდიელთა ბანაკშიც ერთი ცვლილება იყო აუცილებელი, უკვე ძნელი ასატანი იყო **კევინ დოილის** ინერტულობა, რომელმაც ნაკრებში 2 წელიწადში 2 გოლი გაიტანა და ორივე - ანდორას კარში. ლაპარაკობდნენ, რომ მას **უოლტერსი** ან **ლონგი** შეცვლიდნენ, მაგრამ **ჯოვანი ტრაპატონი საიმონ კოქსს** ენდო.

ესპანეთის დავალება ისევ ისეთი იყო - მოკლე პასების წყალობით მეტოქეზე დიდი სათამაშო უპირატესობის მიღება და მერე ამ უპირატესობის გამოყენება. იტალიელებთან მატჩისგან განსხვავებით მსოფლიოსა და ევროპის მოქმედმა ჩემპიონებმა იმხელა უპირატესობა მიიღეს მეტოქეზე, რომ პირველ ტაიმში ესპანელი მცველებიც კი (**სერხიო რამოსის** გარდა) მეტოქის ნახევარზე "დასახლდნენ". ირლანდია კონტრიერიშებისა და ტრადიციული ჩაწოდებების იმედზე უნდა ყოფილიყო და თავის შანსს დალოდებოდა.

პირველი დარტყმა სწორედ კოქსმა შეასრულა და საკმაოდ რთულიც, მაგრამ **იკერ კასილიასი** მას გაუმკლავდა. ამის შემდეგ კი დაიწყო... პირველ ტაიმში ესპანეთმა ისე დაჩაგრა მეტოქე, ვერც ერთმა გუნდმა რომ ვერ მოახერხა ამ ჩემპიონატზე.

### საუკეთესო ფეხბურთელი

#### ფერნანდო ტორესი (ესპანეთი)

ჯადო ახსნილია! ფერნანდო ტორესი კარგად თამაშობს, ძალიან კარგადაც და მან გოლიც გაიტანა... არა, გოლები - თან ერთმანეთზე უკეთესი. **ანდრეს ინიესტამ** კარგად ითამაშა, **დავიდ სილვა** საუცხოო იყო, მაგრამ ეს "ტიტული" "ელ ნინიომ" დაიმსახურა.

### ყველაზე სუსტი ფეხბურთელი

#### სტივენ უორდი (ირლანდია)

ირლანდიელთა მარცხენა მცველი **სტივენ უორდი** ყველამ დაჩაგრა, ვისაც არ დაეზარა, მისი სისუსტის წყალობით ჯერ კიდევ მე-4 წუთზე გახსნა ანგარიში ფერნანდო ტორესმა.

### მსაჯი

**პედრო პროენშა** ერთხელ თავისდა უნებურად დაეხმარა ესპანელებს, როცა ენდრიუზი წააქცია. სხვა რა ვთქვათ თამაშზე, რომელშიც ერთი გუნდი ორი თავით სჯობდა მეორეს.

### მწვრთნელების დუელი

ეს ის შემთხვევაა, როცა მწვრთნელ(ებ)ი არაფერ შუაშია. ჯოვანი ტრაპატონი უძლური იყო რამე ელონა, ვისენტე დელ ბოსკემ კი უბრალოდ სწორად შეურჩია ტაქტიკა ნაკრებს, დანარჩენი უკვე ფეხბურთელების ნამოქმედარია.

### ანალიზი

ბევრი ანალიზი არ უნდა იმას, რომ ესპანეთის ნაკრებს პირველი მატჩში აკლდა ნამდვილი ცენტრფორვარდი და მეტი არაფერი. ირლანდია კი არა, ნებისმიერ გუნდს ევროპის ჩემპიონატზე შეექმნება დიდი პრობლემა, როცა ესპანეთის ნაკრებს შეხვდება - ბურთი მოსაპოვებელია, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები ყველაზე მეტად ახლობლობენ ბურთთან ანუ ესპანეთის ნაკრებისთვის ბურთის წართმევა ძალიან ძნელია, თითქმის შეუძლებელი.

ამ შემთხვევაში ფავორიტს რამე სხვა უნდა დაუპირისპირო, იტალიამ ეს შეძლო, აი, ირლანდიას კი საამისო რესურსი არ აღმოაჩნდა - უბრალოდ, არ შესწევდა ამის ძალა. ჩვენი აზრით, ამ ტურნირზე ირლანდიაზე სუსტებიც თამაშობენ, მაგრამ სხვა ჯგუფებში. კელტებმა ორ თამაშში 7 გოლი გაუშვეს და ახლა ბოლო მატჩი ფორმალობად ექცათ. ესპანელებმა ფინალური ეტაპების ისტორიაში ყველაზე დიდი ანგარიშით მოიგეს.



სესკ ფაბრეგასის გოლი

### დასკვნა

როგორც ერთ კარგ ქართულ კინოფილმშია - აბა, სად თქვენ და სად ჩვენო - ასეა საქმე ამ შემთხვევაშიც, ირლანდია ის გუნდი არაა, რომელთანაც დაჯახების შემდეგ ესპანეთის ნაკრებზე შორსმიმავალი დასკვნები გამოტანა შეგვეძლოს, დაველოდოთ!

დაბოლოს, მთელი თამაში სასტიკად აგებდნენ, მაგრამ ტრიბუნებზე ერთი წუთითაც არ გაჩერებულან ირლანდიელთა ფანები - მღეროდნენ. ყოჩაღ მათ!

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 5-1 | 4 |
| 2. ხორვატია | 2 | 1 | 1 | 0 | 4-2 | 4 |
| 3. იტალია | 2 | 0 | 2 | 0 | 2-2 | 2 |
| 4. ირლანდია | 2 | 0 | 0 | 2 | 1-7 | 0 |

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ფერნანდო ტორესი




## ქართული სპორტი

პარალიმპიზმი

# ზრუნვის ახლებური იმპულსი

**გუშინ „ბრავო რექორდსის" ოფისში ამ ორგანიზაციის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს და საქართველოს პარალიმპური კომიტეტის ერთობლივი პრესკონფერენცია გაიმართა, რომელიც 2012 წლის ლონდონის პარალიმპურ თამაშებზე ქართველი სპორტსმენების მხარდამჭერი პროექტის პრეზენტაციას შეეხო. შეხვედრისას ითქვა, რომ ჩვენთან მსგავსი ღონისძიება არასდროს განხორციელებულა.**



პროექტის მიზანია ქართველი პარალიმპელების, შეზღუდული შესაძლებლობის სპორტსმენების მხარდაჭერა და მოტივირება, პარალიმპური მოძრაობის პოპულარიზაცია შეზღუდული შესაძლებლობის ახალგაზრდებში, მათი სპორტით დაინტერესება და პარალიმპურ მოძრაობაში ჩაბმა, შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანთა საზოგადოებაში ინტეგრაცია.

საქართველოს დელეგაციამ პარალიმპურ თამაშებში პირველად 2008 წელს პეკინში მიიღო მონაწილეობა. ჩინეთის დედაქალაქში ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას **იაგო გორგოძე** იცავდა ძალოსნურ დისციპლინაში. წლეულს ლონდონში, სავარაუდოდ, ორი ათლეტი გვეყოლება - **შოთა ომარაშვილი** (ძალოსნობა) და **ნიკა თვაური** (ცურვა).

პროექტის ავტორების ინიციატივით, პარალიმპურ მოძრაობაში აქტიურად ჩაერთვება პოპულარული ქართველი მომღერალი **ნინი ბადურაშვილი,** რომელიც განსაკუთრებით ახალგაზრდების დიდი სიყვარულით სარგებლობს და პროექტში მისი მონაწილეობა ამ მოვლენის მიმართ საზოგადოების ყურადღებისა და თანადგომის გარანტი იქნება. საგულისხმოა, რომ ბადურაშვილმა უკვე შექმნა პარალიმპელების მხარდასაჭერი სიმღერა, რომელზეც მუსიკალურ ვიდეოკლიპს გადაიღებენ. მასში ქართველი დამსოფლიო პარალიმპელი ათლეტების პაექრობებიც აისახება. საამისოდ დოკუმენტურ კადრებსა და ფოტომასალას გამოიყენებენ. აგვისტოს მიწურულს ბადურაშვილი საქართველოს დელეგაციასთან ერთად დიდ ბრიტანეთში გაემგზავრება და თავის სიმღერას ლონდონის პარალიმპურ სოფელში ჩვენი ქვეყნის ეროვნული დროშის აწევის ცერემონიალისას შეასრულებს.

როგორც პრესკონფერენციაზე აღინიშნა, პარალიმპელების მხარდამჭერი სოციალური პროექტი საქართველოს და მსოფლიო პარალიმპური მოძრაობის განვითარებაში თავის მოკრძალებულ წვლილს შეიტანს.

**ვაჟა დანელია**

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

კრივი

# ევროპა დუშეთიდან იწყება

ბულგარეთის დედაქალაქი სოფია 23 ივნისიდან 1 ივლისამდე 1996-1997 წლებში დაბადებულ მოკრივეთა ევროპის პირველობას უმასპინძლებს.



საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების წევრები ერთ კვირაზე მეტია, ამ შეჯიბრებისთვის ინტენსიურად ემზადებიან დუშეთის ოლიმპიურ ბაზაზე. ისინი საქართველოს სპორტულ ღირსებას 10 წონით კატეგორიაში დაიცავენ. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **კუკური შავგულიძემ** საევროპედ მოსამზადებლად საქართველოს ჩემპიონებსა და პრიზიორებს უხმო. რჩეულები ბაქოს საერთაშორისო ტურნირზეც გამოცადა, რომლის შემდეგაც საბოლოოდ დაკომპლექტდა ნაკრები. 22 ივნისს ბულგარეთში გაემგზავრებიან: **ბადრი ნიფურია** (ფოთი, 46 კგ), **შოთა ვაშაძე** (ჭიათურა, 48), **ლაშა გურული** (რუსთავი, 59), **გიორგი ცისკარიშვილი** (თბილისი, 52), **არჩილ ტურავა** (ფოთი, 57), **თემურ ჩხეიძე** (ქუთაისი, 60), **ნუკრი ადამია** (ფოთი, 63), **ბექა დანელია** (ფოთი, 66), **რატი ტლაშაძე** (გორი, 70), **შოთა ხაბურძანია** (ზუგდიდი, 75). დუშეთში ახალგაზრდა მოკრივეთა დაოსტატებაში მთავარ მწვრთნელს ფოთელები - **გიგლა ბახტაძე** და **გოჩა რუსია,** გორელი **ილია ტლაშაძე** და ზუგდიდელი **გაგა თოდუა** ეხმარებიან. ჭაბუკების მონდომებულ წვრთნას სტიმულს ისიც აძლევს, რომ ბაზაზე მათთან ერთად ვარჯიშობს ქართველ მოკრივეთა შორის 2012 წლის ოლიმპიადის ერთადერთი ლიცენზიატი **მერაბ თურქაძე,** რომელიც ლონდონის ოლიმპიურ რინგზე გამოსასვლელად აქტიურად ემზადება.

**ვაჟა დანელია**

ჭადრაკი

# ევროპის თასს ქუთაისი უმასპინძლებს

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ინიციატივითა და ქუთაისის მესვეურთა თანადგომით რიონისპირა ქალაქი 6-13 ივლისს 8-12 წლის მოჭადრაკეთა ევროპის თასს უმასპინძლებს. საასპარეზოდ უკვე 7 ქვეყნის წარმომადგენლებმა გამოგზავნეს თანხმობა, თუმცა უნდა ვივარაუდოთ, რომ შეჯიბრების დაწყებამდე დარჩენილ დროში მათი რიცხვი საგრძნობლად გაიზრდება.

რადგანაც მასპინძლებისთვის ევროპის თასზე მონაწილეთა რაოდენობა გარკვეულწილად შეზღუდულია, თბილისის ჭადრაკის სასახლე შესარჩევ ტურნირს მასპინძლობს. წარმატებით აიღო სტარტი ოთხმა მოჭადრაკემ, რომლებიც სამი ტურის შემდეგ უდანაკარგოდ მეწინავეობენ. ამ კვარტეტში ერთი გოგონაა - **თამარ ლაგაზაური,** რომელიც დღეს თეთრი ფიგურებით **ნიკოლოზ პეტრიაშვილს** დაუპირისპირდება, ხოლო, ასევე, სამქულიანები - **ლუკა ობოლაძე** და **მათე თოდაშვილი** ერთმანეთში გაარკვევენ ურთიერთობას.

2,5 ქულა მოაგროვა **მარი მეგრელიშვილმა,** რომელიც მე-5 ადგილზეა. იგი მე-4 ტურში ორქულიან **დათა ნადარეიშვილს** გაუწევს მეტოქეობას. ოთხი ტურის შემდეგ 2-2 ქულა 9 მოჭადრაკეს აქვს.

**ვაჟა დანელია**

ნიჩბოსნობა

# წყალგამყოფი ფედერაციაში

აკადემიური ნიჩბოსნობისა და კანოეს საერთაშორისო ფედერაციების წინადადებით სპორტის ამ სახეობის საქართველოს ეროვნულ ორგანიზაციაში უკვე დაიწყო რეორგანიზაცია. ცალკე ჩამოყალიბდა ბაიდარებითა და კანოეთი ნიჩბოსნობის ეროვნული ფედერაცია, რომელსაც საარჩევნო ყრილობამდე ჯომარდობის ეროვნული ფედერაციის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **დავით ქაცარავა** უთავკაცებს. ფედერაცია კაიაკით, ბაიდარებითა და კანოეთი ნიჩბოსნობას, საწყლოსნო სლალომსა და ჯომარდობას გააერთიანებს.

ცალკე იარსებებს აკადემიური ნიჩბოსნობის ეროვნული .ფედერაცია. დროებითი ხელმძღვანელობა გაერთიანებული ნიჩბოსნობის ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანს **ვიტალი გრძელიშვილს** დაევალა.

- სანიჩბოსნო სახეობებში საერთაშორისო ფედერაციები ცალ-ცალკე არსებობს და ისინი შეჯიბრებებსაც ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ატარებენ, - გვითხრა ვიტალი გრძელიშვილმა. - ჩვენთანაც ასე იქნება, ოღონდ ოქტომბრიდან, მას შემდეგ, რაც საარჩევნო ყრილობები გაიმართება.

**- ივნისის პირველ დეკადაში დაგეგმილი საქართველოს ჩემპიონატი ჩაიშალა?**

- არა, ფედერაციის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით მისი ჩატარება გადავავადეთ, ოღონდ არა დიდი ხნით - 29 ივნისიდან 1 ივლისის ჩათვლით ბაზალეთზე, ალბათ, ბოლო გაერთიანებულ შეჯიბრებას მოვაწყობთ აკადემიურ ნიჩბოსნობაში, ბაიდარასა და კანოეში. მოვიწვიეთ სომეხი და აზერბაიჯანელი ნიჩბოსნები. შესაძლოა, ჩემპიონატზე ისინიც ვიხილოთ. 12-15 ივლისს პორტუგალია 23-წლამდელ კანოისტთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. იმ შეჯიბრებაზე საქართველოს სპორტულ ღირსებას ზაზა ნადირაძე დაიცავს.

**ვაჟა დანელია**

ლიცენზიატი

# თავისუფლებიდან - ბერძნულ-რომაულამდე

**ვლადიმერ გეგეშიძე**

**ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (84 კგ).**

**დაიბადა:** 10.02.1985 წ. თბილისი.

ევროპის ორგზის ჩემპიონი ჭაბუკებში (2003; 2004); ვიცე-ჩემპიონი (2002). „ოქროს დიდი პრიზის" გამარჯვებული (2010); ოლეგ კარავაევის მემორიალის მესამე პრიზიორი (2011); ოლეგ კარავაევისა და ნიკოლა პეტროვის საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი (2012); საერთაშორისო ტურნირების რამდენიმეგზის მედალოსანი.

**პირველი მწვრთნელი:** ოთარ ტატიშვილი (დღემდე მასთან ვარჯიშობს)

**ჰობი:** ნადირობა.

ოლიმპიადის დებიუტანტი.

**ვლადიმერ გეგეშიძემ** ლონდონის ოლიმპიადის ლიცენზია ბოლო ტურნირზე მოიპოვა ჰელსინკში, თუმცა სეზონის მეორე ნახევარში მისი პროგრესი თვალში საცემია. ის საჭიდაო ოჯახიდანაა. მამა - ვეტერანი ფალავანი **თამაზ გეგეშიძე** საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტია, ხოლო უფროსი ძმა - **გეგა გეგეშიძე** არც ისე დიდი ხნის წინათ თავად იყო ნაკრების წევრი. ოღონდ ისინი „თავისუფალს" ჭიდაობდნენ, ლადო კი ბერძნულ-რომაულშია. თუმცა მის ცხოვრებაში ამის გარდა ფეხბურთითი გატაცებაც ყოფილა.

**- ოჯახურ ტრადიციას თუ გავითვალისწინებთ, ალბათ, ზედმეტია იმის კითხვა, როგორ მოხვდით ჭიდაობაზე...**

- მამისა და ძმის გარდა, ბაბუაჩემიც ჭიდაობდა, ოღონდ არა იმათსავით მაღალ დონეზე. თანაც, სამივე თავისუფალ ჭიდაობაში იყო და მეც თავიდან იქ მიმიყვანეს მარლენ ოსიყმაშვილთან ფალავანთა კლუბში. რამდენიმე ტურნირიც ვიჭიდავე, ჭაბუკებში საკმაოდ სოლიდური შეჯიბრებებიც მოვიგე, მაგრამ მოგვიანებით ბერძნულ-რომაულზე გადამიყვანეს: ოთარ ტატიშვილთან, ცოტა ხანს იარე, ილეთებს ისწავლი და დაბრუნდი ისევ თავისუფალშიო. მეც გადავედი, მაგრამ თანდათან შემოვრჩი იქაურობას და საბოლოოდაც დავრჩი. ოჯახს წინააღმდეგობა არ გაუწევია, თუმცა იმ პერიოდში ფეხბურთზეც დავდიოდი. მამამ მითხრა, ოღონდ იჭიდავე და სადაც გინდა, იქ იარეო. თან მაშინ ჩემი ძმა ჯერ კიდევ ჭიდაობდა და ეტყობა, ამიტომაც არ დამაძალა „თავისუფალში" გადასვლა. ალბათ, ფიქრობდა, ერთი „თავისუფალში" იქნება და მეორე - ბერძნულ-რომაულშიო. გეგა ჩემზე 7 წლით უფროსია და ერთმანეთში არასოდეს გვიჭიდავია, მაგრამ ხშირად მავარჯიშებდა. ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ჭიდაობას დავიწყებდი - ხან კუს ტბაზე დამატარებდა, ხან - ძალოსნობის დარბაზში და ასე შემდეგ... რჩევებსაც მაძლევდა თავისი გამოცდილებიდან, ბევრი არ უნდა ივარჯიშო, არ უნდა გადაიწვაო. არადა, ადრე ჩემი ჩავარდნის და ტრავმების ერთ-ერთი მიზეზი სწორედ გადაღლა იყო - ზომაზე მეტს ვვარჯიშობდი. შეიძლება, შუაღამეზე წავსულიყავი სავარჯიშოდ, ან ღამის 11 საათზე გამხსენებოდა, რომ ერთი თვის წინ რაღაც დავაკელი და მაშინ მომენდომებინა ანაზღაურება. ეს უაზრობაა, ასე არ შეიძლება. სწორედ ამას მასწავლიდა ჩემი ძმა, მოგვიანებით მეც მივხვდი, რას ნიშნავს სწორი ვარჯიში. გადამეტებული [illegible] სჯობია, ოღონდ კარგი არც ესაა. ჩემი პრობლემა ისიცაა, რომ გამხდარი ვარ და მაღალი, ამიტომ მთელი დატვირთვა სახსრებზე მიდის და ხან მხარზე დამჭირდა ოპერაცია, ხან - ფეხზე, ძლივს დავაღწიე თავი ტრავმებს.

**- სეზონი სუსტად დაიწყეთ - ევროპამდე ყველა ტურნირი წააგეთ, მაგრამ ევროპის შემდეგ საგრძნობლად მოუმატეთ და ლიცენზიაც მოიპოვეთ. ასეთ განსხვავებას რითი ახსნით?**

- ტრავმებით. საქართველოს ჩემპიონატზეც ამის გამო ვერ ვიჭიდავე, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური ფაქტორიც - თავდაჯერება შემემატა. მაგალითად, პეკინის ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონ ზოლტან ფოდორს წინა წლებში ძალიან იოლად მოვუგე, ორივე პერიოდში 6:0; 6:0 დავამარცხე, მაგრამ 2008 წელს მე შინ ვიჯექი და მის გამოსვლას ტელევიზორში ვუყურებდი, ის კი ოლიმპიადის ფინალს ჭიდაობდა. იმ წარუმატებლობის წლებში მსოფლიოს ჩემპიონსა თუ სხვა ტიტულოვან ფალავნებთანაც მომიგია და ვხედავდი, ისინი ვერაფრით მჯობდნენ. რაღაც დიდი სხვაობა რომ ყოფილიყო და ჩემი შანსები უპერსპექტივოდ მიმეჩნია, სპორტს თავს დავანებებდი... მაგრამ ვხედავდი, მონდომებით, სწორი მიდგომით მეც შემეძლო წარმატების მოპოვება. ალბათ, ყველაფერს თავისი დრო აქვს და, ეტყობა, ეს მომენტი ახლა დადგა.



ვლადიმერ გეგეშიძე (მარცხნივ)

*თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო*

**- აზარტულიც ხართ, ადრე ხშირ წაგებებს როგორ ეგუებოდით?**

- იყო მომენტი, როცა თავის დანებებასაც ვაპირებდი. მართლა ძალიან ბევრს ვვარჯიშობდი და მაინც მუდმივად ვაგებდი. მაშინ არ ვიცოდი, რომ თურმე ბევრი კი არა, მიზანმიმართული შრომაა საჭირო. არ ვარ ისეთი პიროვნება, მარტო შეჯიბრებაზე წასვლის, სხვა ქვეყნების ნახვის, აწონვისა და ამგვარების გამო დავრჩე სპორტში, თავმოყვარეობა მაქვს, რაც იმ წაგებების გამო გვარიანად მელახებოდა. მწვრთნელები თუ ჩემიანები მეუბნებოდნენ, ამ ოლიმპიადამდე დარჩი, წასვლას ყოველთვის მოასწრებო. ჩინეთის სალიცენზიო ტურნირში წაგებაც ძალიან განვიცადე და ჰელსინკშიც რომ ვერ მომეპოვებინა, გადაწყვეტილი მქონდა, ამერიკაში მეჭიდავა „ქერბის თასზე" და წავსულიყავი სპორტიდან. იქაც იმიტომ მივდიოდი, რომ ვიზა უკვე მქონდა.

**- არადა, ჰელსინკშიც ლიცენზიის მოსაპოვებლად ბეწვის ხიდზე გაიარეთ...**

- ჰელსინკამდე წინა კვირას ჩინეთში ვიჭიდავეთ და ამ გადაფრენ-გადმოფრენამ დაგვტანჯა. თან სომეხი არტურ შაჰინიანი ძლიერი მოჭიდავეა - ევროპის მედალოსანი და წონაში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მებრძოლია. თან - მგრძნობიარე ბიჭია, ბოლომდე იბრძვის. მადლობა ღმერთს, რომ მასთან ბოლო წამზე გამარჯვების ღირსი გამხადა და ლიცენზია მომაპოვებინა.

**- ისევ ჩავარდნის პერიოდს დავუბრუნდეთ... მამა, რომელიც თქვენი დიდი გულშემატკივარია და ძალიან ემოციურად გქომაგობთ, როგორ რეაგირებდა მარცხზე?**

>> მე-11 გვერდზე

**FM 107,9**

ყოველ შაბათ-კვირას 15.00-22.00 რადიო „საქართველოს ხმის" (FM 107,9) პირდაპირ ეთერში - ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები, სტუმარი, ვიქტორინა და საინტერესო პრიზები გადაცემაში „სპორტ ონლაინ" დონ ედოსთან ერთად.

გადაცემის საინფორმაციო მხარდამჭერი - გაზეთი „ლელო".

# ქართული სპორტი

<< მე-10 გვერდიდან

- აი, ეგ განიცდიდა, თუ განიცდიდა! როცა ვიგებ, მაშინ პირდაპირ ეუბნებიან, მაგრამ თუ ვაგებ, ჯერ წყალს მიუტანენ, მერე - წამლებს დაალევინებენ, ამასობაში ისიც ხვდება შედეგს და მერე მთელი კვირა ვწამლობთ. ევროპის ჩემპიონატის წინ მეც ვთქვი და გეგამაც უთხრა, შინ დარჩი, ამან ჭიდაობაზე იფიქროს თუ შენზე ინერვიულოსო. არც ოლიმპიადაზე გვინდა მისი წამოსვლა, მაგრამ ვნახოთ, რა იქნება. იქ გეგა აპირებს წამოსვლას, რაც ჩემთვისაც იმედია. ცხადია, მწვრთნელებისაც ძალიან მეიმედება, მაგრამ ოჯახის წევრი სულ სხვაა. როგორც ბიჭი, ჩემი ძმის გაზრდილი ვარ, თუ რამე მჭირდება, მას ვეუბნები და მის ხმას მაშინაც კი ვარჩევ, როცა დარბაზში ხმაურისგან არაფერი მესმის.

**- გასაგებია, რომ საოლიმპიადოდ ჯერ ფორმის პიკში არ იქნებით, მაგრამ სადღეისო მოთხოვნების შესაბამისად განწყობა როგორია?**

- ახლახან ფიზიკური შეკრება გავიარეთ სომხურ წახკაძორში. ფორმიდან ჯერ შორს ვართ, მაგრამ წინ გეგმის მიხედვით მივიწევთ და იმედია, ოლიმპიადისთვის ყველაფერი კარგად იქნება. ცოტა ტრავმები კი მაღონებდა - მუხლმა შემაწუხა, მაგრამ ვარჯიში არ ჩამიგდია.

განწყობაც ნორმალურია, მშვიდად ვვარჯიშობ, ნერვიულობას რა აზრი აქვს?! გასაგებია, რომ ოლიმპიადა სხვაა და პასუხისმგებლობაც მეტია, მაგრამ დაძაბულობით არც ძალა მომემატება, არც წილისყრა დამიჯდება თავისით და არც - არაფერი. მთავარია, კარგად შევხვდე ოლიმპიადას - არ გადავიღალო, არ ვინერვიულო და ლეიბზე მოვინდომო. ვინც მოინდომებს, ის მოიგებს. მაქსიმალურად უნდა ეცადო, მერე საკუთარ თავზე გული რომ არ დაგწყდეს, ხოლო თუ თავზევით ძალა არაა, ვერაფერს იზამ. ამიტომ ვემზადები მშვიდად და ვცდილობ, მაქსიმალურად კარგ ფორმაში შევხვდე ოლიმპიადას.

**- სადღეისოდ რა კონკრეტული ამოცანა დგას თქვენი და მწვრთნელების წინაშე, რა კომპონენტში გჭირდებათ განსაკუთრებული მომზადება?**

- ისევ და ისევ ფსიქოლოგიაში, კიდევ მეტი თავდაჯერებაა საჭირო. ახლა ახალი რაღაცის ძიება რომ დავიწყო, აზრი არ აქვს - დრო არ გვეყოფა. ორ თვეში კი არა, ხალხი მთელი ცხოვრება ჭიდაობს და ვერ ხვდება, რა უნდა გააკეთოს. არ ვიტყვი, რომ განსაკუთრებულად ძლიერი ვარ, მაგრამ რა პლუსებიც მაქვს, იმაზე უნდა გავამახვილო ყურადღება. უკვე მეც ვხვდები, რა მჭირდება. ცოტა ემოციურიც ვარ და ტატიშვილს ვთხოვე კიდეც, მშვიდი ატმოსფერო შეექმნა, ზედმეტი კითხვებით ან თუნდაც რჩევებით რომ არ შემაწუხონ, არ დამტვირთონ.

ფიზიკურად კმაყოფილი ვარ, წახკაძორშიც კარგად გავიარე შეკრება. ნაკრების მთავარი მწვრთნელი ბეგი დარჩიაც ხვდება, რა მჭირდება და რა დოზით - ის ჯერ კიდევ იმ პერიოდიდან მიცნობს, ვიდრე ჭიდაობას დავიწყებდი და ზუსტად მირჩევს გრაფიკს ჩემივე სხეულის მოთხოვნებიდან გამომდინარე. სიმაღლის, გრძელი კიდურების გამო ცოტა განსხვავებული ვარჯიშები მჭირდება და ამაში ხელს მიწყობენ.

**- ტრაფარეტული შეკითხვაა, მაგრამ ოლიმპიადაზე ძირითად კონკურენტებად ვის მიიჩნევთ?**

- ტრაბახში არ ჩამომართვათ, მაგრამ მთავარია, ოლიმპიადას ყოველმხრივ კარგად მომზადებული შევხვდე. არავისთან არ უნდა გამიჭირდეს. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მეტოქეებს არ ვაფასებ. იქ ბევრი ძლიერი ფალავანია - პოლონელი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი თურქი ნაზმი ავლუჯა ცოტა ბებერია, მაგრამ ძლიერი მეტოქეა, ბულგარელი ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი ჰრისტო მარინოვი, ბელარუსი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ალიმ სელიმოვი და სხვები. ირანელებმა თუ მსოფლიოს პრიზიორი ჰაბიბოლა აკლაგი დააყენეს, ის უხერხული მოწინააღმდეგეა, ოღონდ ილეთებით იმდენად არ გამოირჩევა, რამდენადაც მოუხერხებელი საჭიდაო სტილით - დაბალია და ლეიბზე კიდევ უფრო დაბლა ჯდება, მუხლებში იხრება. მაღალი რომ ვარ, მიჭირს მისი მოხელთება, ის კი თავის მოკლე ხელებს შემოგიყოფს და ვერაფრით იშორებ. ასევე სერიოზულ კონკურენტად მიმაჩნია ეგვიპტელი ოლიმპიური ჩემპიონი ქარამ იბრაგიმი, რომელმაც 96-დან ჩამოინაცვლა. რამდენიც უნდა ვილაპარაკოთ იმაზე, რომ ის ადრინდელივით ძლიერად ვერ ჭიდაობს, მაინც ანგარიშგასაწევია. წინა ოლიმპიადაზეც ფავორიტებად ბადრი ხასაია, ალექსეი მიშინი, ავლუჯა და სხვები მიიჩნეოდნენ, მაგრამ ჩემპიონი იტალიელი ანდრეა მინგუზი გახდა.

**ირაკლი თავაძე**

● ჭადრაკი

## ქართველთა შვიდეული მეხუთე მემორიალში

სომხურ ჯერმუკში დღეს საზეიმოდ გაიხსნება ნაადრევად დაღუპული დიდოსტატის - კარენ ასრიანის მეხუთე მემორიალი, რომელშიც ჯილდოებისთვის 6 ქვეყნის 61 წარმომადგენელი ( მათ შორის - 14 დიდოსტატი) იბრძოლებს. შეჯიბრების საპრიზო ფონდია 18.500 დოლარი, საიდანაც გამარჯვებული 4.000 დოლარს დაიმსახურებს, მეორემეხუთე ადგილებზე გასულთ, შესაბამისად, 3.000, 2.500, 1.500 და 1.000 დოლარი ერგებათ. საპრიზო სამეულში გასული ქალები კი 800, 500 და 300 დოლარს მიიღებენ. ტურნირზე შვეიცარიული სისტემით 9 ტური გათამაშდება.

საქართველოდან ჯერმუკში სათამაშოდ შვიდი მოჭადრაკე გაემგზავრა. ესენი არიან: **კონსტანტინე შანავა** (2589), **დავით არუთინიანი** (2561), **შოთა აზალაძე** 92489), **დავით მალაშვილი** (2478),**გაიოზ ნიგალიძე** (2465), **სოფიკო გურამიშვილი** (2408), **დავით ლომსაძე** (2345). ტურნირის რეიტინგფავორიტია მასპინძელი ჰრანტ მელქუმიანი (2642), მეორე ადგილზეა ზავენ ანდრიასიანი (2615). რეიტინგით მესამე საფეხური შანავას უკავია.

**ვაჟა დანელია**

● პლაჟის ფრენბურთი

## ძირითად ბადეში ვერ მოხვდნენ



რომში პლაჟის ფრენბურთელთა დიდი სლემის მსოფლიო ტურის მორიგ ეტაპზე კვლავ წარუმატებლად ითამაშეს ჩვენმა გუნდებმა - გეორ-გიამ და საქა-რთველომ. ვაჟებმა პირველივე შეხვედრა იტალიელებთან 1:2 (18:21, 24:22, 12:15) დათმეს. გოგონებმა სტარტზე ნორვეგიელებს 2:0 (21:9, 21:14) სძლიეს, მაგრამ მერე შვეიცარიელებთან ასეთივე ანგარიშით (14:21, 15:21) დამარცხდნენ.

**ვაჟა დანელია**

# TimeLine

# საფრთხობელა, ღორი, ტრამვაი

ქართველი ბიბლიოთეკა

ევრო 2012-ის ჯგუფური ეტაპი ეკვატორს გადასცდა და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩემპიონატი მოედნის მიღმა არანაკლებ საინტერესოა. აქეთ ფეხბურთელებს დარტყმებში გულშემატკივრები ეჯიბრებიან - ერთმანეთს უბრაგუნებენ, იქით უკრაინული „ფემენის" წევრებს პოლონელი კოლეგები ლიად (ყველა გაგებით) დაუპირისპირდნენ...



საფრთხობელათი დავიწყოთ. 2012 წლის ჩემპიონატი პირველია, რომელიც საფრთხობელების თანხლებით მიმდინარეობს. კარის გვერდით რომ დააყენეს არბიტრები, მათ ვგულისხმობ. „უდიპლომო სასიძოში", ბიჭიკოს საფრთხობელას უფრო მეტი სარგებელი მოაქვს (მეტსაც მოძრაობს), ვიდრე კარის გვერდით დარჭობილი მსაჯები.

ზუსტად არ ვიცი, მათ რა დაავალეს, მაგრამ კართან ახლოს ფეხბურთელს ბურთი ხელზე რომ ხვდება, ეს უნდა დააფიქსირონ. არადა, რამდენი ასპროცენტიანი პენლტი უნდა დანიშნულიყო, ვინ მოთვლის. ამ არბიტრებს კიდევ არაერთი ფუნქცია აქვთ, მაგრამ რატომღაც „ბოდიშებივით" დგანან.

ერთსაც ვიტყვი და სხვა თემაზე გადავალ. კალათბურთში მატჩის შეჩერება და სადავო ეპიზოდის განხილვა ჩვეულებრივი ამბავია. ამერიკაში ეს ხშირად გადამეტებულია, თამაშის რიტმს ვნებს. თუმცა ტექნიკა ისე განვითარდა, რომ თუნდაც 10-15 წამით საფეხბურთო მატჩის შეჩერება (განსაკუთრებულ შემთხვევებში) სულაც არ უნდა იყოს მიულებელი. ყოველ შემთხვევაში, ასე უფრო სამართლიანი იქნება.



ღორები უკრაინასა და პოლონეთში დიდი პოპულარობით სარგებლობენ. მათ გემრიელ ხორცს არ ვგულისხმობ: ზოგმა ფუნტიკი დაარქვა, ზოგმა ხრიუშა, დაუდებენ წინ დროშებიან სალაფავებს და ელოდებიან რომელს უფრო სწრაფად შეჭამს, რათა შემდეგ დაიტრაბახონ - ჩემმა ფუნტიკმა უკრაინის დროშიანი „კერძი" შესანსლა და უკრაინელები დღეს ფრანგებს მოუგებენო.

ღორი და ინტუიცია? მას სალაფავი დაუყარე და თუნდაც ნიკოლოზს აკოცებს ტუჩებში („უდიპლომო სასიძო"). ერთმა სპილომ ორი კარიდან პორტუგალიისა აარჩია, გოლი გაუტანა და გერმანიას მოაგებინა. მეორე სპილომ მასპინძელი პოლონეთის საბერძნეთზე გამარჯვება იწინასწარმეტყველა. მაგრამ შეცდა.

თუ ინტუიციაზე ვლაპარაკობთ, მრავალფეხა ჭია უნდა ვახსენო. ჩემპიონატის მეორე დღეს ასეთმა ჭიამ კომპიუტერის მაგიდასთან ჩაიარა, დავიჭირე და ღვინის ჭიქაში მოვათავსე, მეგობრებთან ერთად გავერთობი-მეთქი. ერთ ყუთში საპირისპირო მხარეს დანიისა და ჰოლანდიის დროშები დავდე და ჭია შუაში დავსვი. დანიისკენ გაიქცა. მაშინ ვინ წარმოიდგენდა, რომ ჰოლანდიელებს ვიკინგები დაამარცხებდნენ. ამიტომ, ვიფიქრე - ჭიას რაღაცა ეშლება, ხელახლა ვცდი-მეთქი. მეორედაც დანიის დროშას მიაშურა...

იმავე დღეს გერმანია-პორტუგალიის მატჩი იმართებოდა. ამ ქვეყნების დროშებიც გავამზადე, ჭიქა ამოვაყირავე, მაგრამ ჭია არ გადმოვარდა. ვერც ფსკერზე ვნახე - თურმე ჭიქის ამოტრიალებისას პირზე მიჭყლეტილიყო.

მრავალფეხა მაშინაც დამენანა, მაგრამ საღამოს დანიამ ჰოლანდიას რომ მოუგო...

მეორე დღეს უფრო დიდი ჭია დავიჭირე (შავი ფერის, ფრთებიანი). მანაც პირველი თამაშის შედეგი გამოიცნო - იტალიისა და ესპანეთის დროშებიდან ერთიც არ მოეწონა, სხვა გზას დაადგა. გუნდებმა მართლაც ფრე ითამაშეს, მაგრამ იმავე საღამოს ჭიის ნაწინასწარმეტყველები მეორე ყაიმი არ დაფიქსირდა - ხორვატიამ ირლანდიას კუდით ქვა ასროლინა.

როგორც გითხარით, ეს მხოლოდ გართობის მიზნით გავაკეთე, თორემ არც ჭიების და მით უმეტეს არც ღორების წინასწარმეტყველების არ მჯერა, არც - ადამიანების ვარსკვლავთმრიცხველობისა. სათანადოდ თუ არ ითამაშებ, ვერც რვაფეხა გიშველის და ვერც ფანტომასი.



ჰოპ ზილინა, ზილინა... ასეთი სათაური მოუხდებოდა ფოტოს, რომელზეც ესპანელი ინიესტა ერთბაშად ხუთ იტალიელს შორისაა მომწყვდეული. თუმცა, საკითხავია: არის კი მომწყვდეული?

გემახსოვრებათ, ევროპის ჩემპიონატის წინ წამყვანი ნაკრებებიდან რამდენიმე ფეხბურთელი "ლელოს" პირველ გვერდზე „დავსვით". ესპანეთიდან ინიესტა ავარჩიეთ. იტალიასთან, სწორედ ანდრესი იყო ერთ-ერთი საუკეთესო. როგორც ხედავთ, გამოცნობა ჩვენც შეგვიძლია.

საინტერესო იყო ესპანელთა გოლის ეპიზოდი: ქართველმა კომენტატორმა თქვა - დელ ბოსკე შეცვლას ამზადებს, მოედნიდან გასვლის კანდიდატები სესკ ფაბრეგასი და დავიდ სილვა არიანო. ეს თქმა და პირენეელთა გოლი ერთი იყო: სილვას პასით ფაბრეგასმა გაიტანა (როგორც იტყვიან, თვალი ეცათ). თუმცა დავიდი იმ ეპიზოდის დასრულებისთანავე მწვრთნელმა მართლაც შეცვალა.



"პიჟონი"! - ასეთი სიტყვები უკრაინელმა გულშემატკივრებმა კრიშტიანო რონალდოს მისამართით გაიმეტეს. ქომაგთა ასეთ საქციელს არასოდეს ვამართლებ და არც ამჯერად მომწონებია, მაგრამ ფაქტს ვერ გავექცევით, რონალდომ საფუძველი თავად მისცა: გერმანიასთან თამაშის წინადღეს პორტუგალიის ნაკრების ვარჯიშს უამრავი უკრაინელი ქომაგი დაესწრო (მანდილოსნები ჭარბობდნენ). ისინი ემოციურად შეეგებნენ მადეირელ ვარსკვლავს.

რონალდომაც მაისური გაიხადა და ტრიბუნებისკენ მოიქნია, მაგრამ შორს არ უსვრია, ფეხებთან დაიგდო. სწორედ ასეთი საქციელის გამო დაიმსახურა მან „კომპლიმენტი".

პორტუგალია-გერმანიის დაპირისპირების შემდეგ მოსკოვში ჩასულ რეჟისორ ემირ კუსტურიცას სპორტულმა კომენტატორმა ევრო 2012-ის ფავორიტის დასახელება სთხოვა. „ფეხბურთს ყველა თამაშობს, მაგრამ იგებენ მხოლოდ გერმანელები".

ვფიქრობ, ბევრი ანტიგერმანისტიც კი დაგვეთანხმება, რომ ჯერჯერობით ყველაზე ხარისხიან ფეხბურთს ალემანები თამაშობენ: გომესი, იოზილი, ხედირა, ბოატენგი, პოდოლსკი...



საქართველო ნაკრები ნეტავ ევროპის ჩემპიონატზე თამაშობდეს და ნატურალიზებულ სვაზილენდელებსაც სიამოვნებით მივიღებდი. ჰოდა, ვიდრე აფრიკელებით, ან ადგილობრივი კადრებით ევროფორუმებზე გავიდოდეთ ევროპის ჩემპიონატებზე საქართველოს დროშის გამოჩენაც უნდა გვიხაროდეს:

>> მე-16 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ნიაზ მამრიკიშვილთან

# ქართული კლუბები ევროთასებზე

## რაოდენობის მატება ხარისხზეც უნდა აისახოს

**ქართული რაგბის ბოლო წლების წარმატებებთან ერთად ამ სპორტის სახეობის პოპულარობა ჩვენს ქვეყანაში დღითიდღე იზრდება. შესაბამისად იზრდება რაგბის გეოგრაფია, კლუბებისა და მათში მოვარჯიშე ბავშვების რაოდენობა. საქართველოს რაგბის კავშირი დღესდღეობით 6 სხვადასხვა რანგის შეჯიბრებას მართავს. ესენია: საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი, პირველი, ესპუართა, ჭაბუკთა A და B ლიგები, ასევე შვიდკაცა რაგბის ჩემპიონატი, რომელიც სამ ეტაპად ტარდება. ქართული რაგბის „შიდა სამზარეულოს" სიახლეებზე, პრობლემებსა და სამომავლო გეგმებზე საქართველოს რაგბის კავშირის საშეჯიბრო კომიტეტის ხელმძღვანელი ნიაზ მამრიკიშვილი გვესაუბრება.**

- წლევანდელი სეზონი უწინდელისგან ძალიან ბევრი რამით იყო გამორჩეულ-განსხვავებული. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ საქართველოს ჩემპიონატი შემოდგომა-გაზაფხულის სისტემით გაიმართება. ამასთან ერთად გაიზარდა გუნდების რაოდენობა თითქმის ყველა ლიგაში. მაგალითად, უმაღლეს ლიგაში რვის ნაცვლად ათ გუნდს ვიხილავთ. სერიოზული ნამატი გვაქვს პირველ ლიგაშიც. იქ 16 გუნდი ითამაშებს.

გადავწყვიტეთ, პირველი ლიგა რეგიონული პრინციპით ორად გაგვეყო. მართალია, დასავლეთ ზონაში უფრო ნაკლები, ექვსი გუნდი მოხვდა, მაგრამ დასავლეთ საქართველოში რაგბის განვითარების ტემპი იმდენად სწრაფია, რომ მალე კიდევ ველოდებით ნამატს.

**- ორ წელიწადზე მეტია უმაღლესი ლიგის კლუბებს დუბლშემადგენლობაც ანუ ესპუართა გუნდებიც ჰყავთ. წლეულსაც თუ ჩატარდება მათ შორის შეჯიბრება?**

- დუბლშემადგენლობათა ტურნირი წლეულსაც აუცილებლად ჩატარდება, თუმცა ჯერჯერობით უცნობია, რამდენი გუნდი მიიღებს მონაწილეობას. სამაგიეროდ, უკვე ვიცით, რომ სამ ეტაპად ჩატარდება შვიდკაცა რაგბის საქართველოს ჩემპიონატი, რომელშიც 12 გუნდი მიიღებს მონაწილეობას. აქ პრინციპი ასეთია, უმაღლესი ლიგის ათ გუნდს ემატება პირველ ლიგაში რეიტინგით ორი საუკეთესო გუნდი. თუ რომელიმე უმაღლესლიგელი ასპარეზობაზე უარს იტყვის, მაშინ მას მესამე პირველლიგელი ჩაანაცვლებს.

**- გუნდებს უფლება აქვთ ასპარეზობაზე უარი თქვან?**

- „არმიამ" უარი თქვა შვიდკაცა რაგბის ჩემპიონატში მონაწილეობაზე. ამ გუნდის ხუთი მორაგბე საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებშია, რომელიც სოლტ ლეიკ სიტიში „მსოფლიოს ახალგაზრდულ ალაფზე" იასპარეზებს, ამდენივე მოთამაშე ჰყავს მივლინებული ეროვნულ ნაკრებშიც. ფაქტობრივად, უკანა ხაზიდან გუნდში ალარავინ დარჩა და ამიტომაც თქვა უარი.

**- რით იყო გამოწვეული საქართველოს ჩემპიონატის ფორმატის ცვლილება და შემოდგომა-გაზაფხულის სისტემაზე გადასვლა?**

- ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ შორს ალარ არის ის დრო, როცა ქართული კლუბები ევროთასების, კერძოდ კი, პირველ ეტაპზე „ემლინ ჩელენჯ კაპის" გათამაშებაში ჩაებმებიან. ამას დაუმატეთ ეროვნული ნაკრების საერთაშორისო მატჩების განრიგი. ყოველივე ამის გამო იძულებული ვიყავით საქართველოს ჩემპიონატის გამართვის ვადები საერთაშორისო გრაფიკზე აგვეწყო, რაც ხშირ და დიდხნიან პაუზებს იწვევდა. შემოდგომა-გაზაფხულის სისტემაზე გადასვლის შემდეგ ასე ალარ იქნება. ერთადერთხელ, ნოემბრის ტესტებისთვის მოგვიწევს ორკვირიანი შესვენების გამოცხადება.

ამრიგად, საქართველოს ჩემპიონატი პირველ სექტემბერს დაიწყება და 2013 წლის გაზაფხულის ბოლოს დასრულდება. ვფიქრობ, ეს ცვლილება ჩვენი რაგბის განვითარებისთვის დადებით ტენდენციებს გამოიწვევს.

**- მამაკაცთა შეჯიბრებების გარდა რაგბის კავშირი ჭაბუკთა ტუნრისაც ატარებს...**

- დიახ, ჭაბუკთა A და B ლიგებში შეჯიბრება ამჟამად მიმდინარეობს. ფორმატის ცვლილება ამ ტურნირებს არ შეეხება, ანუ აქ ისევ გაზაფხული-შემოდგომის სისტემით იასპარეზებენ გუნდები. ორივე ლიგაში გუნდების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა, მოიმატა თამაშების რაოდენობამაც, რომლის მომსახურებასაც საკმაოდ დიდი ადამიანური რესურსი სჭირდება.

ამასთან ერთად, თავი იჩინა სრულიად ბუნებრივმა პრობლემამ. მოგეხსენებათ, ამ ლიგებში მოთამაშე მორაგბეები სკოლის მოსწავლეები არიან. ახლახან მათ გამოსაშვები გამოცდები ჰქონდათ, რის გამოც შეჯიბრება დროებით შევაჩერეთ. მათი დაახლოებით 70 პროცენტი სწავლის გაგრძელებას აპირებს და ახლა მისაღები გამოცდების გამო მოგვიწევს ისევ პატარა პაუზა.

**- როგორი მომზადებული შეხვდა რაგბის კავშირის ინფრასტრუქტურა გუნდების რაოდენობის ზრდას?**

- ჯერჯერობით თავს ვართმევთ. მატჩების უმრავლესობა ვარკეთილის მეურნეობის სარაგბო მოედანზე იმართება. დიდად გვეხმარება დილმის მასივში „ლოკომოტივის" და ვარკეთილში „ლელოს" სარაგბო ბაზები. რომ არა მათი თანადგომა, ვერც კი წარმომიდგენია, რა უნდა გველონა.

მომავალი წლიდან ისევ ველოდებით გუნდების რაოდენობის მატებას. ამაზე უკვე ნაფიქრი გვაქვს, გარკვეული ლონისძიებებიც დავსახეთ, თუმცა უნდა დაველოდოთ როგორ განვითარდება მოვლენები. „საქველმოქმედო ფონდი ქართუს" დახმარების პროგრამით მწყობრში მალე კიდევ რამდენიმე ბაზა უნდა ჩადგეს. ჯერჯერობით კი თბილისში ორი მაღალი დონის სარაგბო კომპლექსი გვაქვს.

**- როგორი მდგომარეობაა ჭაბუკთა ლიგებში დისციპლინის მხრივ?**

- ასაკიდან გამომდინარე, ჭაბუკთა ლიგების გუნდებთან მუშაობა ყველაზე რთულია. ბიჭები 15-17 წლისანები არიან. ეს გარდატეხის პერიოდია. სწორედ ამ დროს ხდება ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბება. მზარდები გაუწონასწორებელნი არიან, როგორც ფსიქოლოგიურად, ისე ემოციურად. თანაც, სწორედ ახლა უწევთ პირველი შეხება სერიოზულ სარაგბო შეჯიბრებასთან, სხვა გუნდების მორაგბეებთან, რომლის დროსაც ბევრ პრობლემას ვაწყდებით.

ვერ ვიტყვი, რომ ბრძოლა გვაქვს გამოცხადებული, მაგრამ მდგომარეობის გამოსწორების მიზნით გარკვეულ სამუშაოს, ცხადია, ვატარებთ. მინდა ალვნიშნო, რომ შარშანდელთან შედარებით, წლეულს მდგომარეობა უკეთესობისკენაა შეცვლილი.

**- როგორ შეაფასებდით ჭაბუკთა ლიგაში მოასპარეზე გუნდების თამაშის დონეს და ხარისხს?**

- თამაშის ხარისხზე, მოდით, სექტემბრიდან ვილაპარაკოთ. როგორც უკვე ვთქვი, დღესდღეობით არსებული პრობლემები გუნდების მომზადების დონეს სერიოზულ დაღს ასვამს. მორაგბეები არ არიან ბოლომდე კონცენტრირებულნი. ამიტომ, ამ თემაზე უმჯობესია სექტემბერში ვისაუბროთ. სწორედ ამ პერიოდში მოახერხებს ყველა გუნდი მაქსიმალურად კარგად მოემზადოს, როგორც ტაქტიკური, ისე ტექნიკური თვალსაზრისით.

ყველაზე კარგი ბარომეტრი ჩვენი ჭაბუკთა ნაკრებების საერთაშორისო ასპარეზზე მიღწეული წარმატებებია. აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ პროგრესს განვიცდით. ცხადია, ადამიანის ბუნება ისეა მოწყობილი, რომ მუდმივად უკეთესისკენ ილტვის. მიღწეულით დაკმაყოფილება კი მოდუნებას და რეგრესს იწვევს. ესე იგი, კმაყოფილნი არასდროს უნდა ვიყოთ, რათა განვვითარდეთ და კარგ შედეგებს მივაღწიოთ.

ერთი სიტყვით, ყველაფერი ერთმანეთზე ჯაჭვის რგოლებივითაა გადაბმული. მორაგბეების რაოდენობის ზრდა შეუქცევად პროცესად უნდა იქცეს, აისახოს ხარისხის ამაღლებასა და ეროვნული ნაკრების შედეგებში.



ლელო-არმია

ჭაბუკთა ლიგა



# ლელომ, აკადემიამ და ხარებმა წაგება არ იციან

**საქართველოს ჩემპიონატის ჭაბუკთა A ლიგაში მორიგი, მეექვსე ტურის მატჩები გაიმართა. შეგახსენებთ, რომ ამ ტურნირში მონაწილე 16 გუნდი ორ A და B ჯგუფშია განაწილებული. პლეი ოფში კი ორ-ორი საუკეთესო განაგრძობს პირველობისთვის ბრძოლას.**

A ჯგუფში დამაჯერებლად ლიდერობს თბილისის „ლელო", რომელმაც ექვსი თამაშიდან ექვსივე მოიგო. ლელოელებმა მეექვსე ტურში საკმაოდ დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხეს თბილისის „ივერია" - 22:10. „ლელოს" ახლა 26 ქულა აქვს, მას ექვსი ქულით ჩამორჩება და მეორე ადგილზეა თბილისის „ჯიქები", რომელმაც იოლად მოუგო თბილისის „ლოკომოტივს" - 41:8.

20 ქულა აქვს და მესამე ადგილზეა ქუთაისის პირველი გუნდი, რომელმაც თანაქალაქელთა მეორე გუნდს სძლია დაძაბულ ბრძოლაში 24:17. ქუთაისი 2 ლიდერებს ოდნავ ჩამორჩა და ახლა 14 ქულით მე-4 ადგილზეა.

აუტსაიდერების „წიქარასა" და „ჯვაროსნების" დავაში გამარჯვება ამ უკანასკნელს დარჩა - 43:13. ეს „ჯვაროსნების" პირველი წარმატება იყო მიმდინარე სეზონში.

### A ჯგუფი

წიქარა-ჯვაროსნები 13:43. ლოკომოტივი-ჯიქები 8:41, ქუთაისი 2-ქუთაისი 1 17:24, ივერია-ლელო 10:22.

### სატურნირო მდგომარეობა

1. ლელო - 26 ქულა, 2. ჯიქები - 20, 3. ქუთაისი 1 - 20, 4. ქუთაისი 2 - 14, 5. ივერია - 14, 6. ლოკომოტივი - 11, 7. ჯვაროსნები - 5, 8. წიქარა - 0.

B ჯგუფში წაუგებლად ასპარეზობენ თბილისის „აკადემია" და რუსთავის „ხარები". ორივე გუნდმა ექვსი შეხვედრიდან ხუთი მოიგო და თითო-თითო ფრედ ითამაშა. სატურნირო ცხრილს კი სათავეში 25 ქულით რუსთაველები უდგანან, რადგან ერთი პრემიალური ქულით მეტი აქვს მოპოვებული.

„ხარებმა" მეექვსე ტურში სტუმრად დაამარცხეს თბილისის „ყოჩები" - 45:5. „აკადემიამ" კი, რომელიც რუსთაველებს ერთი ქულით ჩამორჩება, ურთულეს ბრძოლაში სძლია თბილისის „ხულიგანას" - 16:12. ხულიგანელებს 21 ქულა აქვთ და მესამე ადგილზე არიან. მათ პლეი ოფში გასვლის შანსი ჯერ ისევ არ დაუკარგავთ.

ნახევარფინალში გასვლის თეორიულ შანსს ინარჩუნებს ოზურგეთის „არწივები", რომელმაც სტუმრად მშრალი ანგარიშით მოუგო თბილისის „ტორნადოს" - 15:0. ამავე ჯგუფის კიდევ ერთ შეხვედრაში „არმიამ" ჭიათურის „იმერეთი" გაანბილა - 34:11.

### B ჯგუფი

აკადემია-ხულიგანა 16:12, ტორნადო-არწივები 0:15, ყოჩები-ხარები 5:45, არმია-იმერეთი 34:11.

### სატურნირო მდგომარეობა

1. ხარები - 25 ქულა, 2. აკადემია - 24, 3. ხულიგანა - 21, 4. არწივები - 18, 5. არმია - 17, 6. ყოჩები - 4, 7. იმერეთი - 4, 8. ტორნადო - 3.

შვიდკაცა რაგბი

# შვიდკაცას ჩემპიონატი 12 გუნდით

**ხვალიდან შვიდკაცა რაგბის საქართველოს ჩემპიონატი დაიწყება. ტურნირი, რომელშიც 12 გუნდი იასპარეზებს, სამ ეტაპად გაიმართება და ჩემპიონის ტიტულს ის მოიპოვებს, ვინც სამი ეტაპის ჯამში ყველაზე მეტ სარეიტინგო ქულას დააგროვებს.**

უმაღლესი ლიგის 10 გუნდიდან ასპარეზობაში მხოლოდ 8 ჩაერთვება. ჩემპიონატში თამაშზე უარი თქვეს „არმიამ" და რუსთავის „ხარებმა". მათ ნაცვლად პირველი ლიგიდან ქუთაისის „ბაგრატთან" და თბილისის „ხულიგანასთან" ერთად ფოთის „რაინდები" და ოზურგეთის „არწივები" ითამაშებენ.

მეორე ეტაპი ერთი კვირის თავზე გაიმართება, მესამე კი 14-15 ივლისს.

**A ჯგუფი:** ბათუმი, ხულიგანა, რაინდები, ლელო, აკადემია, ჯიქები

**B ჯგუფი:** ლოკომოტივი, ყოჩები, ბაგრატი, აია, არწივები, არმაზი.

ევროთასები

# ჩელენჯ კაპზე მხოლოდ სამი

„ჰაინეკენის თასის" გათამაშების ჯგუფების ბინადართა კვალდაკვალ, წილისყრამ „ემლინ ჩელენჯ კაპის" გუნდებიც დააჯგუფა. ამ ტურნირზე, რომელიც პრესტიჟით მეორეა ევროპაში, ქართველ მორაგბეთა მხოლოდ სამი გუნდი იასპარეზებს. ესენია: **ბექა შეყლაშვილის** „აჟენი", **ზურაბ ჟვანიას** „სტად ფრანსე" და **გიორგი მენაბდიშვილის** „გრენობლი".

ალსანიშნავია, რომ პარიზელები და „ალპელები" E ჯგუფში ერთად მოხვდნენ. „აჟენი" კი C ჯგუფში იასპარეზებს.

**A ჯგუფი:** გლოსტერი (ინგ), ლონდონ აირიში (ინგ), ბორდო (საფ), მონ დე მარსანი (საფ)

**B ჯგუფი:** პერპინიანი (საფ), ვოსფსი (ინგ), რუვიგო (იტ), ბისკაია (ესპ)

**C ჯგუფი:** ვოსფსი (ინგ), ნიუპორტი (უელ), ბაიონი (საფ), მოლიანო (იტ)

**D ჯგუფი:** ბასი (ინგ), კალვიზანო (იტ), აჟენი (საფ), ბუქარესტი (რუმ)

**E ჯგუფი:** სტად ფრანსე (საფ), ნიუკასლი (ინგ), პრატო (იტ), გრენობლი (საფ).

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

ველოსპორტი

ლენს არმსტრონგი



# ისევ ლენსი, ისევ დოპინგი

## ლეგენდარულ ამერიკელს ოფიციალურად წაუყენეს ბრალი დოპინგის გამოყენებაში

ამერიკის შეერთებული შტატების ანტისადოპინგო სააგენტომ (USADA) ლეგენდარულ ამერიკელ ველომრბოლს **ლენს არმსტრონგს** ოფიციალურად წარუდგინა ბრალი დოპინგის გამოყენებაში. ამის შესახებ დაწერა გაზეთმა "ვაშინგტონ პოსტმა", რომელსაც ხელთ ჩაუვარდა USADA-ის წერილი არმსტრონგის მისამართით.

წერილში ვკითხულობთ, რომ სააგენტოს თანამშრომლებმა არმსტრონგის სისხლის ანალიზი ჩაატარეს, რომელიც 2009-10 წლებში იყო აღებული. და მიღებული შედეგები მეტყველებს "სისხლთან მანიპულაციებზე", აკრძალული პრეპარატის გამოყენებაზე, დოპინგის შენიღბვასა და სისხლის გადასხმაზე.

USADA-ს მიერ წამოყენებული ბრალდების გამო, 40 წლის არმსტრონგი ვერ შეძლებს მონაწილეობას ტრიატლონის ტურნირებში. სწორედ სპორტის ამ სახეობით დაკავდა ლენსი 2011 წელს ველოსპორტიდან წასვლის შემდეგ. გარდა ამისა, არმსტრონგმა, შესაძლოა, დაკარგოს ტურ დე ფრანსის შვიდი ტიტული, რომელიც მან 1999-2005 წლებში მოიპოვა.

ამ საქმეში გადის ასევე ხუთი პიროვნება, რომლებიც ახლოს იყვნენ არმსტრონგთან: სამი ექიმი და მისი ორი ყოფილი ადმინისტრატორი. ამ საქმის გამოძიების გაგრძელებაზე გადაწყვეტილებას USADA-სთან არსებული დამკვირვებელი საბჭო მიიღებს.

თავის მხრივ, არმსტრონგმა განაცხადა, რომ არასოდეს გამოუყენებია აკრძალული პრეპარატები და აგრეთვე შეახსენა ჟურნალისტებს, რომ მთელი კარიერის განმავლობაში 500-ზე მეტი წარმატებული დოპინგ-სინჯი ჩაატარა. მან მომხდარი "უსაფუძვლო ანტიპათიად" მონათლა და ეჭვქვეშ დააყენა USADA-ის ავტორიტეტი და ობიექტურობა.

ამერიკის შეერთებული შტატების ანტისადოპინგო სააგენტო არაკომერციული ორგანიზაციაა. ის სახელმწიფოს არ ეკუთვნის, მაგრამ ნაწილობრივ ფინანსირდება საბიუჯეტო სახსრებით.

არმსტრონგთან დაკავშირებით დაახლოებით ორი წლის წინ უკვე აღიძრა საქმე აკრძალული პრეპარატის გამოყენებაზე. ლენსის წინააღმდეგ ჩვენება მისცა მისმა ყოფილმა თანაგუნდელმა **ფლოიდ ლენდისმა**. რამდენიმე თვის წინ აშშ-ის იუსტიციის სამინისტრომ დახურა ეს საქმე.

ფორმულა 1

# ლაუდა: სცენაზე ტოპგუნდები გამოდიან

გერმანული ტელეარხის RTL-ის ექსპერტმა, ლეგენდარულმა ავსტრიელმა **ნიკი ლაუდამ** ივარაუდა, რომ სეზონის დარჩენილი რბოლები წამყვანი გუნდების დომინირებით ჩაივლის და ისეთი სიურპრიზების ალბათობა, როგორიც **პასტორ მალდონადომ** ბარსელონაში შემოგვთავაზა, ნაკლები იქნება.

როგორც ლაუდა აცხადებს, ტიტულზე მთავარმა პრეტენდენტებმა შესამჩნევ პროგრესს მიაღწიეს საბურავების გამოყენების მხრივ და ეს დაეხმარება მათ პირველი ადგილისთვის ბრძოლაში.

*„ვფიქრობ, სეზონის ბოლომდე სიტუაცია სწორედ ასეთი სცენარით განვითარდება, - ამბობს ლაუდა. - შეიძლება მივიღოთ ერთი-ორი მოულოდნელი შედეგი უბრალოდ იმიტომ, რომ წელს მანქანები პრაქტიკულად თანაბარნი არიან შესაძლებლობის მხრივ და ვილაც მიაღწევს წარმატებას, როგორც ეს პასტორ მალდონადომ გააკეთა ესპანეთში. მაგრამ საერთო ჯამში, ჩვენ დავინახავთ, როგორ პროგრესირებენ ტოპგუნდები და სულ უფრო მეტ პრეტენზიას გამოაცხადებენ ჩემპიონობაზე“.*

მოტოსპორტი

# მარკოს სახელობის ავტოდრომი

იტალიაში პატივი მიაგეს შარშან დაღუპული მოტომრბოლის, **მარკო სიმონჩელის** ხსოვნას. მისი სახელი დაარქვეს მიზანოს სახელგანთქმულ ავტოდრომს და ამიერიდან ტრეკს ასე ეწოდება - „მარკო სიმონჩელის სახელობის მიზანოს ავტოდრომი“.

არენისთვის სახელის გადარქმევის იდეა მოიწონა ავტოდრომის დირექტორთა საბჭომ. ადრე მიზანოს ტრეკს „სანტა მონიკა სპა“ ერქვა.

*„სასიამოვნოა ამბავია ის, რომ ავტოდრომს მარკო სახელი დაარქვეს. ბოლო თვეების განმავლობაში მთელი მსოფლიოდან უდიდესი მხარდაჭერა ვიგრძენით. გუშინ, განსაკუთრებული დღე იყო ჩვენი ოჯახისთვის“,* - აღნიშნა მარკო სიმონჩელის მამამ - **პაოლომ**.

შეგახსენებთ, რომ იტალიელი მოტომრბოლი მარკო სიმონჩელი შარშან, მალაიზიის გრან-პრიზე საშინელი ავარიის შედეგად დაიღუპა.

ჰოკეი. NHL სტენლის თასის შემდეგ

# მეფეების დიდი გზა

## როგორ მოიგო ლოს ანჯელესმა პირველი სტენლის თასი

„ლოს ანჯელეს კინგზი“ თავისი არსებობის ისტორიაში პირველად გახდა სტენლის თასის მფლობელი. ასეთი მიღწევა გუნდს გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანების დასაწყისშიც არ ჰქონია, როცა მის რიგებში თამაშობდნენ **უეინ გრეტცკი, ლუკ რობიტაილი, დევიდ ტეილორი** და **ბერნი ნიკოლსი** თამაშობდნენ. ამ უკანასკნელმა 1988-89 წლების სეზონში 150 ქულა დააგროვა.

„მეფეებმა“ მხოლოდ ერთხელ მიაღწიეს ფინალამდე - ეს 1993 წელს მოხდა, როცა გადამწყვეტი სერია ხუთ მატჩში დათმეს „მონრეალთან“. ბოლო ცხრა სეზონში „მეფეები“ მხოლოდ სამჯერ გავიდნენ პლეი ოფში, ამასთან, 2010 და 2011 წლებში „ლოს ანჯელესი“ პირველი წრიდან ეთიშებოდა პლეი ოფს.

წელს, „ლოს ანჯელესი“ პირველი გუნდი გახდა NHL-ის ისტორიაში, რომელმაც სტენლის თასი მერვე განთესვის ნომრით მოიგო. ამასთან, „კინგზი“ მეორე გუნდია, რომელმაც მესამე ადგილი დაიკავა დივიზიონში და შემდეგ ფინალამდე მიაღწია. ადრე ასეთი რამ „კალგარიმ“ მოახერხა, როცა მას „კინგზის“ ამჟამინდელი მწვრთნელი **დერილ სატერი** ავარჯიშებდა. ამასთან, „ლოს ანჯელესმა“ დაამხო 1987 წლის უძლეველი „ედმონტონის“ მიღწევა, რომელმაც მთელი პლეი ოფის განმავლობაში ხუთი თამაში წააგო და აქედან სამი - ფინალში. კიდევ ის არის აღსანიშნავი, რომ ფინალური სერიის მეოთხე მატჩამდე კალიფორნიელები სტუმრად არ აგებდნენ (ათიდან ათი მოგება ჰქონდათ). შესაბამისად, ისმის კითხვა: რის ხარჯზე გაიარა ასე იოლად მთელი პლეი ოფი გუნდმა, რომელმაც კონფერენციაში მერვე ადგილი დაიკავა?

■ ■ ■

ამ გამარჯვებაში ძალიან დიდი წვლილი შეიტანა გენერალურმა მენეჯერმა **დინ ლომბარდიმ**, რომელმაც „ფილადელფიადან“ იქაური კაპიტნის **მაიკ რიჩარდსის** გადაბირება შეძლო, სანაცვლოდ კი **უეინ სიმონდსი** და **ბრეიდენ შენი** დათმო. ამავდროულად, „მეფეებმა“ „ედმონტონს“ დაუბრუნეს **რაიან სმიტი** და „ტამპა ბეიდან“ აიყვანა **საიმონ განიე**, რომელიც ოდესღაც რიჩარდსთან ერთად გამოდიოდა.

პლეი ოფის წინ კი ლომბარდიმ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა - აღადგინა ფილადელფიური დუეტი მაიკ რიჩარდსა და **ჯეფ კარტერის** შემადგენლობით. ეს უკანასკნელი რეგულარულის ბოლოსკენ „კოლამბუსიდან“ აიყვანა, სანაცვლოდ კი ლიგის მთავარი აუტსაიდერის რიგებში **ჯეკ ჯონსონი** გაუშვა. ასე რომ, მთელმა ლოს-ანჯელესმა მადლობა უნდა გადაუხადოს „ფილადელფიას“ ხელმძღვანელობას იმისთვის, რომ მან სეზონის წინ ორი ლიდერის გაშვება გადაწყვიტა.

სწორედ კარტერის ტრეიდი გახდა გადამწყვეტი მომავალი ტრიუმფისთვის. ჯეფი „კოლამბუსში“ აშკარა კრიზისს განიცდიდა, თან ტრავმაც აწუხებდა, „კინგზში“ კი მეორე სუნთქვა გაეხსნა და დიდი როლი ითამაშა სტენლის თასზე. პლეი ოფი მან ფინალური სერიის ბოლო მატჩში დუბლით დაასრულა.

■ ■ ■

თუმცა ამ ზღაპრის ძირითადი შემოქმედი, სამწვრთნელო შტაბის გარდა, მეკარე **ჯონათან კუიკი**, კაპიტანი **დასტინ ბრაუნი** და მთავარი სნაიპერი **ანჟე კოპიტარი** გახდნენ. „კინგზის“ მეკარე საერთოდ სტენლის თასის MVP გახდა. მან საქმით დაამტკიცა, რომ მეკარე ნახევარ გუნდზე მეტია. კუიკი პლეი ოფის ისტორიაში საუკეთესო შედეგის ავტორი გახდა - მის ანგარიშზეა 16 მოგება და ოთხი წაგება საშუალო მაჩვენებლებით: მატჩში 1.41 გაშვებული შაიბა და 94.6 პროცენტი დარტყმების მოგერიება. მისი სტატისტიკა რეგულარულშიც შთამბეჭდავი იყო. გუნდის სათამაშო პრობლემების მიუხედავად, ის მატჩში ორზე ნაკლებ გოლს უშვებდა (1.95).

კუიკი ზედიზედ მეორე მეკარე და ამერიკელი ჰოკეისტია, ვინც „კონ სმიტ ტროფი“ (პლეი ოფის უძვირფასესი მოთამაშე) მოიგო (შარშან ეს პრიზი „ბოსტონის“ გოლკიპერმა **ტიმ ტომასმა** აიღო). ამ ორის გარდა, აქამდე ამერიკელთაგან სტენლის თასის MVP მხოლოდ **ბრაიან ლიჩი** იყო 1994 წელს. მეკარეებს კი „კონ სმიტ ტროფი“ 16-ჯერ მოუგიათ.

■ ■ ■

სეზონებს შორის შესვენებისას, წარმატებული სატრანსფერო პოლიტიკისა და მოთამაშეთა კარგი შემადგენლობის მიუხედავად, რეგულარული ჩემპიონატის დასაწყისი „მეფეებს“ კარგს არაფერს უქადდა. სეზონის მომავალმა ტრიუმფატორებმა ჩემპიონატი ცუდად არ დაიწყეს - 5 მოგება და 2 წაგება ჰქონდათ. მაგრამ შემდეგ საქმე უკან წავიდა - კლუბმა დაამყარა ანტირეკორდი (8-11-3), რის შემდეგაც პოსტიდან გაანთავისუფლეს მთავარი მწვრთნელი **ტერი მიურეი**.

მწვრთნელად დერილ სატერის მოსვლის შემდეგ, „ლოს ანჯელესი“ სხვანაირად ათამაშდა. „მეფეებს“ ისტორიაში დივიზიონის მეორედ მოგების შანსიც გაუჩნდათ, მაგრამ „სან ხოსესთან“ ოვერტაიმში ორმა მარცხმა დივიზიონში მესამე, ხოლო კონფერენციაში მერვე ადგილამდე დააქვეითა.

სტენლის თასის პირველ წრეში რეგულარულის ჩემპიონის, „ვანკუვერ კენაქსის“ ძლევის მიუხედავად, ექსპერტები მაინც არ განიხილავდნენ „ლოს ანჯელესს“ პლეი ოფის ფავორიტად. „კენაქსი“ შესამჩნევად იყო შესუსტებული ლიდერთა ტრავმების გამო. მეორე წრეში „სენტ ლუისის“ „მშრალი“ ანგარიშით დამარცხების შემდეგ დაიწყეს „მეფეების“ ფავორიტად მოხსენიება. ასევე იოლად დაამარცხა „კინგზმა“ „ფინიქსი“. მხოლოდ „ნიუ ჯერსიმ“ შეძლო „კინგზისთვის“ სერიაში ერთზე მეტი მატჩის მოგება, თუმცა ამ მომენტისთვის 0:3-ს აგებდა.

### კინგზი პლეი ოფში

**1/8 ფინალი.** ლოს ანჯელესი-ვანკუვერი 4:1 (4:2, 4:2, 1:0, 1:3, 2:1 ო); **1/4 ფინალი.** ლოს ანჯელესი-სენტ ლუისი 4:0 (3:1, 5:2, 4:2, 3:1); **1/2 ფინალი.** ლოს ანჯელესი-ფინიქსი 4:1 (4:2, 4:0, 2:1, 0:2, 4:3 ო); **ფინალი.** ლოს ანჯელესი-ნიუ ჯერსი 4:2 (2:1 ო, 2:1 ო, 4:0, 1:3, 1:2, 6:1).

### საჩემპიონო შემადგენლობა

**მეკარეები**

32. ჯონათან კუიკი (აშშ)
45. ჯონათან ბერნიე (კანადა)

**მცველები**

2. მეტ გრინი (აშშ)
7. რობ სკუდერი (აშშ)
8. დრიუ დაუტი (კანადა)
26. ვიაჩესლავ ვოინოვი (რუსეთი)
27. ალეკ მარტინესი (აშშ)
33. უილი მიტჩელი (კანადა)

**ფორვარდები**

10. მაიკ რიჩარდსი (კანადა)
11. ანჟე კოპიტარი (სლოვენია)
12. საიმონ განიე (კანადა)
13. კაილ კლიფორდი (კანადა)
14. ჯასტინ უილიამსი (კანადა)
15. ბრედ რიჩარდსონი (კანადა)
22. ტრევორ ლუისი (აშშ)
23 დასტინ ბრაუნი (აშშ)
24. კოლინ ფრეზერი (კანადა)
25. დასტინ პენერი (კანადა)
28. ჯარეტ სტოლი (კანადა)
71. ჯორდან ნოლანი (კანადა)
74. დუაიტ კინგი (კანადა)
77. ჯეფ კარტერი (კანადა)

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ჯონათან კუიკი



ჩოგბურთი


იანკო ტიპსარევიჩი

# ჩოგბურთელები ღარიბები ყოფილან

## იანკო ტიპსარევიჩის აზრით, არაელიტურ მოთამაშეებს სასაცილო შემოსავალი აქვთ

სერბეთის მეორე ნომერმა **იანკო ტიპსარევიჩმა** The Tennis Space-ზე საკუთარ ბლოგში დაწერა ფინანსური პრობლემების შესახებ, რომელსაც პროფესიონალთა ტურში მეორე ეშელონის ჩოგბურთელები აწყდებიან.

*„პირადად მე მიმაჩნია, რომ თანამედროვე ჩოგბურთში ყველაზე დიდი პრობლემა ჩოგბურთელის საშუალო ხელფასია. ჩვენ გვყავს ელიტის წარმომადგენლები, რომლებიც დიდ ფულს იღებენ - ეს ფაქტია. ახლა მე არ ვლაპარაკობ საკუთარ თავზე - ტოპათეულში ვარ და ამჟამად კარიერაში ყველაზე დიდ ჰონორარებს ვიღებ. მაგრამ რაც შეეხება TOP200-ის მოთამაშის შემოსავალს, ის დიდი არ არის. პროფესიონალი ჩოგბურთელის კარიერისთვის ძალიან დიდ მსხვერპლზე წასვლაა საჭირო, თითქმის მთელი წელი მოგზაურობ... თუ ავიღებთ სპორტის სხვა სახეობის ჰონორარებს, ჩოგბურთში ეს თანხები უბრალოდ სასაცილოა.*

*ახლა მე არ ვლაპარაკობ ფეხბურთზე: ჩოგბურთისა და ფეხბურთის შედარება არ ღირს. საუკეთესო მაგალითია გოლფი. ჩემი აზრით, გოლფი და ჩოგბურთი ერთი სპორტული ოჯახიდან მოდიან. გასული წლის შედეგების მიხედვით, 94-მა გოლფისტმა გამოიმუშავა ერთ სეზონში მილიონ დოლარზე მეტი, იმ დროს, როცა ჩოგბურთში ასეთი 15 მოთამაშე იყო. ჩემი აზრით, ეს დიდი სისულელე და უსამართლობაა. ლაპარაკია საშუალო შემოსავალზე. გამოდის, რომ თუ თქვენი პოზიცია მსოფლიოს რეიტინგში 80-90-ე ადგილებს შორის მერყეობს, არაფერს დაკარგავთ, მაგრამ ვერც ვერაფერს გამოიმუშავებთ. მიმაჩნია, რომ ნებისმიერ სფეროში მსოფლიოს საუკეთესო ასეულში მოხვედრა - უკვე დიდი მიღწევაა. ამასთან, ჩოგბურთელებმა დიდი ფული უნდა დახარჯონ მწვრთნელის, ფიზიოთერაპევტების მომსახურებაზე; დაუმატეთ ამას დიდი გადასახადები...*

*„დიდი სლემის“ ტურნირებმა გაზარდა პირველი რაუნდებში წაგებულებისთვის ჰონორარები, მაგრამ ვფიქრობ, უფრო რადიკალური ცვლილებებია საჭირო. მეორე მხრივ, თავიდან უნდა ავიცილოთ რევოლუცია. მოდი, ყურადღება მივაქციოთ ერთ მომენტს: NBA-ში კალათბურთელები არ ეთანხმებოდნენ იმას, რომ მათი ხელფასი ლიგის საერთო შემოსავლის 51 პროცენტზე მეტი არ უნდა ყოფილიყო. დღეს ჩოგბურთში ეს რიცხვი 11-13 პროცენტს არ აღემატება („დიდი სლემის“ ტურნირებზე). არ მინდა ხალხმა იფიქროს, რომ ჩოგბურთელები ძალიან ხარბები ვართ - დიდი ტურნირების გამარჯვებულთა საპრიზო თანხების შემხედვარე, შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ ტურის ყველა მონაწილე მილიონერია, მაგრამ ეს ასე არ არის. ჩვენ არ ვითხოვთ უფრო მეტ ფულს, ჩვენ ვლაპარაკობთ საპრიზოების უფრო მაღალ, სამართლიან პროცენტზე მოთამაშეებისთვის, რომლებიც ელიტაში არ შედიან“,* - აღნიშნა ტიპსარევიჩმა.

ძალოსნობა


ნურჯან თაილანი

# ჩემპიონი ოთხი წლით დასაჯეს

ქალებს შორის 2004 წლის ოლიმპიური ჩემპიონი, თურქი **ნურჯან თაილანი** ოთხი წლით არის დისკვალიფიცირებული დოპინგის გამოყენებისთვის. ამის გამო ის 2012 წლის ზაფხულის თამაშებს გამოტოვებს.

თურქეთის ძალოსნობის ფედერაციამ გამოაცხადა, რომ თაილანის სასჯელი უკვე შევიდა ძალაში და ის დაადასტურა ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ. თურქი სპორტსმენის ადვოკატმა განაცხადა, რომ მას ეშინოდა 28 წლის ნურჯანის სამუდამო დისკვალიფიკაციის, მაგრამ ახლა აპირებს გაასაჩივროს ფედერაციის გადაწყვეტილება.

თაილანმა ვერ გაიარა 2011 წლის 26 ოქტომბერს აღებული დოპინგ-ტესტი. განმეორებითმა ანალიზმა დაადასტურა აკრძალული პრეპარატის გამოყენება. ჯერჯერობით უცნობია, რა დოპინგი გამოიყენა სპორტსმენმა.

თაილანმა ოლიმპიური ოქრო 2004 წელს, ათენში 48 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში მოიპოვა. ის პირველი თურქი ქალია, ვინც ოლიმპიადის მოგება შეძლო. გარდა ამისა, თაილანი ექვსჯერ იყო ევროპის ჩემპიონი, 2010 წელს კი მსოფლიოს ჩემპიონიც გახდა.

ჩოგბურთი

# ანდრეას უიმბლდონიც გვერდზე დარჩა

ეროვნული ბიბლიოთეკა


ანდრეას პეტკოვიჩი

გერმანელმა ჩოგბურთელმა **ანდრეა პეტკოვიჩმა** გამოაცხადა, რომ ვერ შეძლებს უიმბლდონზე გამოსვლას. ამის შესახებ იუწყება ქალთა საჩოგბურთო ასოციაციის (WTA) ოფიციალური ვებგვერდი.

პეტკოვიჩმა, რომელიც WTA-ის რეიტინგში მე-18 ადგილს იკავებს, კვლავაც ვერ მოირჩინა ფეხის ტრავმა. გერმანელის კორტზე დაბრუნების ზუსტი თარიღი არ სახელდება.

პეტკოვიჩმა სეზონის დასაწყისი ზურგის ტრავმის გამო გამოტოვა, რის გამოც ვერ ითამაშა ავსტრალიის ღია პირველობაზე. აპრილში პეტკოვიჩმა განაახლა გამოსვლა პროფესიულ ტურში, მაგრამ თვის ბოლოს, შტუტგარტის ტურნირზე ფეხი დაიზიანა. ამის გამო გერმანელს როლან გაროსის გამოტოვებამ მოუწია. ასე რომ, უიმბლდონი გახდება "დიდი სლემის" ზედიზედ მესამე ტურნირი, რომელშიც ანდრეა ვერ ითამაშებს.

გასული სეზონი პეტკოვიჩმა WTA-ის რეიტინგში მე-10 ადგილზე დაასრულა. 2011 წელს ის გახდა პირველი ჩოგბურთელი, ვინც "დიდი სლემის" სამ ტურნირზე (ავსტრალიის ღია, როლან გაროსი, აშშ-ის ღია) მეოთხედფინალამდე გააღწია.

2012 წლის უიმბლდონი 25 ივნისს დაიწყება.



რაფაელ ნადალი

# ნადალს მოპარული დაუბრუნეს

პარიზის პოლიციამ იპოვა საათი, რომელიც როლან გაროსის ჩემპიონს **რაფაელ ნადალს** მოჰპარეს. გარდა ამისა, სამართალდამცავებმა დააპატიმრეს ქურდობაში ეჭვმიტანილი.

შეგახსენებთ, რომ ორი დღის წინ, ნადალმა პოლიციას მიმართა Richard Mille-ის მარკის საათის დაკარგვის თაობაზე, რომლის ღირებულება 300 ათას ევროს აღემატება. ჩოგბურთელის თქმით, ორშაბათ საღამოს, სასტუმროს ნომერში დასაძინებლად დაწვა და საათი საწოლის გვერდით ტუმბოზე დადო. დილით ნივთი თავის ადგილას არ დახვდა.

გუშინ, პოლიციამ დააპატიმრა სასტუმროს თანამშრომელი, რომელმაც აღიარა, რომ საკუთარი გასაღების გამოყენებით ღამით ნადალის ნომერში შეიპარა და საათი მოიპარა. ეჭვმიტანილმა პოლიციელები იმ ადგილას მიიყვანა, სადაც მან მოპარული ნივთი გადამალა.

*"ეჭვმიტანილმა სრულად აღიარა დანაშაული და გარკვეული დროის შემდეგ სასამართლოს წინაშე წარდგება. საათი უკვე დაუბრუნეს მის კანონიერ მფლობელს",* - განაცხადა პარიზის პოლიციის პრესატაშემ.

# სამპრასის პროგნოზები

**უიმბლდონის სტარტის წინ სპეციალისტები სვამენ კითხვას - შეძლებს თუ არა ვინმე სერიოზული კონკურენცია გაუწიოს „დიდ ოთხეულს“? ბრიტანული ვებგვერდი The Tennis Space ამასთან დაკავშირებით გაესაუბრა უიმბლდონის მთავარ ექსპერტს, ტურნირის შვიდგზის ჩემპიონს, ამერიკელ პიტ სამპრასს.**

**- ჟო-ვილფრიდ ცონგამ როლან გაროსზე კინაღამ დაამარცხა ნოვაკ ჯოკოვიჩი, ამასთან, მას კარგად გამოსდის უიმბლდონზე თამაში. შეიძლება ის სერიოზული საფრთხე გახდეს ფავორიტებისთვის?**

- ჩემი აზრით, მას აქვს ამის შესაძლებლობა. შარშანდელ უიმბლდონზე როჯერ ფედერერის დამარცხება - დიდი წარმატება იყო. თუ ჟო-ვილფრიდს უნდა „დიდი სლემის“ ტურნირის მოგება და ტოპხუთეულში დამკვიდრება, უფრო მეტი სტაბილურობა უნდა მოიპოვოს.

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ტოპჩოგბურთელებთან თამაშისას ხუთი წუთით მოდუნებაც არ შეიძლება. ამ თვალსაზრისით, ცონგა მოგვაგონებს რამდენიმე წლის წინანდელ ნოვაკს - ერთი წუთით კარგავდა კონცენტრაციას და ეს სეტის წაგებად უჯდებოდა.

თუმცა ისიც ცხადია, რომ ხანდახან ცონგა დიად თამაშს აჩვენებს. ის ძალიან ნიჭიერი ჩოგბურთელია.

**- როგორც ვიცით, თქვენ ძალიან მოგწონთ მილოშ რაონიჩის თამაში.**

- ის სერიოზულ პროგრესს განიცდის. ძალიან გამიკვირდება, თუ მილოში წლის ბოლოს ტოპათეულში არ მოიპოვებს ადგილს. ძალიან ძლიერი თამაში აქვს, ბრწყინვალე მოწოდება, კარგად მოძრაობს და თან სატურნირო გამოცდილებაც დააგროვა.

მისი მოწოდება მართლაც განსაკუთრებულია. ამაში თავად დავრწმუნდი, როცა კანადაში საგამოფენო მატჩში შევხვდი. ეს არის ჩოგბურთში ყველაზე მრისხანე იარაღი. დარწმუნებული ვარ, რაონიჩი უიმბლდონსა და ამერიკის ღია პირველობაზე ყველასთვის დიდი საფრთხე იქნება. ყველაფერთან ერთად, მილოშს მტკიცე ნერვები აქვს, რის გამოც მისი მეორე მოწოდებაც ძალიან სახიფათოა.

მილოშში კიდევ ის მომწონს, რომ ცდილობს შეტევის ბოლომდე მიყვანა, serve-and-volley-ის სტილში თამაში. ერთია, როცა კარგი და ძლიერი მოწოდება გაქვს და მეორე ამ მოწოდებიდან აგრესიული შეტევა. ეს მნიშვნელოვანია დღესაც, როცა პრაქტიკულად ყველა უკანა ხაზიდან ამჯობინებს თამაშს.

**- ჯონ ისნერსაც კარგი მოწოდება აქვს, მაგრამ ის ვერ ბრწყინავდა უიმბლდონზე. როგორ ფიქრობთ, შეძლებს თუ არა ის აღიარებული ლიდერებისთვის კონკურენციის გაწევას?**

- ვფიქრობ, შეძლებს. მაგრამ საქმე იმაშია, რომ „დიდი სლემის“ ტურნირებზე გამარჯვებისთვის საჭიროა მონდომებით მუშაობა. ჯონი არასოდეს გაურბოდა შრომას, მაგრამ დიდი წარმატებისთვის საქმისადმი განსაკუთრებული მიდგომა და მტკიცე ნერვები უნდა გქონდეს. საკუთარი თავი არ უნდა დაზოგო.

ჩემი აზრით, ჯონი თანდათან პროგრესირებს და შეუძლია დიდი სენსაცია შემოგვთავაზოს. მას უძლიერესი მოწოდება აქვს და ამას ყოველ მატჩში იყენებს. „დიდ სლემზე“ გასამარჯვებლად ბოლომდე უნდა იბრძოლო, ორი კვირის განმავლობაში შვიდი მატჩი უნდა მოიგო... ჯონი შიგადაშიგ აჩვენებს საჭირო თამაშს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


პიტ სამპრასი

კალათბურთი

# ალენს მაიამი და კლიპერსი მოუნდა


კევინ გარნეტი

ეროვნული საკალაბურთო ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტმა ფულადი ჯარიმა დააკისრა "ბოსტონ სელტიქსის" ფორვარდს **კევინ გარნეტს**. ვეტერანი კალათბურთელი 25 ათასი დოლარით იმის გამო დაისაჯა, რომ ჟურნალისტებთან ურთიერთობაზე თქვა უარი, - წერია NBA-ის ოფიციალურ ვებგვერდზე.

ინციდენტი აღმოსავლეთი კონფერენციის ფინალური სერიის გადამწყვეტი, მეშვიდე მატჩის შემდეგ მოხდა, რომელშიც "ბოსტონი" "მაიამისთან" დამარცხდა – 88:101. იმ თამაშში გარნეტმა 14 ქულა და 7 მოხსნა დააგროვა.

როგორც NBA-ის ვიცე-პრეზიდენტმა **სტიუ ჯექსონმა** განაცხადა, კევინმა ჯარიმა კალათბურთელისთვის მიუღებელი საქციელის გამო უნდა გადაიხადოს.

■ ■ ■

"ბოსტონის" მცველი **რეი ალენი**, რომელიც პირველ ივლისს თავისუფალი აგენტი გახდება, ყველაზე მეტად "მაიამიში" ან "კლიპერსში" გადასვლით არის დაინტერესებული, წერს ამერიკული პრესა.

სანდო წყაროს ცნობით, 36 წლის ვეტერანმა ეს კლუბები იმის გამო აირჩია, რომ "ჰიტი" და "კლიპერსი" არიან ყველაზე ძლიერი გუნდები იმათგან, ვისაც შეუძლია ვეტერანის მინიმალური კონტრაქტი შესთავაზონ ალენს.

# ჰორნეტსი გაიყიდა

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კლუბების მფლობელთა საბჭომ მხარი დაუჭირა "ნიუ ორლეან ჰორნეტსის" ბიზნესმენ **ტომ ბენსონისთვის** მიყიდვას.

NBA-მ ბენსონთან მოლაპარაკებები 2012 წლის აპრილში დაიწყო. ვარაუდობენ, რომ კლუბის ახალი მფლობელისთვის გადაცემის პროცესი ამ კვირის ბოლოს დასრულდება. ბენსონი, რომელიც ასევე ფლობს NFL-ის (ფეხბურთის ეროვნული ლიგა) კლუბ "ნიუ ორლეან საინტსს", "ჰორნეტსის" სანაცვლოდ 338 მილიონ დოლარს გადაიხდის.

ბენსონმა აგრეთვე ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომლის მიხედვითაც ის იჯარით აიღებს "ნიუ ორლეან არენას" - მისი კლუბი აქ 2024 წლამდე ჩაატარებს NBA-ის მატჩებს.

2010 წლის დეკემბრიდან მოყოლებული, "ნიუ ორლეანი" NBA-ის მფლობელობაში იყო – ლიგამ გუნდი **ჯორჯ შინისგან** შეიძინა და დღემდე ახალ მფლობელს ეძებდა. გარიგების ძირითადი პირობა იყო "ჰორნეტსის" ლუიზიანას შტატში დატოვება. ბენსონმა ამის გარანტია მისცა ლიგის ხელმძღვანელობას.

2011-12 წლების სეზონში "ნიუ ორლეანმა" ბოლო ადგილი დაიკავა დასავლეთ კონფერენციაში. "ჰორნეტსმა" 21 გამარჯვება მოიპოვა და 45 მატჩი წააგო.

■ ■ ■

NBA-ის ლეგენდარული მოთამაშე, ამჟამად სატელევიზიო ანალიტიკოსი **ჩარლზ ბარკლი** შეიძლება "ფილადელფიას" გენერალური მენეჯერი გახდეს, - წერს ამერიკული პრესა. ბარკლი ადრე რვა წლის (1984-92) განმავლობაში თამაშობდა "სიქსერზში". 49 წლის სპეციალისტს გენერალური მენეჯერის თანამდებობაზე არ უთამაშია.

ამ მომენტისთვის "ფილადელფიას" გენერალური მენეჯერი პოსტი **ედ სტეფანსკის** უკავია.


ტომ ბენსონი

კრივი

# ისევ პაკიაო-ბრედლის შესახებ

ნახევრად საშუალო წონაში WBO-ის ჩემპიონი, 28 წლის ამერიკელი **ტიმოტი ბრედლი** აცხადებს, რომ ეჭვი არ ეპარება ფილიპინელ **მენი პაკიაოზე** სამართლიან გამარჯვებაში. შეგახსენებთ, რომ ბრედლიმ შაბათს, ლას-ვეგასში მსაჯების სკანდალური გადაწყვეტილებით მოუგო 33 წლის მენი პაკიაოს.

როგორც უკვე ვწერდით, რამდენიმე ამერიკულმა გაზეთმა მოიყვანა პაკიაოს მენეჯერის **ბობ არუმის** სიტყვები. პრომოუტერი ამტკიცებს, რომ ბრძოლის დასრულებისთანავე ბრედლიმ მას შემდეგი უთხრა: *"ყველაფერი გავაკეთე, რაც შემეძლო, მაგრამ ეს ბიჭი ვერ დავამარცხე"*.

თუმცა ტიმოტი ბრედლი უარყოფს არუმის განცხადებას.

*„მე არასოდეს მითქვამს, რომ ვერ შევძელი ამ ბიჭის დამარცხება, - ამბობს ახალი ჩემპიონი. - უბრალოდ ვთქვი, რომ მაქსიმუმი გავაკეთე. ვგრძნობდი, რომ ის ბრძოლა მოგებული მქონდა. მწვრთნელმა მითხრა ბრძოლის შემდეგ, რომ მე ის დავამარცხე"*.

*„მე რინგზე უფრო სწრაფი ვიყავი, - აღიარებს ბრედლი. - ის ხომ უდიდესი მებრძოლია. როცა კომბინაციას აწყობს, მისი ყველა დარტყმა ძალიან ძლიერია. ის გაცილებით ჭკვიანია, ვიდრე მეგონა, მაგრამ მან ვერ შეძლო ჩემი ნოკაუტში გაშვება, რაც სინამდვილეში ჰქონდა კიდეც ჩაფიქრებული"*.

ამასობაში, მსოფლიოს საკრივო ორგანიზაციის (WBO) პრეზიდენტმა **ფრანსისკო ვალკარსელმა** განაცხადა, რომ WBO-ის კომიტეტი განიხილავს ბრედლისა და პაკიაოს ბრძოლის შედეგს.

*„კომიტეტი შეიკრიბება ხუთ ცნობილ საერთაშორისო არბიტრთან ერთად და შეაფასებს ბრძოლის ვიდეოჩანაწერს*, - განაცხადა ვალკარსელმა. - *ნანახიდან გამომდინარე, კომიტეტი წესების შესაბამისად შეიმუშავებს რეკომენდაციებს. ამასთან, მინდა დავაზუსტო, რომ ამ შემოწმებით ეჭვქვეშ არ ვაყენებთ პაკიაოსა და ბრედლის ბრძოლაზე მომუშავე მსაჯების კომპეტენციასა და პატიოსნებას"*.

■ ■ ■

ბევრს ლაპარაკობენ ბრედლისა და პაკიაოს შორის მატჩ-რევანშზე, რომელიც თითქოს გადაწყვეტილი ამბავი იყო. არუმმა ბრძოლის შემდეგ განაცხადა, რომ მოუწყობდა ფილიპინელს საპასუხო ბრძოლას, მაგრამ ახლა პრომოუტერი ამბობს, რომ რევანშის ჩატარება ნაკლებად სავარაუდო ვარიანტია. არუმის თქმით, მას შეუძლია ბრედლი შეახვედროს სხვა საინტერესო მოკრივეებს, მათ შორის ბრიტანელ **ამირ ხანსა** და ამერიკელ **დენი გარსიას** შორის გამარჯვებულს. ეს შეხვედრა ივლისში ჩატარდება.

*„არ მინდა რევანშის მოწყობა*, - ამბობს არუმი. - *ბრძოლა ცალმხრივი იყო. ის სწორად რომ შეეფასებინათ, პაკიაოს რაუნდებში 12:10-ს ან 9:3-ს მოიგებდა. ასეთ დროს რა აზრი აქვს რევანშს?"*


ტიმოტი ბრედლი

## მეივეზერი ბოლომდე იჯდება

მეორე ნახევარად საშუალო წონაში WBC-ის ჩემპიონმა **ფლოიდ მეივეზერმა** ვერ მიიღო მოსამართლისგან ნაადრევად გათავისუფლების ნებართვა, - წერს ფრანგული გაზეთი „ეკიპი".

ამერიკელი მოკრივე იძულებული იქნება სრულად გაატაროს ციხეში 90 დღე, რომელიც მას მეუღლის წინააღმდეგ ძალადობისთვის მიესაჯა.

საპყრობილეში მოხვედრის შემდეგ, მეივეზერმა დაიჩივლა, რომ არ აქვს ვარჯიშისა და ფიზიკური ფორმის შენარჩუნების საშუალება.

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ისლანდია**

| | |
|---|---|
| ფილკირი-ფრამი | 1:[illegible] |

**ჩოგბურთი**

**ATP. ჰალე**

| | |
|---|---|
| კუბოტი-კოლშრაიბერი | 7:6, 1:[illegible] |
| **ჰაასი**-გრანოლერსი | 6:3, 6:4 |
| **ნადალი**-ლაჩკო | 7:5, 6:1 |
| ფ. მაიერი-**ფედერერი** | 4:6, 5:7 |

**ATP. ლონდონი**

| | |
|---|---|
| **ანდერსონი**-ფ. ლოპესი | 7:6, 7:6 |
| მაუ-**დიმიტროვი** | 6:7, 4:6 |
| ბოლელი-**მალისე** | 6:7, 3:6 |
| **დოდიგი**-ცონგა | 7:6, 3:6, 7:6 |
| ბენეტო-**კუერი** | 3:6, 6:3, 3:6 |
| **ჩილიჩი**-როსოლი | 7:6, 6:2 |

**WTA. ბად გაშტეინი**

| | |
|---|---|
| ჯონსი-**კორნე** | 3:6, 2:6 |
| [illegible]-**კანეპი** | 4:6, 3:6 |
| [illegible]-ბეგუ | 6:3, 6:4 |
| **მინელა**-სუარეს ნავარო | 6:2, 3:6, 6:3 |
| **ლარსონი**-[illegible] | 6:2, 6:3 |
| [illegible]-**ჰოკსმაიერი** | 6:7, 3:6 |
| **პერვაკი**-გრონერი | 6:2, 6:3 |
| **მოისბურგერი**-ევტიმოვა | 6:2, 6:3 |

**WTA. ბირმინგემი**

| | |
|---|---|
| **მაკაროვა**-ერაკოვიჩი | 2:6, 6:1, 6:3 |
| ვესნინა-**ოუდინი** | 0:6, 2:6 |
| **ჟენგი**-პლავაჩკოვა | 6:4, 6:1 |
| **ვინჩი**-უოტსონი | 6:3, 4:6, 6:1 |
| **ფალკონი**-უ. რადვანსკა | 7:5, 6:3 |
| **ჰსიე**-ჩინკი | 6:1, 6:2 |

TV პროგრამა

**15 ივნისი. პარასკევი**

**I არხი**

19:50 ფეხბურთი. ევრო 2012. ჯგუფური ეტაპი. D ჯგუფი. უკრაინა-საფრანგეთი (LIVE).
22:35 ფეხბურთი. ევრო 2012. ჯგუფური ეტაპი. D ჯგუფი. შვედეთი-ინგლისი (LIVE).

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ნიუკასლი.
12:00 პროგრამა - საფეხბურთო ღამე.
13:00 არგენტინის ჩემპიონატი. XVII ტურის მიმოხილვა.
14:00 გერმანიის ჩემპიონატი. მაინცი-ბაიერნი.
16:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-პსჟ.
18:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
19:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
20:00 იტალიის ჩემპიონატი. ნაპოლი-იუვენტუსი.
22:00 გერმანიის ჩემპიონატი. ბორუსია (მ)-ვერდერი.
00:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
00:30 ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-მანჩესტერ სიტი.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-შალკე.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. ოკლაჰომა-მაიამი. II მატჩი.
14:30 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. უტრეხტი-აიაქსი.
16:30 ძიუდო. გრანდსლემი. ბრაზილია.
19:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
20:00 პოკერ-რინგი 2.
21:30 სპორტ-NEWS.
22:00 NBA Action.
22:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
22:30 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. ოკლაჰომა-მაიამი. II მატჩი.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. უიმბლდონი 2011. ქალები. ლონდონი. ინგლისი.
13:00 სპორტ-NEWS.
13:30 რაგბი. ჰეინეკენის თასი. ალსტერი-ედინბურგი.
15:30 ჩოგბურთი. უიმბლდონი 2011. ქალები. ლონდონი. ინგლისი.
17:00 სპორტ-NEWS.
17:30 ფეხბურთი. თურქეთის თასი.
19:30 რაგბი. ჰეინეკენის თასი. კლერმონი-ლენსტერი.
21:30 ჩოგბურთი. უიმბლდონი 2011. კაცები. ლონდონი. ინგლისი.

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 20 | 36 | (მცირე წვიმა) |
| ქუთაისი | 27 | 33 | (მზე) |
| ბათუმი | 22 | 28 | (მზე) |
| ფოთი | 24 | 29 | (მზე) |
| ზუგდიდი | 23 | 31 | (მზე) |
| გორი | 18 | 32 | (მზე) |
| თელავი | 21 | 35 | (მზე) |
| სიღნაღი | 21 | 33 | (მზე) |
| ძოგულეთი | 22 | 28 | (მცირე წვიმა) |
| ბაკურიანი | 14 | 24 | (მცირე წვიმა) |
| ბორჯომი | 16 | 30 | (მზე) |
| მესტია | 13 | 27 | (მზე) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.0583 |
| 1 ამერიკული დოლარი | 2.0583 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5411 |
| 100 რუსული რუბლი | 5.0245 |

კრივი


დერეკ ჩისორა

# ბრიტანული იერიში კლიჩკოებზე

ინტერნეტ გვერდის BoxingScene.com-ის ინფორმაციით, ბრიტანელმა სუპერმძიმეწონოსნებმა - **დევიდ ჰეიმ** და **დერეკ ჩისორამ** სრულ ურთიერთგაგებას მიაღწიეს ერთ საკითხში, რომელიც სუპერმძიმე დივიზიონში ძმები **კლიჩკოების** დომინირებას შეეხება.

ორ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ექსჩემპიონი დევიდ ჰეი მიიჩნევს, რომ *„კლიჩკოებს არ უნდათ ჰეისა და ჩისორას ბრძოლის ჩატარება, რადგან ეს მათი შეხვედრების მიმართ ინტერესის შენელებას გამოიწვევს*. შეგახსენებთ, რომ **ვლადიმერ კლიჩკო** შემდეგ ბრძოლას 7 ივლისს შვეიცარიაში ჩაატარებს, **ვიტალი** კი სექტემბრის დასაწყისში აპირებს რინგზე გასვლას, თუმცა ჯერ მეტოქე არ ჰყავს და არც ზუსტი თარიღი იცის.

*„მათი ბრძოლების შესახებ არავინ ლაპარაკობს, ხალხს მხოლოდ ჩვენი შეხვედრა აინტერესებს, და კლიჩკოებმა არ იციან ამას რა მოუხერხონ*, - დარწმუნებულია ჰეი. - *ძმებს არ უნდათ, რომ სხვა სუპერმძიმეწონოსნებმა აიღონ დიდი ჰონორარები და იყვნენ პოპულარულები, ამიტომაც ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ჩვენმა ბრძოლამ არ დაიმსახუროს საზოგადეობის ინტერესი. არადა, მაყურებელს სურს ჩემი და ჩისორას ბრძოლის ხილვა და არა იმის, რასაც კლიჩკოები გვთავაზობენ"*.

დერეკ ჩისორა ეთანხმება დევიდ ჰეის აზრს. *„რაღაცაში მაინც უნდა დავეთანხმო ჰეის. ის მართალია. K2 Promotions-ის პრობლემა ის არის, რომ ის მუდმივად სვრის ჭუჭყში სხვებს და ფიქრობს, რომ კლიჩკოები - საუკეთესონი არიან კრივში.*

*უკრაინელები სპორტს დასცინიან, რადგან იმ მომენტითვის, როცა ერთ-ერთი ძმის წინააღმდეგ საბრძოლველად გადიხარ, ის ბრძოლამდე გამოგიყვანს წყობიდან. ამიტომაც იცით, რა? მე მათ შორის გავუშვებ"*, - გაგვიზიარა თავისი შთაბეჭდილებები მოკრივემ, რომელმაც ამ სიტყვებს უხამსი ჟესტი დაურთო.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა


ჯერჯერობით საუკეთესო გოლი ბლაჟიკოვსკის ანგარიშზეა
პოლონეთი-რუსეთი 1:1



ევროპაზე ჯარიმიდან პირველი გოლი პირლომ გაიტანა
იტალია-ხორვატია 1:1


სილვამ ბურთი სამ ირლანდიელს შორის გაატარა
ესპანეთი-ირლანდია 4:0

# TimeLine

Username: ვაჟა
Password: სიმონიშვილი

## TOP 6


შევჩენკოს მეორე გოლი შვედების კარში
უკრაინა-შვედეთი 2:1


პავლიუჩენკო, მეოთხე გოლი ჩეხების კარში
რუსეთი-ჩეხეთი 4:1



გომესის დარტყმა და 2:0
გერმანია-ჰოლანდია 2:1

« ბე-11 გვერდიდან



კიდევ უფრო საინტერესო ფოტო გამოქვეყნდა „სპორტალზე". თურმე, რუსეთის ნაკრების მაისურით სამი გოლის გამტანი ალანი ძაგოევი კი არა, ძაგოშვილი ყოფილა:




შესაძლოა, არც დაიჯეროთ, მაგრამ იტალიის ნაკრები საქართველოში შეკერილი ფორმით თამაშობს. როგორც ერთ-ერთი საინფორმაციო საშუალება იტყობინება, გერმანულმა ფირმა „პუმამ" „აჭარა ტექსტილს" იტალიისთვის მაისურების შეკერვა დაუკვეთა. ასე რომ, ევროპის ჩემპიონატის მსვლელობისას სკუადრა აძურას ფეხბურთელებს კისერთან აწერიათ: MADE IN GEORGIA.




ტრამვაი...ბუნდოვნად მახსოვს. „შორეულ წარსულში" რელსებზე შემდგარი ეს ტრანსპორტი საქართველოშიც დახრიგინებდა. თავისუფლების მოყვარე ქართველებმა ქეჩოთი დაბმული ტრამვაი გავათავისუფლეთ და რელსები ყველგან ავყარეთ.

უკრაინის ქალაქ ხარკოვში კი ეს საცოდავი ტრანსპორტი დღესაც რელსებზე მილოლავს. სიტყვა „საცოდავი" ბრჭყალებში უნდა ჩაგესვათო, შესაძლოა გვითხრას ქართული ენის სტილისტმა, მაგრამ რად უნდა ბრჭყალები, შეხედეთ, არ უხდება ამ უსულო ტრანსპორტს სულიერისთვის შესატყვისი ზედსართავი? მართლა საცოდავად არ გამოიყურება?



ფოტოზე ჰოლანდიელი გულშემატკივრები არიან გამოსახულნი, რომლებმაც, ალბათ, ტრამვაიში ჩაჯდომას ფეხით სიარული არჩიეს – დანიშნულების ადგილას უფრო სწრაფად მივალთო.

ნარინჯისფრებს უარესიც დაემართათ: დანიასთან მატჩისთვის ერთი თვითმფრინავი ქომაგებით გაივსო და ჩარტერული რეისით უკრაინისკენ აიღო გეზი. როგორც უკრაინული პრესა იტყობინება, გზაში პილოტს მოწყობილობა გაუფუჭდა და ვერ გაარკვია, რომელ ქალაქში მიფრინავდა. სხვა გზა რომ არ დარჩა, ჰკითხა გულშემატკივრებს, რომლებმაც უპასუხეს - სადღაც ზღვის პირას მივდივართო. ჰოდა, პილოტმა თვითმფრინავი ხარკოვის ნაცვლად ოდესაში დაუშვა...



კაზაკების შესახებ 1970 წელს საინტერესო მულტფილმი გადაიღეს. ისინი ჯერ რაინდებს ეთამაშებიან ფეხბურთს (2:1), შემდეგ ფრანგ მუშკეტრებს, ბოლოს ინგლისელ ჯენტლმენებს. უკრაინაში უამრავი კაზაკი ცხოვრობს. ჰოდა, ერთმა გონიერმა ჟურნალისტმა სახალისო პარალელი გაავლო: ევროპის ჩემპიონატზე უკრაინელებმა კაზაკების მსგავსად პირველი მატჩი შვედ რაინდებს 2:1 მოუგეს, შემდეგ ფრანგებს აჯობებენ, ბოლოს ინგლისელებსო. მართლაც, შევჩენკოს უკრაინა მომდევნო ორ შეხვედრას ფრანგებთანა და ინგლისელებთან თამაშობს, ოღონდ ნაკლებად სავარაუდოა, მულტფილმის ანგარიშები განმეორდეს. კაზაკებმა ხომ მუშკეტრებს 2:1 მოუგეს, ხოლო ჯენტლმენებს – 13:3.

ვნახოთ, პირველი წრის გმირი შევჩენკო როგორ გაამართლებს თანამემამულეთა იმედებს.




სიგარეტი არავის სთხოვოთ, არც რამე სუვენირი – ასეთ მითითებებს წაიკითხავთ უკრაინაში გამოცემულ ბროშურაში, რომელიც პოლიციელებისთვისაა განკუთვნილი.


პირველი ტურის გმირი შევჩენკო

დოლარენი
დოლარენის ძალა ამარცხებს ყველანაირ ტკივილს!
Доларен
• სახსრებისა და კუნთების ტკივილი
• ნევრალგია
• რადიკულიტი
• ოსტეოართროზი, მიოზიტი, იშიაზი, ფიბროზიტი
• რევმატიული ართრიტი
• კუნთების დაჭიმულობა
• საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის ტრავმები
დოლარენის გელის ძლიერ ტკივილგამაყუჩებელ და ანთების საწინაალმდეგო ეფექტს განაპირობებს დიკლოფენაკ დიეთილამინის და სელის თესლის ზეთის ეფექტური კომბინაცია
Nabros Pharma Pvt. Ltd.
გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას. გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი; მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:00
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608